ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 2-8 თებერვალი, 2009 №5 (3498) ფასი 1 ლარი


# ვინ ვარ მე

## ჰექტორ რაულ კუპერი: მე მიყვარს ჩემი თავის გაწვრთნა



## საქართველო დუბლIN

### საირლანდიო სია ცნობილია



## პტიცად ქცეული ლეგენდა

### გარდაიცვალა ვლადიმერ უგრეხელიძე

გუშინ ვლადიმერ უგრეხელიძე გარდაიცვალა, ლეგენდარული ქართველი კალათბურთელი, 60-იანელთა ოქროს თაობის ვარსკვლავი.

ის იმ თბილისის „დინამოს" ლიდერთაგანი იყო, რომელმაც ქართულ კალათბურთს უდიდესი გამარჯვება აჩუქა — 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. სანაკრებო დონეზე კი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გახდა ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი...

ეს ყოველივე პრიზები და ოფიციალური მიღწევებია, რომელთა მიღმა გამორჩეული მოთამაშე და დასაფასებელი ადამიანი იდგა. არც ერთ მხილველს არ დაავიწყდება მისი მაღალი ნახტომები და ფარქვეშ „ფრენები", რის გამოც საკავშირო მეტსახელი „პტიცა" დღემდე მოჰყვა.

წლეულს ვლადიმერ უგრეხელიძე 70 წლის უნდა გამხდარიყო...




# საპლუბლინო სია ჩამოწერილია

**ჰექტორ რაულ კუპერმა** საირლანდიო შემადგენლობა გამოაცხადა. 23-კაციან სიაში დიდ სიურპრიზებს ვერ ვხედავთ — დებიუტანტი შეიძლება ვუწოდოთ „მგლებიდან" „ზესტაფონში" ახალგადასულ მეკარე ზურაბ მამალაძეს, რომელსაც „სამშათობაზე" კი იძახებდა ხოლმე არგენტინელი, მაგრამ სამატჩო სიაში არასოდეს ჰყოლია.

საინტერესოა, რომ სამი მეკარიდან ორი ზესტაფონელია, თუმც 11 თებერვალს 1 ნომერს, სავარაუდოდ, ვერცერთი ჩაიცმევს: ამ ეტაპზე გიორგი ლომაია ითვლება ნაკრების მთავარმეკარედ. თუმც ვინ იცის...

როგორც მოსალოდნელი იყო, სადუბლინო სიაში არ არის მალხაზ ასათიანი, ვინაც ამჟამად მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლებში ვარჯიშობს.

ოთარ მარცვალაძე — ამ ბიჭმა რუმინეთთან ნოემბრის ამხანაგურში გოლი შეაგდო, თუმც კუპერი მაინც არ ენდო, სამაგიეროდ, იმავ რუმინეთთან ნადებიუტარი მურთაზ დაუშვილი გამოიძახა საირლანდიოდ.

სიაშია ლევან ყენიაც, რომელიც დღეს დაიწყებს „შალკესთან" ერთად ვარჯიშს, თუმც გადაჭრით ვერავინ ამბობს, იქნება თუ არა ის 11 თებერვალს სრულყოფილ სათამაშო ფორმაში.

ერთი აშკარაა: კუპერი ექსპერიმენტებს მოერიდა და ნაცნობი „გვარდია" გამოიძახა.

ცნობისთვის, ნაკრები 8 თებერვალს ჩაფრინდება დუბლინში და იმავ დღეს თუ არა, 9-ში მაინც სრული შემადგენლობით ივარჯიშებს. თავად კუპერი კი უკვე დაბრუნდა თურქეთიდან, სადაც ქართულ კლუბებს ტესტ-მატჩებში აკვირდებოდა.

*მეკარეები:* *გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი);*

*მცველები:* *უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლეკბერნი, ინგლისი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი);*

*ნახევარმცველები:* *ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ხმალაძე (დინამო), დავით ოდიკაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი);*

*თავდამსხმელები:* *ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ბექა გოცირიძე (დნეპრი, უკრაინა), გიორგი მერებაშვილი (დინამო), დავით სირაძე (ტერეკი, რუსეთი).*

**ილია ნანობაშვილი**

# ვიტ ჯორჯიამ მუმლაძე კმაყოფილი ჩამოიყვანა

**28 იანვარს** თურქეთში შეკრებაზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას" რუმინულ „სპორტულთან" საკონტროლო მატჩი უნდა გაემართა, თუმცა უამინდობის გამო შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო.

თბილისელებმა ლექსო კვახაძის გოლით 1:0 მოუგეს მეტოქეს.

„ვიტ ჯორჯია" მთელი თამაში ფლობდა უპირატესობას. რეალური საგოლე მომენტები გააცუდეს ჯაბა ლიპარტიამ, ვახტანგ კვარაცხელიამ და გიორგი დათუნაიშვილმა.

რაც შეეხება გოლს — შეტევაში ჩართულმა კვახაძემ საჯარიმოს მისადგომიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა.

რუმინელებმა განსაკუთრებით მეორე ტაიმში იაქტიურეს და სათადარიგო მეკარე არდალიონ მიქაბერიძემ 2-3 სახიფათო მომენტი განმუხტა.

ვიტელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ბედიაშვილი (ა. მიქაბერიძე), დ. ლომაია (ყველაშვილი), ა. კვახაძე (ადამაძე), ჯაფარიძე, ხურცილავა (მაისაშვილი), რაზმაძე (მგელაძე), კლიმიაშვილი (კვალიანიძე), გ. დათუნაიშვილი (ბეჭვაია), გ. მელქაძე (ვასაძე), ლიპარტია (ზაქრაძე), ვ. კვარაცხელია (ბერიაშვილი).*

მორიგი საკონტროლო მატჩი „ვიტ ჯორჯიამ" 30 იანვარს გამართა სლოვენიურ „ლიუბლიანასთან" — 2:2.

*ვიტ ჯორჯია:* *ბედიაშვილი (ა. მიქაბერიძე 46), ჯაფარიძე ყველაშვილი (დ. ლომაია 46), ა. კვახაძე, ხურცილავა (ბეჭვაია 57), კლიმიაშვილი, რაზმაძე, გ. დათუნაშვილი (კვალიანიძე 78), გ. მელქაძე, ლიპარტია (როსტიაშვილი 70), ბერიაშვილი (ზაქრაძე 64).*

ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა ამჯერადაც პირველ ტაიმში უწყრო ჩაყორჩალეს. რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, თუმცა ეს მხოლოდ მე-20 წუთზე შეძლეს — ირაკლი კლიმიაშვილმა ლამაზი კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაასრულა.

წესით, ვიტელებს მეორე გოლიც უნდა გაეტანათ, მაგრამ ჯაბა ლიპარტიამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ვერ იხეირა.

„ლიუბლიანამ" კი ანგარიში 43-ე წუთზე გაათანაბრა.

მეორე ტაიმი უფრო თანაბარი გამოდგა და მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა.

თბილისელები შეცვლაზე შესულმა ბექა ზაქრაძემ 67-ე წუთზე დააწინაურა — ახალგაზრდა ფეხბურთელი სამ მცველში გასცდა და არც მეკარეს დაუტოვა შანსი.

საინტერესოა, რომ ზაქრაძემ, ვინც აქამდე „ვიტ ჯორჯიას" სარეზერვო გუნდში თამაშობდა, თურქულ შეკრებაზე ზედიზედ მეორე გოლი გაიტანა.

„ლიუბლიანამ" ანგარიში 83-ე წუთზელა გაათანაბრა — სლოვენიელებმა ჯარიმიდან გაიტანეს გოლი.

ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მეტოქედ საკმაოდ ძლიერი კლუბი გვყავდა და თამაშიც ძალიან საინტერესო გამოვიდა. გუნდმა ისეთი ფეხბურთი ითამაშა, როგორსაც ჩვენი გულშემატკივარი „ვიტ ჯორჯიასაგან" მიჩვეულია: აგრესიული, სწრაფი და თავდაუზოგავი. დატვირთვების ფონზე ასეთი მაღალი დონის თამაში ოპტიმიზმის საბაბს მაძლევს. ჩვენი უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინო პირველ ტაიმში იყო. გამოცდილი ფეხბურთელების სტაბილურობის ფონზე, მინდა, ჩვენი ახალგაზრდების საიმედო თამაშიც გამოვარჩიო".

„ვიტ ჯორჯია" თურქეთიდან 1 თებერვალს დაბრუნდა.

**კახა ზალამბერიძე**

# სიონი ზღვიდან დაბრუნდა

**ბოლნისის** „სიონმა" ქობულეთური შეკრება ორი ამხანაგური მატჩით დაასრულა.

ცხინვალის „სპარტაკთან" ბოლნისელებმა 2:1 იმარჯვეს, პირველლიგელ „ბათუმთან" კი — 2:0.

*სიონი:* *გ. ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, დიდავა, ჯ. მუჯირი, ზ. ჭელიძე, გ. ხიდეშელი, შალამბერიძე, ი. შენგელია, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბობლიაშვილი, ნაყოფია, ქემოკლიძე, შავგულიძე, უგულავა, ლ. ბაჯელიძე, სანიკიძე, ალადაშვილი, რუსიეშვილი, ბობოხიძე.*

*სპარტაკი:* *გ. იაშვილი, ხაჭაპურაძე, ქარქუზაშვილი, ოქროპირიძე, ჯანგიძე, ჩივაძე, შერაზადაშვილი, დ. ჯანელიძე, ტლაშაძე, შ. ჯიქია, ზ. მეტრეველი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კარახანოვი, ხაჭანი, ამირანაშვილი.*

ანგარიში მე-20 წუთზე სულიკო დავითაშვილმა გახსნა, თხუთმეტ წუთში კი ირანმოელიძემ ჯაბა მუჯირმაც გამოიჩინა თავი — 2:0.

შესვენების შემდეგ ბოლნისელთა თავკაცმა ოთარ კორღალიძემ შემადგენლობა მთლიანად შეცვალა და თამაშიც თითქმის გათანაბრდა.

„სპარტაკმა" ერთადერთი ის შეძლო, რომ ერთი ბურთი გაქვითა — გიორგი ჩივაძემ თავის ყოფილ გუნდს გაუტანა.

„ბათუმთან" კი ოთარ კორღალიძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *გ. ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, დიდავა, ჯ. მუჯირი, ზ. ჭელიძე, გ. ხიდეშელი, შალამბერიძე, ი. შენგელია, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბობლიაშვილი, ნაყოფია, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, შავგულიძე, უგულავა, ლ. ბაჯელიძე, სანიკიძე, ალადაშვილი, რუსიეშვილი, ბობოხიძე.*

ანგარიში პირველ ტაიმში ირაკლი შენგელიამ გახსნა, შესვენების შემდეგ კი რუსიეშვილმაც იყორჩალა.

სხვათა შორის, ეს გუნდები რამდენიმე დღის წინაც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ 1:1 ითამაშეს.

ახლა ბოლნისელები შინ გააგრძელებენ ჩემპიონატისთვის მზადებას...

**კახა ზალამბერიძე**



სარბიელის არქივიდან

# კუპერმა რუსები იშარა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაცი ჰექტორ რაულ კუპერი თურქეთში გახლდათ და ქართული კლუბების ამხანაგურ მატჩებს ესწრებოდა.

მოგეხსენებათ, ჩვენს ნაკრებს 11 თებერვალს შესარჩევი მატჩი ელის ირლანდიასთან და კუპერსაც აინტერესებდა, ვინ როგორ ფორმაშია სადღეისოდ.

კრასნოდარის „კუბანისა" და „ზესტაფონის" მატჩის მერე კი ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. რუსულმა „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა არგენტინელი სპეციალისტის მოკლე ინტერვიუ, სადაც კუპერი აცხადებს, რომ თურქეთში ალექსანდრე ამისულაშვილისა და დავით მუჯირის სანახავადაც ჩავიდა.

თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის დახმარებით სენიორ ჰექტორმა ასეთი განცხადება გააკეთა ამ ინტერვიუს გამოქვეყნების მერე: „მატჩის დასრულების შემდეგ არცერთ რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთვის კომენტარი არ გამიკეთებია!"

# დინამო ყოფილ საბჭოთა კავშირთან: რუსული ფრე და ლატვიური მოგება

## თბილისელებს ტრავმები მიემალათ

**თბილისის** „დინამომ“ თურქულ შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა რუსულ პერმის „ამკართან“.

დაძაბული შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტი მატჩის მე-15 წუთზე დინამოელებმა შექმნეს. გიორგი მერებაშვილმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამ შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი დაესწრო.



რაც შეეხებათ ტრავმირებულებს: მათე ვაწაძე ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ლევან ხმალაძეს და ჟორჟ აკირემის მიკროტრავმები ჰქონდათ, ნიკა ფირცხალვამ კი მენისკის ოპერაცია გაიკეთა და სამკურნალოდ თბილისში დარჩა.

რაც შეეხება გასინჯვაზე მყოფ არგენტინელ გონსალო ჩარასს — ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა და ამიტომ ვერ ითამაშა.

*რაინერ ცობელი:* „კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. ბიჭებმა ორჯერადი ვარჯიშებით გამოწვეული დაღლილობის ფონზე უკომპრომისოდ იბრძოლეს და რუსეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილზე გასულ გუნდს არაფერი დაუთმეს. დაცვამ პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა. გუნდი მკაცრად იცავდა სათამაშო დისციპლინას. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, გოლის გატანა ვერ შევძელით, რისი რეალური შანსიც გვქონდა“.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ლორია, კაკუბავა, კრშკო, გ. კაშია, თომაშვილი, შ კაშია (ტომიჩი 67), დილმელაშვილი (კოშკაძე 46), ნერგაძე, ლომაია (ველესიანი 46), გ. მერებაშვილი (ნემსაძე 62), სპასოევიჩი (ქანთარია 46).*

მორიგი ამხანაგური თამაში „დინამომ“ ლატვიურ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ გამართა და 3:1 იმარჯვა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ოვონო, თომაშვილი, კრშკო, გ. კაშია, ჩარასი, ტომიჩი (შ. კაშია 54), ხმალაძე, ნერგაძე, ჯიშკარიანი, კოშკაძე, სპასოევიჩი (აკირემი 46; ქანთარია 63).*

ანგარიში მე-14 წუთზე ლატვიელებმა გახსნეს — პენალტი გამოიყენეს.

მეორე ტაიმი „დინამოს“ უპირატესობით წარიმართა და 49-ე და 50-ე წუთებზე ჩერნოგორიელმა ახალწვეულმა დანილო ტომიჩმა ორი გოლი შეაგდო.

შეხვედრას წერტილი ნიკა ჯიშკარიანმა დაუსვა — 76-ე წუთზე გულვერდ თომაშვილის მიერ წამოწყებული კომბინაცია დააგვირგვინა.

ამ მატჩში შეცვლაზე შესულ აკირემის ტრავმა გაუმიზეზდა და ამიტომაც შეცვალეს.

მომდევნო მატჩს „დინამო“ 3 თებერვალს ყაზახურ „ქეტისუსთან“ ჩაატარებს.

**ბახა ზალამბერიძე**

# ზესტაფონმა თურქეთში ხარიხები გაანადგურა

## შეკრება ზედიზედ ორი მარცხით დასრულდა

**თურქეთში** მყოფი „ზესტაფონი“ უკრაინულ კრივოი როგის „კრივბასს“ შეხვდა და 3:2 მოუგო.

ამ მატჩში გია გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ათამაშა.

იმერელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, კვესიეშვილი, გ. ხიდეშელი (კაჭკაჭიშვილი 78), ელბაქიძე, შ. გრიგალაშვილი, გ. ჭელიძე (სუხიაშვილი 63), გორგიაშვილი (ტეტუნაშვილი 73), კაკალაძე (ჭანკოტაძე 80), ჩიმაკაძე (სტეფანიშვილი 67), ლ. მელქაძე.*

მატჩს ქართველ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურა გიორგი ვადაჭკორიას მეთაურობით.

ანგარიში მე-10 წუთზე უკრაინელებმა გახსნეს — ზესტაფონელთა ცენტრალური მცველების შეცდომით ისარგებლა რომან კარაკევიჩმა და 0:1.

35-ე წუთზე ლევან მელქაძის სახიფათოდ დარტყმული უკრაინელთა მეკარემ კი მოიგერია და ბესიკ ჩიმაკაძემ დაამატა შედეგიანად — 1:1.

„ზესტაფონმა“ ტემპი არ დააგდო და ორიოდ წუთში დაწინაურდა კიდეც — შოთა გრიგალაშვილმა მეკარესთან პირისპირ დატოვა გიორგი ჭელიძე, რომელმაც მეკარეს ლამაზად გადააველო ბურთი თავზე.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კი მსგავსი კომბინაცია გათამაშდა უკვე თორნიკე გორგიაშვილის პასით გიორგი კვესიეშვილმა იყოჩაღა — 3:1.

გეგუჩაძემ მეორე ტაიმში რამდენიმე შეცვლა გააკეთა და მოედანზე ახალგაზრდები შეუშვა.

ერთადერთი, რაც მეტოქემ შეძლო, 66-ე წუთზე რომან კარაკევიჩის ულამაზესი გოლი იყო.

საბოლოოდ, 3:2 იმერელთა სასარგებლოდ.

თურქული შეკრების ბოლოსწინა ამხანაგური მატჩი „ზესტაფონმა“ კიევის „არსენალთან“ გამართა და 1:3 დამარცხდა.

ზესტაფონელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, მაკარიანი, დაუშვილი, ხიდეშელი (კვესიეშვილი 18), ძარია (კაკალაძე 62), ბენაშვილი, შ. გრიგალაშვილი, ნ. კვასხვაძე (ჭელიძე 67), ლ. მელქაძე (ჩასემი 67), გელაშვილი.*

მატჩი ზესტაფონელთა უპირატესობით დაიწყო და ლევან მელქაძის დარტყმამ ძელი შეაზანზარა. 26-ე წუთზე კი იმერლები დაწინაურდნენ — ნიკა გელაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად გელაშვილმავე აქცია.



გია გეგუჩაძე

შეხვედრა ისევ ქართველთა შეტევებით გაგრძელდა და ალექსი ბენაშვილის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

მომენტების განიავება „ზესტაფონს“ ძვირად დაუჯდა: 37-ე წუთზე კიეველებმა პირველად დაარტყეს კარში და 1:1.

იმერლებს მეორე ტაიმშიც შეეძლოთ გატანა, თუმცა ხარიხას ამჯერად ნიკა გელაშვილი გაარტყა ბურთი.

72-ე წუთზე უკრაინელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და დაწინაურდნენ კიდეც — გოლი რომან კორშიკოვმა შეაგდო, რასაც ბრაზილიელმა პოლ ჟილმა 76-ე წუთზე მესამეც მიაყოლა.

ბოლო ტესტ-მატჩში კი „ზესტაფონი“ ყაზახურ „მეგასპორტს“ გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა.

ჩვენების შემადგენლობა ასეთი იყო: *მამალაძე, კაჭკაჭიშვილი, ს. თოდუა (კვესიეშვილი 45), ტეტუნაშვილი, გორგიაშვილი, გ. ჭელიძე (ლაბაძე 75), სუხიაშვილი, ჩასემი, კაკალაძე (სტეფანიშვილი 62), იონანიძე (ჭანკოტაძე 75), ჩიმაკაძე (ლ. მელქაძე 65).*

ამ შეხვედრასაც ქართველ მსაჯთა ბრიგადა (არბიტრი — ოთარ ხეცაძე) მოემსახურა.

მატჩის ერთადერთი მურატ სუიუმაგომბეტოვმა 81-ე წუთზე გაიტანა.

ასე დასრულდა იმერელთა შეკრება — 2 თებერვალს გუნდი საქართველოში დაბრუნდება...

**ბახა ზალამბერიძე**



„ოლიმპს“ ერთადერთი აზერბაიჯანული გოლი დავით ბოლქვაძემ (მარცხნივ) გაუტანა

# ოლიმპი სიმურგთან: ფრე და მოგება

**რუსთავის** „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონატის განახლებისთვის მშობლიურ ქალაქში ემზადება და პირველ ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანულ „სიმურგს“ უგოლოდ დაშორდა.

ვარლამ კილასონიამ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *შ. ალავიძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, აკუაშვა, ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე (დეკანოსიძე 52), დობროვოლსკი (გ. მიქაბერიძე 82), ბაბუნაშვილი, ხუბუა (აკულია 86), მეგრელაძე (უგრეხელიძე 65), გ. ჩხეტიანი (მიკუჩაძე 55).*

ზაქათალელთა შემადგენლობაში მყოფი ქართველებიდან კი მიხეილ მახვილაძემ, დავით ბოლქვაძემ და კახა ჩხეტიანმა ითამაშეს. გრიგოლ დოლიძეს კი ტრავმა აწუხებს.

მეორე მატჩში რუსთაველებმა 2:1 მოიგეს. შეხვედრა თბილისში, კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ჩატარდა.

ანგარიში თენგიზ ჩიკვილაძემ გახსნა. მეორე ტაიმში „სიმურგმა“ პენალტით გაათანაბრა — გოლი დავით ბოლქვაძემ გაიტანა.

გამარჯვებისა კი გიორგი მეგრელაძემ 25 მეტრიდან შეაგდო.

აზერბაიჯანულ კლუბში ბოლქვაძე-ჩხეტიან-მახვილაძის გარდა კიდევ ორმა ჩვენებურმა ითამაშა — ბექა ახალბედაშვილმა და ირაკლი ფირანიშვილმა.

ისინი გუნდში გასინჯვაზე არიან.

„ოლიმპმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სტურუა, რეხვიაშვილი, (თ. ლონდაძე 60), გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე (აკუაშვა 46), დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, უგრეხელიძე (გ. სეთურიძე 46), დეკანოსიძე, გ. მიქაბერიძე (მეგრელაძე 46), მიკუჩაძე (გ. ჩხეტიანი 46).*

„ოლიმპიც“ და „სიმურგიც“ მორიგ საკონტროლო მატჩებს 2 თებერვალს გამართავენ — რუსთაველთა მეტოქე თბილისის „ამერი“ იქნება, „სიმურგი“ კი „სიონს“ შეხვდება.

**ბახა ზალამბერიძე**

# თედიაშვილი უსუხიაშვილო ბორჯომს გაუთანაბრდა



კობა თედიაშვილმა „მესხეთი“ შეკრიბა

**ახალციხის** „მესხეთმა“ თანარეგიონელი „ბორჯომის“ დარად, ყველაზე გვიან დაიწყო საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადება.

ვარჯიში ვარჯიშად და ამ გუნდებმა პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს და 2:2 ითამაშეს.

ახალციხელთაგან გოლები დიმიტრი ლეკიშვილმა და გენო ბეჟანიძემ გაიტანეს, ბორჯომელთაგან კი — ილია ლომიძემ და დავით ჯობაძემ.

კობა თედიაშვილმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ძმუნაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქოჩორაშვილი (თელიაშვილი), ვ. ხორგუაშვილი (ყულიჯანიშვილი), პ. ხორგუაშვილი (კუტალია), ლ. თედიაშვილი (ინასარიძე), ლ. ვაშაკიძე, ლეკიშვილი (სუდაძე), ლ. ქებაძე (ბეჟანიძე), სამადაშვილი (ნაჭყებია).*

გაჭირვებულ დღეში მყოფი „ბორჯომი“ რამდენიმე დღის წინ მწვრთნელმა გიორგი სუხიაშვილმა დატოვა, ვინც ქუთაისის „ტორპედო 2008“-ის ფარმ-კლუბს ჩაუდგა სათავეში.

ამიტომ „მესხეთთან“ გუნდს ადმინისტრატორმა იგორ დენისკინმა და ჯუნგლი ქართველიშვილმა უხელმძღვანელეს.

**ბახა ზალამბერიძე**

# სპარტაკმა დასავლეთი მოიარა

**ქობულეთში** შეკრებაზე მყოფმა ცხინვალის „სპარტაკმა“ ამხანაგური-შეხვედრა ჩაატარა პირველლიგელ ფოთის „კოლხეთთან“ და 2:1 იმარჯვა.

სერგო გაბელაიამ პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *კოდალაევი, კობახიძე, ქორიძე, გ. კვახაძე, მგალობლიშვილი, ავალიანი, გ. თურმანიძე, შონია, მაისურაძე, გაბელაია, სირბილაძე.*

შეცვლაზე შევიდნენ: *ქურასბედიანი, ჯანგიძე, ჩივაძე, მეტრეველი, შ. ჯიქია და ლებანიძე.*

„სპარტაკმა“ თავიდანვე გაიტანა — თავი ვაჟა ქორიძემ გამოიჩინა, მერე კი კონსტანტინე ავალიანმაც იყოჩაღა.

ფოთელებმა ერთი ბურთი მეორე ტაიმში გაქვითეს.

მომდევნო მატჩში კი ცხინვალელებმა „სამტრედიას“ 4:2 მოუგეს და გოლები თემურ შონიამ, ირაკლი სირბილაძემ, ნიკა მაისურაძემ და ირაკლი კობახიძემ გაიტანეს.

„სპარტაკის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *კოდალაევი, კობახიძე, გ. კვახაძე, ქორიძე, მგალობლიშვილი, გაბელაია, ავალიანი, გ. თურმანიძე, შონია, მაისურაძე, სირბილაძე.*



სერგო გაბელაია

**ბახა ზალამბერიძე**

# ვინ არის კოზლენკო?

## გაგრამ ცხადაძეს ვაჟი მიულოცა

**თბილისში** თურქეთიდან დაბრუნებულ „გაგრას“ 19 წლის განელი ნახევარმცველი კუმაჰ ვისდომი დახვდა, ვინც გასინჯვაზე მოიწვიეს და თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

„გაგრამ“ კი თურქეთიდან წამოსვლამდე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა — ყაზახურ „ქაისარს“ 2:1 სძლია.

პირველი ტაიმის შემდეგ გაგრელები უკრაინელი ახალწვეულის, ვლადიმირ კოზლენკოს გოლით 1:0-ს იგებდნენ. მეორე ნახევარში ყაზახებმა ანგარიშის გათანაბრება პენალტით მოახერხეს, მაგრამ კოზლენკომ მალე დუბლი შეასრულა და „გაგრას“ მოაგებინა.

აი, რა უთხრა „გაგრას“ კაპიტანმა რევაზ თევდორაძემ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს ნამატჩევს...

— საკმაოდ დაძაბული თამაში იყო. მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა და მიხარია, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ.

— ვლადიმირ კოზლენკომ დუბლი შეასრულა...



რევაზ თევდორაძე

— ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. მსაჯმა ჩვენს კარში ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, მაგრამ მერე კოზლენკომ ჩინებული საჯარიმო შეასრულა და ყველანი ძალიან გაგვახარა.

**— ბოლო ამხანაგურ მატჩში გამარჯვება განწყობასაც აგიმაღლებდათ...**

— ეს გამარჯვება ბაჩანა ცხადაძის ახლადდაბადებულ ვაჟს, პატარა კახას მივუძღვენით. რაც შეეხება გუნდს, ასეთი შეკრული, მებრძოლი და ერთიანი „გაგრა“, კარგა ხანია, არ მინახავს. საქართველოს ჩემპიონატში ჩვენს სიტყვას ვიტყვით და ვეცდებით, რაც შეიძლება, მაღალი ადგილი დავიკავოთ.

**ბახა ზალამბერიძე**

# სიმურგმა ნორჩით დაიწყო

**საქართველოში** შეკრებაზე მყოფმა ზაქათალის „სიმურგმა“ პირველი ტესტ-მატჩი თბილისის „ნორჩ დინამოელთან“ გამართა და 3:0 დაამარცხა.

აზერბაიჯანული გუნდიდან ერთი ბურთი დავით ბოლქვაძემ გაიტანა. მის გარდა ითამაშეს მიხეილ მახვილაძემ და კახა ჩხეტიანმა. გრიგოლ დოლიძე კი ტრავმის გამო დააკლდა აზერბაიჯანულ გუნდს.

**ოთარ მხეიძე**

# მგლებმა იანვარი სამტრედიით ჩაამთავრა

**ზუგდიდის** „მგლებმა“ ზღვისპირული შეკრება პირველლიგელ „სამტრედიასთან“ მატჩით დაასრულა.

მატჩის ერთადერთი გოლი იმერელთა კარში 55-ე წუთზე გიორგი ჭედიამ შეაგდო — 1:0.

ზუგდიდელებმა შეხვედრა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: *სომხიშვილი, ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გულორდავა, ჯოჯუა, გურჩუა, ბ. ნოზაძე, ქირია, ჭედია.*

შეცვლაზე შევიდნენ: *მალიჩავა, ინჯგია, ბაკარანძე, ხუხია, ხარჩილავა, ყიშკარიანი, ჯანაშია, ქალდანი.*

შინ დაბრუნების შემდეგ გუნდმა ორი დღე დაისვენა და ზუგდიდში გააგრძელა მზადება.

**ბახა ზალამბერიძე**

# მსაჯთა შეკრება-სემინარი

**საქართველოს** ჩემპიონატისა და თასის მატჩებისთვის მზადების მიზნით, ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ 30 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით უმაღლესი ლიგის მომსახურე მსაჯების შეკრება მოაწყო.

შეკრების შემდეგ, 5 თებერვალს ჩატარდება სემინარი, სადაც მსაჯები და დამკვირვებლები ტესტირებას გაივლიან და ამის მერე მიიღებენ უმაღლესი ლიგის მატჩების მომსახურების სერთიფიკატს.

**ოთარ მხეიძე**

# ოთხი ევრომატჩი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები თებერვლის დასაწყისში სლოვენია-ხორვატიაში ოთხ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

ჩვენები 3 და 5 თებერვალს სლოვენიის 17-წლამდელებს გაეჯიბრებიან, 8 და 10 თებერვალს კი — ხორვატებს.

გელა შეყილაძის გუნდი 2 თებერვალს იტალიის ქალაქ ტრიესტში ჩავა, საიდანაც სლოვენიაში გაემგზავრება და სასტუმრო „ადრია კონვენტში“ დაბინავდება.

სლოვენიასთან ორივე შეხვედრა ქალაქ კოპერში შედგება.

6 თებერვალს კი საქართველოს ნაკრები ავტობუსით გაემგზავრება ხორვატიაში და სასტუმრო „სოლ გარდენ ისტრაში“ დაბინავდება

ქართველები თბილისში 11 თებერვალს დაბრუნდებიან.

**ოთარ მხეიძე**

## ლევან ცქიტიშვილი მეორე ბუნდესლიგაში



**ლევან ცქიტიშვილი** გერმანიაში დაბრუნდა, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაუტარებია. „ფრაიბურგისა“ და „ვოლფსბურგის“ შემდეგ „ვეენი“ მისი მესამე გერმანული კლუბი იქნება.

გერმანული პრესის ცნობით, ქართველი ფეხბურთელი ახალ კლუბს უკვე შეუერთდა.

პირველი წრის შემდეგ ვისბადენის კლუბი მეორე ბუნდესლიგაში ბოლოდან მეორე საფეხურზეა და თასის მეოთხედფინალშია გასული.

**ილია ნანობაშვილი**

## ოლიმპელთა სამი უცხოეთი

**რუსთავის** „ოლიმპის“ სამ ფეხბურთელს უცხოური წინადადებები აქვთ და, შესაძლოა, გუნდი დატოვონ.

გიორგი ონიანს ავსტრიული „შტურმი“ აკვირდება და დიდი შანსია, მალე წაიყვანოს კიდეც.

მოსკოვის „ტორპედოში“ გადასვლის შანსი აქვს ნახევარმცველ გიორგი სეთურიძეს, ხოლო თემურ ღონღაძეს აზერბაიჯანული „ხაზარი“ ეპატიჟება.

ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან...

**ოთარ მხეიძე**

## აბრამიძე ხიმკიში ისინჯება



**მახაჩყალის** „ანჟიდან“ წასული ვალერი აბრამიძე რუსული პრემიერლიგის „ხიმკიში“ ისინჯება.

აბრამიძე ადრეც იყო ამ კლუბში — მას შემდეგ, რაც მოსკოვის „სპარტაკიდან“ წავიდა.

რუსეთის მოქალაქე ვალერი აბრამიძე „ანჟის“ თავისი ნებით გაეთავისუფლა: კონტრაქტი დაუმთავრდა და აღარ გააგრძელა.

აქამდე მის აზერბაიჯანში გადასვლაზე იყო ლაპარაკი, თუმც ახლა უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა და...

## მორიგი საქართველო — თურქეთი?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია თურქულ მხარესთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა წლეულს ამხანაგური მატჩი გაჩარხოს ამ ქვეყნის ნაკრებთან.

გეცოდინებათ, 6 ივნისს ჩვენები მოლდოვას უმასპინძლებენ თბილისში, მეტი ამხანაგური კი საქართველოს წლეულს ჯერ არ დაუჯავშნია.

თუ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, თურქეთი — საქართველო აგვისტოში შეხვდებიან ერთმანეთს (სავარაუდოდ, თურქეთში), რაკილა ოსმალოებს სექტემბერში ოფიციალური მატჩები აქვთ და ამხანაგურებისთვის თავისუფალი დრო მეტი არც დარჩათ.

საქართველო — თურქეთი ორჯერ ოფიციალურად, ორჯერაც ამხანაგურში შეხვედრიან ერთმანეთს და ბოლო დაპირისპირება ჩვენების გამარჯვებით დასრულდა — 2007 წლის თებერვალში დავით სირაძის გოლით 1:0 ვიმარჯვეთ.

**ილია ნანობაშვილი**

## მჭედლიძეს რომა დაუფასდა



ლევან მჭედლიძე

**პირველად** კარიერაში, ლევან მჭედლიძემ სერია A-ს მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. „პალერმოს“ 99 ნომერი ურუგვაელ ედისონ კავანისთან ერთად იყო თავდასხმაში და რამდენიმე ეპიზოდში საკმაოდ კარგადაც გაისარჯა — მისიანებმა „ჯენოასთან“ 0:1 წააგეს სტუმრად.

სიცილიელთა მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმ წინა ტურში „რომასთან“ კარგი თამაში დაუფასა მჭედლიძეს და 75 წუთი ამყოფა მინდორზე, გოლი კი გენუელებმა ბოლო წუთებზე გაიტანეს.

გახსოვთ, როგორ სასწაულად დათმო ჩემპიონობა შოთა არველაძის „ალკმაარმა“ ორი წლის წინ? ამჯერად შოთა AZ-ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა და, სავარაუდოდ, მაისში ერედივიზიონის ჩემპიონობას იზეიმებს — „ალკმაარმა“ ამჯერად როტერდამის „სპარტას“ სტუმრად 2:0 სძლია და 9-ქულიანი ჰანდიკაპით გალიდერდა.

გერმანიის ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილმა 90 წუთი გაატარა „ჰანოვერთან“ გასვლით მატჩში, სადაც „ხუმარებმა“ 0:1 წააგეს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ. შალკელთა ლევან ყენია კი, გეცოდინებათ, ტრავმირებული გახლდათ.

„კარლსრუეემ“ 0:2 წააგო „ბოხუმთან“ და ალექსანდრე იაშვილი განაცხადშიც არ იყო.

მეორე ბუნდესლიგამ ქართველების გარეშე ჩაიარა.

დავით თარგამაძემ „ფრაიბურგის“ სათადარიგოებში გაატარა ორივე ტაიმი, ოთარ ხიზანეიშვილი („აუგსბურგი“), მათე ღვინიანიძე („მიუნხენ 1860“) და ლევან ცქიტიშვილი („ვეენი“) კი განაცხადშიც არ ყოფილან.

**ილია ნანობაშვილი**

## გერმანული ამბები

**ლევან კობიაშვილის** და ლევან ყენიას „შალკემ“ გერმანიის თასის მერვედფინალში იენის „კარლ ცაისი“ 4:1 გაანადგურა.

კობიაშვილი 81-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და საგოლე პასით გამოირჩა.

ტრავმირებული ყენია კი „შალკეს“ განაცხადში არ იყო.

თასზე წარმატებულ თამაშს „შალკემ“ ბუნდესლიგაში წარუმატებლობა მიაყოლა. გელზენკირხენელები „ჰანოვერთან“ 0:1 დამარცხდნენ.

კობიაშვილმა სრულად ითამაშა.

თასის გათამაშებას გამოეთიშა მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“, რომელიც „ჰამბურგთან“ 1:3 დამარცხდა.

ქართველი მცველი სათადარიგო იყო.

გავარდა დავით თარგამაძის „ფრაიბურგიც“ — 1:3 „მაინცთან“.

ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია.

და ბოლოს: ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუეემ“ 0:1 წააგო „ვეენთან“.

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი სათადარიგო იყო.

**კახა შალამბერიძე**

## საქართველოში გრასრუტის ქარტია ჩამოდის

**დღე-დღეზე** საქართველოს უეფას ინგლისელი კონსულტანტი რობინ რასელი ეწვევა, ვინც „გრასრუტის ქარტიას“ ხელმძღვანელია.

საიმისოდ, რომ ამ ქარტიაში საქართველო გაერთიანდეს, სულ ცოტა, შვიდი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: მასობრივ ფეხბურთს მოსახლეობის 2 პროცენტი მაინც უნდა თამაშობდეს; უნდა არსებობდეს ინვალიდთა ფეხბურთი; განვითარდეს ქალთა ფეხბურთი; მინი-მოედნის რაოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს უეფას მოთხოვნებს...

**ოთარ მხეიძე**

## შტურმის მშრალი ტესტი

**გიორგი შაშიაშვილის** და ილია კანდელაკის „შტურმმა“, რომელიც შეკრებაზე თურქულ ბელეკშია, საკონტროლო მატჩი გამართა უნგრულ „ჰალადაშთან“ — 0:0.

შაშიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, კანდელაკი კი მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.

**ოთარ მხეიძე**

## ქართველები ჩეჩნეთში



დავით სირაძე



ლევან გვაზავა

**გროზნოს** „ტერეკი“ თურქულ ბელეკშია შეკრებაზე და ორი ქართველი ფეხბურთელიც ახლავს: ლევან გვაზავა და დავით სირაძე. გვაზავა უკვე შეგვიძლია, ჩეჩნური კლუბის ფეხბურთელად ჩავთვალოთ, სირაძეზე კი საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა ხელისშემშლელიც არაფერი ჩანს.

„როდესაც ახალ ფეხბურთელს აეროპორტში მთავარი მწვრთნელი ხვდება, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. მოხარული ვარ, რომ გაურკვევლობის პერიოდმა გაიარა და ისეთი გუნდის წევრი ვარ, რომელიც თანამედროვე ფეხბურთის ჩვენებას ცდილობს“ — აღნიშნა გვაზავამ.

გროზნოელთა გამოცდილმა თავკაცმა ვიაჩესლავ გროზნიმ კი გვაზავა იქით შეაქო: „მოხარულები ვართ მისი შეძენით. ჩემი აზრით, გვაზავა პრემიერლიგაში საუკეთესო შემტევი ნახევარმცველია“.

**ილია ნანობაშვილი**

## ანჟიმ ქართველობა ოფიციალურად გაიფორმა

**ოთარ მარცვალაძემ,** კახა ალადაშვილმა და სანდრო იაშვილმა რუსეთის პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟისთან“ კონტრაქტები გააფორმეს.

მარცვალაძე და ალადაშვილი „ანჟიში“ კიევის „დინამო 2“-დან მივიდნენ, იაშვილი კი ბოლოს ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა.

ამრიგად, მომავალ სეზონში მახაჩყალურ გუნდში რვა ქართველი ითამაშებს — გოჩა ხოჯავა, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ჯიქია, ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი და სანდრო იაშვილი.

## ხიზანიშვილი სკამზეც არ იჯდა

**ინგლისურ** პრემიერლიგაში ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი“ „მიდლსბროს“ ესტუმრა და უქულოდ გაეყარა.

ხიზანიშვილი მატჩის განაცხადში არ იყო.

24 თამაშიდან 24 ქულით „ბლექბერნმა“ გასავარდნ ზონას თავი დააღწია და მე-16 ადგილზეა.

**ოთარ მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ ვარ მე

## ექტორ რაულ კუპერი: მიყვარს ჩემი თავის გაწვრთნა

*არგენტინა, 2008 წლის ივლისის ბოლო დღეები. ჰექტორ რაულ კუპერის ტელეფონი აწკრიალდა და ისმის ევროპულაქცენტიანი ესპანური...*

*— სენიორ ჰექტორ რაულ კუპერია?*

*— დიახ.*

*— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გაწუხებთ...*

*— საიდან?!*

*— საქართველოდან. გვინდა ვიცოდეთ, გაინტერესებთ თუ არა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მუშაობა...*

*სიჩუმე...*

*— დიახ, რა თქმა უნდა, მაინტერესებს.*

*ასეთი შესავალი აქვს არგენტინის ყველაზე პოპულარული გამოცემის, „ელ გრაფიკოს" ინტერვიუს, რომელიც კუპერს საქართველოს ნაკრებზე ესაუბრა.*

*სიტყვაძვირი კაცია 53 წლის არგენტინელი, მაგრამ „ელ გრაფიკოში" სიჩუმე დაარღვევინა და საკმაოდ ვრცლად ალაპარაკა საქართველოზე — საინტერესო ინტერვიუა, სადაც კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, როგორი მეყათი პიროვნებაა „ჯვაროსნების" თავკაცი და რამდენად აფასებს ჩვენს ქვეყანას.*

*„წინა საუკუნის მიწურულს კუპერი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი იყო, ბოლო წლებში კი წარმატებულად ვეღარ მუშაობდა. თვითონ ჰექტორი ხუმრობს, ეს მსოფლიოში არსებული კრიზისის ბრალიაო" — წერს „ელ გრაფიკო" და აგრძელებს მოყოლას კუპერის პირველ ქართულ დღეებზე...*

*„იმ საუბრიდან რამდენიმე დღეში ჰექტორმა კონტრაქტს ხელი მოაწერა და ფაქსით გააგზავნა საქართველოში. აგვისტოს პირველ რიცხვებში კუპერი ჩავიდა კიდეც თბილისში, მეორედ კი 7 აგვისტოს უნდა ჩასულიყო (უკვე როგორც ოფიციალურად მწვრთნელი), მაგრამ 8 აგვისტოს მოუხდა ევროპაში ჩაფრენა, საქართველოში კი... ზუსტად იმ დღეს კუპერის „ახალ სამშობლოსა" და რუსეთს შორის ომი დაიწყო".*

— ეს წარმოუდგენელი იყო. ევროპაში ჩაფრენა მიზეზთა გამო ერთი დღით დამიგვიანდა. პარასკევ ღამეს კი, როცა საქართველოში წასასვლელად ვემზადებოდი, კომპიუტერში უცნაური ამბები ამოვიკითხე... კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილი მქონდა, ორ კვირაში კი უელსთან ამხანაგური მატჩი იყო დანიშნული.

**— რატომ აირჩიეთ საქართველო? ამ ამბავმა ყველა გააკვირვა...**

— დიახ, მეც კი გამიკვირდა (იცინის)... ასევეა ჩემი ოჯახიც. როდესაც შვილებს ვუთხარი, საქართველოდან დამირეკეს-მეთქი, მათ თვალები აახამხამეს — „მამა, სერიოზულად ამბობ თუ ცუდად ხუმრობ?" ეს ხუმრობა არ იყო და მორჩა, ოჯახიც უნდა დათანხმებოდა ჩემს არჩევანს. საერთოდ, როდესაც წინადადებებს ვიღებ, მინდა, რომ მსურველი მხარე მადლობის გარეშე არ დავტოვო. საქართველო არ არის არგენტინა ან იტალია, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლა გარანტირებული აქვთ. თუმცა მე მომეწონა საქართველოს ვარიანტი, ამასთან, ფინანსური თვალსაზრისით კარგი შემოთავაზება იყო.

**— და მაინც, იტალიისა და ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბებს წვრთნიდით, უცებ კი საქართველოში აღმოჩნდით...**

— პირველ რიგში, მომწონს მწვრთნელობის პროცესი და თუ ეს პროცესი ძნელია, შენც უნდა გაიჭირვო. ყოველთვის ვეუბნები ჩემს თავს ერთ ფრაზას, რომელიც ჩემთვის საკვანძოა: „მე მწვრთნელი ვარ და თუ „ინტერი" ან „ვალენსია" მთავაზობს სამსახურს, ძალიან კარგი, მაგრამ თუ დაბალი რანგის კლუბია ან სულაც ახალგაზრდული, არ არის პრობლემა". იცით, რატომ? ის, რაც მომწონს, ამაშია — მე მიყვარს ჩემი თავის გაწვრთნა. გათავისებული მაქვს, რომ ცხოვრებაში არის ლამაზი მომენტები. მაგალითად, მსახიობი ჯეიმს კაანი ამბობს, რომ ფილმში გადაღებისას სიამოვნებას იღებს. მე კი მსიამოვნებს ბევრი მუშაობა და თუ ჩემი გუნდი მსოფლიოს საუკეთესო ათეულში არ არის, მაგრამ კარგად თამაშობს, უკვე მიხარია.

**— თქვენი თავკაცობით საქართველომ ჯგუფში საწყისი ორი მატჩი წააგო, მერე კი ორი ფრე ითამაშა. ეს საქართველოს ნაკრების პოტენციალის შესაბამისი შედეგია?**

— არანაირად. მეტი შეგვეძლო და მეტ ქულას ვიმსახურებდით. მაგალითად, ბულგარეთთან ცხრა სავოლე შანსი გვქონდა და 0:0 დამთავრდა. კვიპროსთან და ბულგარეთთან საშინაო მატჩებში 4 ქულას ვგეგმავდით, რათა მეორე ადგილზე გასვლა რეალური ყოფილიყო. რატომ მეორე? ჩვენ სულელები არ ვართ და ვიცით, იტალია გავა მსოფლიოს ჩემპიონატზე. დაღი დაგვასვა იმანაც, რომ ირლანდიასთან შესარჩევის პირველი მატჩი გერმანიაში ვითამაშეთ. ეს ომის გამო. სულ სხვაა, როცა გუნდი შინ, 45 ათასი მაყურებლის თანდასწრებით თამაშობს, ეს ძალას გმატებს. ირლანდიასთან და იტალიასთან შეხვედრებიც, ფაქტობრივად, კონფლიქტის ხაზზე იყო — ჩემს ფეხბურთელებს საქართველოში ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები ჰყავდათ დატოვებული. ქვეყანაში ბევრი ადამიანი დაზარალდა. როგორ ჩამესვა ფეხბურთელი ნაჭუჭებში და როგორ გამეთავისუფლებინა ფიქრებისგან, რომელიც მისი საყვარელი ადამიანების გაჭირვებას დასტრიალებდა?! ახლა საქართველოში სიტუაცია თითქოს ნორმალურია, მაგრამ მე ვყავი ნაომარ ადგილებში, სადაც 2700 ადამიანი კარვებში ცხოვრობდა.

**— თქვენ საქართველოში ცხოვრობთ თუ მალიორკაზე?**

— მეც და ჩემი თანაშემწეებიც, ხოსე ფანტაგუსი და ესპანელი ანხელ პუებლა თბილისში ვცხოვრობთ. ოჯახების გარეშე ვართ იქ, თუმც მე შემიძლია ჩემიანებთან ჩასვლა ან სულაც არგენტინაში დღესასწაულების დროს ჩაფრენა. აქტიურად ვადევნებ თვალს საქართველოს ჩემპიონატს და საუკეთესო ფეხბურთელებს სამშაბათობით ცალკე ვწვრთნი. მაგალითად, ირლანდიასთან მატჩში 6 ფეხბურთელი მყავდა მინდორზე ქართული კლუბებიდან.

**— თბილისს იოლად შეეგუეთ?**

— სადაც მივდივარ, მინდა, ის ქალაქი ბოლომდე გავიცნო, ქუჩებში ვიარო. თბილისში ყოველდღე 6-7 კილომეტრს დავდივარ. ბარებში, სუპერმარკეტებში შევდივარ, ხალხს ველაპარაკები... ცოტა ინგლისური ვიცი და ქართული სიტყვებიც ვისწავლე. ამბობენ, რუსული ენა რთულიაო, მაგრამ ქართული ბევრად რთულია, ვუდრე იაპონური და ჩინური ერთად აღებული. აი, მაგალითად, სუპერმარკეტში რამეს რომ ვეძებულობ, ინგლისურად ვსაუბრობ და თუ არ ესმით, ჟესტიკულაციას მივმართავ. როცა იცი ხალხის მანერები, ბევრად ადვილია ქვეყნის გაცნობა

**— საქართველოში მშვიდად ხართ? არ გეშინიათ, რომ ბომბი ჩამოვარდეს?**

*აქ უცებ კავშირი გაწყდა და ვიფიქრე, ემანდ, მართლა ბომბი ხომ არ ჩამოვარდა-თქო. საბედნიეროდ, არა. მომდევნო დარეკვისას ყურმილში ისევ კუპერის ხმა გაისმა, კაცის, რომელსაც საქართველოში ორი თარჯიმანი ჰყავს და ისინი ეხმარებიან ფეხბურთელებთან კონტაქტში — ერთი იტალიურად საუბრობს, მეორე კი ესპანურად.*

— იტალიური კარგად ვიცი და ის ქართველი თარჯიმანი, რომელიც იტალიურად საუბრობს, კარგად ერკვევა ფეხბურთში. თუმცა ქართულადაც ვიცი რაღაც სიტყვები: „გამარჯობა", „შეუტიეთ", „თავი დაიცავით", „მეტი ტემპი"...

**— აი, „შეუტიეთ" და „თავი დაიცავით" რომ შეგეშალოთ, ეს უკვე დიდი პრობლემაა...**

— რა თქმა უნდა. ისევე, როგორც ის, რომ შუალედურად ველაპარაკო, არა? მე სათქმელის პირდაპირ თქმა მიყვარს.

**— ქართველები პატრიოტები არიან?**

— მათ გული სწყდებათ სამშობლოს გაჭირვებაზე. აი, გერმანული „შალკეს" ფეხბურთელმა ლევან კობიაშვილმა უეფას თასზე არ ითამაშა იმის გამო, რომ მის კლუბს მაისურაზე რუსული კომპანიის, „გაზპრომის" სახელი ეწერა. ქართველები ნაციონალისტები არიან და ყველაფერს აკეთებენ, რათა ხალხი გაახარონ. საქართველო არის ქვეყანა, სადაც არ არის სიმდიდრე, არ არის ნავთობი, არ არის გაზი, არ არის ტურიზმი. მოგება ფეხბურთში — ეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო მოვლენაა.

**— ბოლოს „ბეტისსა" და „პარმაში" წარუმატებლობა გდევდათ. არ გიფიქრიათ, ცოტა პაუზა გაგეკეთებინათ და მერე დაგეწყოთ მუშაობა?**

— „ბეტისს" ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, რათა კარგი შედეგები ჰქონდა, მაგრამ არ გამოვიდა. „პარმაში" კი, სანამ მივიდოდი, ვიცოდი, რომ ძალიან რთულად იქნებოდა საქმე. გუნდს სერია A-ში ცოტა მატჩიღა ჰქონდა დარჩენილი და გასავარდნ ზონაში ღრმად იყო.

**— მაგრამ „პარმას" ხელმძღვანელობამ ბოლო ტურის წინ გაგიშვათ — თქვენს ყოფილ „ინტერთან" მატჩის წინ. მაგ დროს ჯერ კიდევ ჰქონდა გუნდს სერია A-ში დარჩენის შანსი...**

— მართლაც გამიკვირდა... „პარმას" პრეზიდენტმა სრული ნდობა არ გამომიცხადა. მას თუ ეგონა, რომ რადგან „ინტერში" ვმუშაობდი, ჩემი გუნდი მას ჩემპიონობაში ხელს არ შეუშლიდა, ეს მართლაც ამაზრზენია. კი, „ინტერთან" მშვენიერი ურთიერთობა მაქვს და მათ შარშან კლუბის 100-წლის იუბილეზეც დამპატიჟეს, მაგრამ „პარმას" პრეზიდენტმა ალბათ არ იცოდა ჩემი ხასიათი, ვინ ვარ მე. „პარმა" რომ გადარჩენილიყო, ორი წლით გახანგრძლივდებოდა ჩემი კონტრაქტი. ძალიან ალოგიკურად მოიქცნენ.

**— არ მოგითხოვიათ განმარტება „პარმას" პრეზიდენტისგან სახალხოდ გაკიცხვის გამო?**

— ვუთხარი, ეს არასწორი გადაწყვეტილებაა, თუმც მიპასუხა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო.

**— ამან გაგაწბილათ?**

— არა. იცით, როცა ასე მირტყამენ, მაშინ უფრო შემართული ვხდები. მწვრთნელს ექნება ცუდი და კარგი პერიოდები, ცუდს მომზადებული უნდა შეხვდეს...

**— თავიდან საოცარი შედეგები გქონდათ, ბოლოს დროს კი აღმართიდან დაბლა ეშვებით...**

— აბა, წარმოგიდგენიათ, რა მშვენიერი იქნებოდა ცხოვრება, თუ ყოველთვის აღმავლობაში იქნებოდი და მარცხი არ გექნებოდა?! არ გეგონოთ, თითქოს წარუმატებლობას გულთან ახლოს არ ვიკარებ. ყველა წაგებული მატჩის მერე წარუმატებლობას ბრჭყალებში ვსვამ — ეს მაშინ, როცა ვხედავ, რომ კარგად ვითამაშეთ და როცა ვხედავ, რომ ეს კარგი მომდევნო მატჩში იჩენს თავს. ვიცი, რომ ჩემს სამწვრთნელო კარიერაში სუპერ-პერიოდი არ დგას, მაგრამ თავს არასოდეს ვხრი და ვცდილობ, გამოვასწორო. ამის დიდი იმედიც მაქვს.

**— არგენტინულ ფეხბურთში დაბრუნება თუ შედის თქვენს გეგმებში?**

— ეს ყოველთვის მაქვს თავში. არ ვიცი, ეს რა მომენტში იქნება და რომელ კლუბში — ძლიერში თუ სუსტში. მწვრთნელი ვარ და ასე მესმის: არასოდეს დაუფიქრებლად არ უნდა უთხრა უარი თუნდაც სუსტ კლუბს.

**— ანუ საქართველო არ არის თქვენი ბოლო გამოცდა?**

— რაც უნდა მოხდეს, მწვრთნელობას შევწყვეტ მაშინ, როცა შევატყობ, რომ აღარც მოტივაცია მაქვს და აღარც ფეხბურთის სიყვარული. ზოგი სპეციალისტი ამბობს, მწვრთნელობას 63 წლის ასაკში შევწყვეტო. უცნაურია და, ვთქვათ, ვერ მიხვედი 63-მდე და 53 წლისას აღარავინ გთავაზობს სამსახურს?! მე ამაზე არ ვფიქრობ — მწვრთნელობა მსიამოვნებს.





# კუპერს მექსიკიდან ეხმიანებოდნენო...

**ექტორ რულ კუპერი** ბოლო სამ-ოთხ წელიწადში დიდი წარმატებებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, თუმც მასზე მაინც საკმაო მოთხოვნაა — ყველას ახსოვს მისი აყვავებული „მალიორკა“, „ვალენსია“, გარკვეულწილად კარგი სეზონი „ინტერში“.

საქართველოს ნაკრების თავკაცს რომ რამდენიმე კვირის წინ ესპანური „ალმერია“ „აწუხებდა“, ეს არახალია.

რამდენადაც ვიცით, პრიმერადივიზიონის კლუბს არგენტინელის უარის შემდეგლა მიუწვევია ლეგენდარული მექსიკელი უგო სანჩესი.

და აი, შედარებით ძველი ამბავიც: ნოემბრის მიწურულს კუპერს მექსიკის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, გვადალახარას „ჩივასი“ სთავაზობდა მწვრთნელობას.

„ჩივასის“ პრეზიდენტ ხორხე ვერგარას სიტყვებია, კუპერმა მადლობა გადაგვიხადა მისდამი დაინტერესებისთვისო, თუმცა საქმე წინ აღარ წაწეულა...

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველო — მოლდოვა: 6 ივნისს, უკვე მერვედ

**6 ივნისს** თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრები მოლდოვას უმასპინძლებს.

ორივე მხარე შეთანხმდა და შედეგად, საქართველო და მოლდოვა მერვედ შეხვდებიან ერთმანეთს.

გასული შვიდი მატჩიდან მეტოქეებმა სამ-სამჯერ მოუგეს ერთმანეთს, ერთი თამაში კი ფრედ დასრულდა. ამ შვიდიდან ოთხი ოფიციალური, შესარჩევის შეხვედრა იყო და ორჯერ მოიგო მოლდოვამ, ორჯერაც — საქართველომ.

**ილია ნანობაშვილი**

## კვირის ქრონიკა

### ციმაკურიძე მეორეში გამოჩნდა

**თურქულ** შეკრებაზე ლუგანსკის „ზარიამ“ ამხანაგური მატჩი ჩაატარა რუსეთის პირველდივიზიონელ „ურალთან“ და 1:2 დამარცხდა.

ზარიელმა გიორგი ციმაკურიძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

ქართველი მცველი „ზარიაში“ 2007 წლიდან ირიცხება და მალე, ლუგანსკური კლუბის მოთხოვნით, უკრაინის მოქალაქეობას მიიღებს.

### თეთრაძე VS კვარაცხელია

**ომარ თეთრაძის** მახაჩყალის „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა და ბადრი კვარაცხელიას ბაქოს „სტანდარდთან“ 0:1 წააგო.

დაღესტნურ გუნდში გიორგი ნავალოვსკიმ, ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავამ და სანდრო იაშვილმა პირველ ტაიმში ითამაშეს, კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე კი შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მინდორზე.

### დვალიშვილი გოლით გამოირჩა

**ლატვიურმა** „სკონტომ“ პირველლიგელ „მეტლუსთან“ ამხანაგურ მატჩში 3:0 იმარჯვა.

ვლადიმერ დვალიშვილმა შეუცვლელად ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა, დავით გამეზრდაშვილი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

### სამი ქართველი მშრალად

**კიევის** „დინამო 2“-მა საკონტროლო მატჩი გამართა „ლვოვთან“ და მეტოქეს უგოლოდ დაშორდა.

თემურ ფარცვანიამ სრულად ითამაშა, ლაშა თოთაძემ პირველი ტაიმი დაჰყო მოედანზე, იმედაშვილი კი 55-ე წუთზე გამოჩნდა.

*სჯობს გვიან, ვიდრე...*

# საქართველო-2006 უცხოელის თვალით

## მიხეილ სააკაშვილი ჩემპიონს ქომაგობს

## ვინ გითხრათ, ეს კარგიაო?!

**ზოგმა** მკითხველმა ეგებ თქვას, როდინდელ ამბავს იხსენებთო, მაგრამ, რასაც აქ დავწერთ, უფრო სწორად, რასაც უცხოური პრესიდან გადმოვთარგმნით, ვფიქრობთ, საინტერესოა და ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალობას მოიცავს — მართალია, ეს უცხოური გამოცემა ცინიზმს არ ერიდება და ქართული ფეხბურთის ყოფასაც ბნელეთად სახავს, მაგრამ თვალი გავუსწოროთ: ბევრს არაფერს იგონებს...

უცხოელი ჟურნალისტი მუნდიალ-2006-ის დღეებში ყოფილა თბილისში და... დანარჩენი წაიკითხეთ...

„საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე — ქართული პოლიტიკური ელიტიდან. მგონი, მხოლოდ ეს ორი ადამიანი არ შემიმჩნევია მუნდიალის გარშემო ატეხილ აურზაურში.

...საქართველოში ფეხბურთი ყოველთვის სპორტის ნომერ პირველი სახეობა იყო და არის — ახლაც კი, როცა თბილისის „დინამოს“ ძველი დიდებისა არაფერი დარჩენია, ხოლო ნაკრები, სახელიანი ფეხბურთელების მიუხედავად, გულშემატკივრებს გაწბილების მეტს არაფერს სთავაზობს...



სანდრა რულოვსი და მიხეილ სააკაშვილი

...თქმა არ უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატი ყველა ქვეყანაში სასწაულ ბუმს იწვევს, მაგრამ ის, რაც საქართველოში ხდება, ალბათ, ანალოგი არ აქვს. ამ ქვეყანაში 32-ივე ნაკრების ფანკლუბია გახსნილი და ეს გარკვეული წრეების ორგანიზებულს ჰგავს. იცით, რატომ გამიჩნდა თავიდან ეს ეჭვი? თუნდაც იმიტომ, რომ კოტდივუარის დროშა ან მაისურა თბილისის მაღაზიებში ვერსად შევნიშნე, თუმც ამ ნაკრების ქართველ ფანებს „სპილოების“ მაისურაც აცვიათ და დროშებიც დააქვთ.

კეთილი, გვესმის, რომ კოტდივუარს დიდი დროგბა ჰყავს; გვესმის უკრაინის ნაკრების ფან-კლუბისაც, რადგან უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, პლუს ანდრეი შევჩენკო-კახა კალაძის მეგობრობა... მაგრამ ვინ შეიძლება ახსნას, რატომ არის საქართველოში არაფრით გამორჩეული შვეიცარიის, კოსტა-რიკის ან თუნდაც შვედეთის ნაკრების ფან-კლუბები?! ვერ წარმომიდგენია, დანიაში, რომელიც ასევე შორიდან უყურებს მუნდიალს, რომელიმე ქვეყნის ნაკრების ფან-კლუბი შეიქმნას...

–ეს ხალხი თბილისის ლამაზ, ძველ უბნებში დადიან და მღერიან. მათ არაფორმალური მმართველები ჰყავთ პოლიტიკური არენიდან. მართალია, პოლიტიკოსები მათთან ერთად ქუჩებში არ დამღერიან, მაგრამ მატჩებისას კაფე-ბარებში ჩნდებიან. მაგალითად, განათლების მინისტრი კახა ლომაია იმ კაფეში დადის, სადაც „ბრაზილიური ტორსიდაა“ შეკრებილი. ეს მაშინ, როცა ქართველი პროფესორები ლომაიას რეფორმებს განუწყვეტლივ ხმამაღლა ეწინააღმდეგებიან.

კაფე-ბარებში ნახავდით საქართველოს პირველ ლედის, სანდრა რულოვსსაც — სანამ პორტუგალიამ ჰოლანდიას ჩემოდანი არ ჩაალაგებინა.

კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, დეპუტატები დავით კირკიტაძე და გოგა ბოკერია არგენტინის ნაკრების მაისურებით დადიოდნენ...

მატჩების შემდეგ ტრადიციული კომენტარები ისმის: მაგალითად, კირკიტაძემ ოლეგ ბლოხინი ესპანეთთან 0:4 წაგების მერე ისე გააკრიტიკა, გეგონებოდა, რაში სჭირდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უცხოელი მწვრთნელის ძებნა და მათში მილიონების გადახდა... ბოკერია კი არგენტინელთა მარჯვენა მცველით იყო აღშფოთებული, სათამაშო დონეს უწუნებდა...

...ახლა საქართველოს ნაკრებსაც ჰყავს ფან-კლუბი თავისი ჰიმნით და ვნახოთ, რამდენად უშველის ეს ქართულ ფეხბურთს...

...მაგრამ რჩება კითხვა: ვის ქომაგობს საქართველოს პრეზიდენტი? სხვადასხვა ვერსია მოვისმინე, ზოგმა კი მოსწრებულად აღნიშნა — სააკაშვილი მომავალ ჩემპიონს გულშემატკივრობსო. ეს მის ხასიათში ზის. აი, როცა ჩემპიონი გაირკვევა, ალბათ, მაშინღა იტყვის სააკაშვილი, ვისკენ იყო მისი სიმპათიები.

ასეა, მას წაგება არ უყვარს!

*ასეთია უცხოელის დანახული საქართველო 2006 წლის ზაფხულში.*

**ილია ნანობაშვილი**




დავით ოდიკაძე


რატი ალექსიძე (შუაში) კონტრაქტის გაფორმების შემდეგ

# ოდიკაძე და ალექსიძე: უნგრეთიდან თურქეთში

**უნგრული** „დიორ ეტო" შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა და თან ორი ქართველი ახალწვეული, დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე იახლა.

ოდიკაძე თბილისის „დინამოდან" გადავიდა „დიორში" და 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„დინამოს" ყოფილი კაპიტანი უნგრეთში საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, ფიფას აგენტმა გოგა გახოკიძემ ჩაიყვანა.

გახოკიძემვე გაახერხა რატი ალექსიძის ტრანსფერიც — თბილისის „ლოკომოტივის" აწ უკვე ყოფილმა თავდამსხმელმაც 3,5 წლით გააფორმა კონტრაქტი.

**კახა შალამბერიძე**

# ქორთუა პერტიასთან

**ლატვიურმა** „დინაბურგმა" 21 წლის ქართველი მცველი ირაკლი ქორთუა დაიმატა.

ეს ფეხბურთელი კიევის „დინამოს" დუბლებში თამაშობდა, ბოლოს კი ლიტვურ „პლაზმაში" გახლდათ და ახლა უკვე თამაზ პერტიას გაწვრთნილ „დინაბურგშია".

პერტიას გუნდში კიდევ ერთი ქართველია: პაატა დათუნაიშვილი.

# ბეგლარიშვილი: ახლა ტვენტეში

**„ფონდი არველაძის"** მიერ ამსტერდამის „აიაქსში" ორჯერ მივლენილი 18 წლის ფეხბურთელი ზაქარია ბეგლარიშვილი ახლა ენსხედეს „ტვენტეში" ისინჯება.



საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების ნახევარმცველი „ტვენტეს" სარეზერვო გუნდში ვარჯიშობს და მისი საკითხი მალე უნდა გაირკვეს.

„ფონდი არველაძის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ბეგლარიშვილს „ტვენტეს" მთავარი გუნდის მწვრთნელებიც აკვირდებიან.

**კახა შალამბერიძე**

# ჭანტურიას ელჩი შეიფარებს

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ჭანტურია ერთი თვეა, „ბარსელონაში" ჩაირიცხა და უკვე გაურჩინა სალაპარაკო იქაურებს.

საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" აღზრდილი ჭანტურია „ბარსელონაში" ახალი წლის შემდეგ გაემგზავრა, კლუბის აკადემიაში ვარჯიშობს და ამხანაგურ მატჩებსაც ატარებს.

2 თამაშში 4 გოლი და ერთი საგოლე პასი — ასეთია ქართველი ჭაბუკის მონაგარი.

პირველი მატჩი „ბარსელონამ" 3:0 მოიგო და სამივე გოლი ჭანტურიამ შეაგდო, მეორე შეხვედრაში კი ჩვენებურმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

ოფიციალურ მატჩებს 15 წლის ქართველი ჭაბუკი თებერვლიდან ჩაატარებს.

და ერთიც: „ბარსელონამ" ჭანტურიას საკითხის საბოლოოდ მოგვარება დაიწყო და ოჯახისგან საბუთების გაგზავნა მოითხოვა.

როგორც შევიტყვეთ, გიორგი ესპანეთში საქართველოს ელჩის, ზურაბ პოლოლიკაშვილის მეურვეობის ქვეშ მოექცევა.

ჭანტურიასა და „ბარსელონას" შორის კონტრაქტიც ამის შემდეგ გაფორმდება.

**კახა შალამბერიძე**

# სასურველი კაცია გაზაევი



**ბულგარეთის** ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდაა, თუმც შესაძლოა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვალერი გაზაევი გაუთავკაცდეს.

თბილისის „დინამოში" ნათამაშევი და რუსეთის ნაკრებში მუშაობისას საქართველოს ნაკრებისგან ძლეული გაზაევი ამჟამად ისვენებს. მოსკოვის ცსკა-დან წასვლის შემდეგ ვალერი გეორგიევიჩი გულს მკურნალობს. თურმე ნუ იტყვით და, ექიმს გაზაევისთვის უთქვამს, გულისთვის რუსულ კლუბში მუშაობა არ შეიძლება, ეგებ, ევროპაში წახვიდეო.

ულვაშა მწვრთნელის აგენტი ბულგარელთაგან დაინტერესებას ადასტურებს — გაზაევს რამდენიმე შეთავაზება აქვს, მაგრამ ბულგარელებისგან ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი მოვისმინეთო.

ვალერი გეორგიევიჩის გარდა, ბულგარეთის ფეხბურთის კავშირი კრასიმირ ბალაკოვისა და სტანიმირ სტოილოვის კანდიდატურებსაც განიხილავს. რაც შეეხება ავრაამ გრანტს, მასთან ბულგარელებმა შეთანხმება ვერ შესძლეს — ებრაელმა მწვრთნელმა დიდი თანხა მოგვთხოვაო.

ვნახოთ, ვინ უთავკაცებს ბულგარეთს საქართველოსთან სოფიურ მატჩში...

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები საბჭოეთში, ქართველები რუსეთში...

**რუსულ** ვებგვერდზე საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს მივაგენით, სადაც ჯერ საბჭოეთის ჩემპიონატის, მერე კი რუსეთის პრემიერლიგის 100-100 საუკეთესო მეგოლეა წარმოდგენილი.

საბჭოთა კავშირის და რუსეთის ჩემპიონატის 73-წლიან ისტორიაში ყველაზე ბევრი გოლი ოლეგ ბლოხინს გაუტანია, ასეულში კი 10 ისეთი ფეხბურთელია, თბილისის „დინამოში" რომ უთამაშია. მათ შორის საუკეთესო შედეგი ავთანდილ ღოღობერიძეს აქვს — 127 გოლი. „ბასას" გარდა, კიდევ ორი დინამოელს აქვს გატანილი ასზე მეტი ბურთი — რამაზ შენგელიასა და ბორის პაიჭაძეს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლეგ ბლოხინი (დინამო კ) | 211 | (1970-87) |
| 8 | ავთანდილ ღოღობერიძე | 127 | (1945-60) |
| 12 | რამაზ შენგელია | 120 | (1977-88) |
| 20 | ბორის პაიჭაძე | 104 | (1936-51) |
| 32 | გივი ნოდია | 93 | (1966-77) |
| 49 | სლავა მეტრეველი | 83 | (1957-70) |
| 58 | დავით ყიფიანი | 79 | (1971-82) |
| 82 | ბახვა თედეევი | 68 | (1985-02) |
| 85 | ვლადიმერ ბარქაია | 67 | (1957-66) |
| 94 | შოთა იამანიძე | 65 | (1956-67) |
| 98 | ანდრო ზაზროევი | 64 | (1946-59) |

ცნობისთვის, თედეევს 3 გოლი აქვს გატანილი თბილისის „დინამოს" მაისურით. ანდრო ზაზროევს — 36, სლავა მეტრეველს — 52, გივი ნოდიას კი — 75.

მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატებში გატანილი გოლების რაოდენობით კი ვოლგოგრადის „როტორის" ყოფილი ფორვარდი ოლეგ ვერეტენიკოვი ლიდერობს — 143.

საუკეთესო ასეულში ხუთი ქართველია, თუმც ისინი მაღალ ადგილებზე არ არიან. ყველაზე ბევრი ბურთი რუსეთში გიორგი დემეტრაძეს შეუგდია — 43.

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოლეგ ვერეტენიკოვი | 143 |
| 2 | დმიტრი ლოსკოვი | 111 |
| 3 | დმიტრი კირიჩენკო | 103 |
| 37-39 | გიორგი დემეტრაძე | 43 |
| 47-49 | ზურაბ წიკლაური | 37 |
| 56-61 | გოჩა გოგრიჭიანი | 34 |
| 62-67 | ზაზა ჯანაშია | 33 |
| 83-88 | მიხეილ აშვეთია | 28 |

ევროთასებზე რუსული კლუბების სახელით გატანილი გოლების რაოდენობით ლიდერი ბრაზილიელი ვაგნერ ლავია (24), ზაზა ჯანაშიას 14-ჯერ შეუგდია (8 თასების თასზე, 6 უეფას თასზე), მიხეილ აშვეთიას კი 6-ჯერ (3 ჩემპიონთა ლიგაში, 3 უეფას თასზე).

ამ მაჩვენებლით ჯანაშია რუსეთში მე-9-მე-10 ადგილებს იყოფს რომან პავლიუჩენკოსთან ერთად, აშვეთია კი 25-ე-32-ე საფეხურებზეა.

რა ეროვნების კაცს აღარ უთამაშია რუსეთის პრემიერლიგაში...

ყველაზე ბევრი გოლი ლეგიონერებიდან უკრაინელებს გაუტანიათ, მეორეზე ბრაზილიელები არიან, მესამეზე ბელარუსები, მეოთხეზე კი ქართველები...

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | უკრაინა | 483 | გოლი (80 ფეხბურთელი) |
| 2 | ბრაზილია | 349 | (51) |
| 3 | ბელარუსი | 344 | (47) |
| 4 | საქართველო | 317 | (33) |

**ილია ნანობაშვილი**


ავთანდილ ღოღობერიძე


გიორგი დემეტრაძე

ხორვატი ივო შუშაკი სომხურ „მიკას“ რომ წვრთნის, გეცოდინებათ. თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაცს ინტერვიუ სომხურმა „ფუტბოლ +“-მა ჩამოართვა და, ვფიქრობთ, ეს ქართველი გულშემატკივრისთვისაც საინტერესო უნდა იყოს...



# ხორვატიის და საქართველოს მერე სომხეთი არ გამკვირვებია

## ივო შუშაკი: ერევანი პარიზი ან ვენა არ არის, მაგრამ...

— ხორვატიაში დავიბადე. ის ისეთივე პატარა ქვეყანაა, როგორიც სომხეთი. ასევე პატარა საქართველოშიც ვმუშაობდი. ამდენად, ჩემთვის ამაში საახლე არაფერია. როდესაც „მიკას“ პრეზიდენტმა მიქაელ ბაღდასაროვმა თანამშრომლობა შემომთავაზა, დავთანხმდი და მუშაობა დავიწყე. ახლა მთავარია, გუნდის ძალიერებაზე ვიზრუნოთ, რათა ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში ღირსეულად გამოვიდეთ.

**— არაერთ კლუბში გიმუშავიათ. „მიკას“ როგორ შეაფასებდით?**

— „მიკას“ 5-ჯერ აქვს მოპოვებული სომხეთის თასი და ევროთასებზეც უთამაშია. აქ სამუშაოდ იდეალური პირობებია. კარიერის მანძილზე ისეთი სერიოზული კლუბები გამიწვრთნია, როგორებიც ზაგრების „დინამო“, „ოსიეკი“, „ზაგრები“, სლოვენიური „მარიბორი“ და თბილისის „დინამოა“. მინდა გითხრათ, რომ „მიკა“ მათ არაფრით ჩამორჩება.

**— აქამდე სომხურ ფეხბურთზე რამე თუ იცოდით?**

— უშუალოდ სომხურ ფეხბურთზე არაფერი მსმენია, თუმცა, საქართველოში მუშაობისას ზოგადად კავკასიურ ფეხბურთზე ბევრი რამ გავიგე. ვიცი, რომ საბჭოთა კავშირის დროს ერევნის „არარატი“ ძლიერ კლუბად ითვლებოდა და ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი გამხდარა.

**— „მიკას“ მზადების გეგმა და მიზნები როგორია?**

— მიზნებზე საუბარი ნაადრევია. თუკი წარმატების მიღწევა გვსურს, სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს. შემადგენლობის ფორმირებას თურქული და ესპანური შეკრებების დროს მოვახდენ.

**— „მიკამ“ კონტრაქტი ორ ესპანელ ფეხბურთელთან გააფორმა. მათზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ისინი ორმხრივ შეხვედრაში გამოვცადეთ და კმაყოფილი დავრჩი. ესპანელები გუნდში ევროპულ მენტალიტეტს შემოიტანენ — ისინი მუდამ გამარჯვებაზე ფიქრობენ და ეს ადგილობრივმა ფეხბურთელებმა უნდა გაითავისონ.

**— თქვენს თანაშემწედ გორდან ციპიჩი მუშაობს. რა ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან?**

— გორდანთან ერთად არასოდეს მიმუშავია. როდესაც ზაგრების „დინამო“ ჩავიბარე, ის მაშინ თამაშობდა. თავის დროზე ბელგიურ და გერმანულ კლუბებშიც ყოფილა. მერე ციპიჩი ხორვატიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და გარკვეული გამოცდილება მიიღო. სომხეთში ის ჩემი თხოვნით ჩამოვიდა და ძალიან მეხმარება.

**— როგორც წესი, უცხოელ მწვრთნელებს გუნდში თანამემამულე ფეხბურთელებიც მიჰყავთ ხოლმე...**

— როდესაც „მიკაში“ მოვდიოდი, იგივე კითხვა კლუბის პრეზიდენტმაც დამისვა. ხორვატიაში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია, თუმცა, მათ აღმოსავლეთ ევროპაში თამაში არ სურთ. თან, ხორვატები საკმაოდ ძვირად ფასობენ და არა მგონია, „მიკას“ მათი შეძენის საშუალება ჰქონდეს.

**— თვეზე მეტია, სომხეთში იმყოფებით. ქვეყანაზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?**

— კარგის მეტი არაფერი. ცხადია, ერევანი პარიზი ან ვენა არ არის, თუმცა ყველა ქვეყანას საკუთარი მომხიბვლელობა გააჩნია. როდესაც სლოვენიასა და საქართველოში ვმუშაობდი, ამ ქვეყნებზეც დიდი შთაბეჭდილება შემექმნა.

**— „მიკა“ რომ ხორვატიის ჩემპიონატში თამაშობდეს, რომელ ადგილს დაიკავებდა?**

— ხორვატიაში ორი ძლიერი გუნდია — ზაგრების „დინამო“ და სპლიტის „ჰაიდუკი“. შემდეგ კი „შიბენიკი“, „ოსიეკი“ და „რიეკა“ მოდიან. რომ შევადაროთ, „მიკა“ მესამე-მეშვიდე ადგილებისთვის იბრძოლებდა. იმედი მაქვს, როდესმე ხორვატულ კლუბებს შევხვდებით და ჩვენი რეალური ძალა იქ გამოჩნდება.

**— რამეს ხომ არ დაამატებდით?**

— როდესაც სლოვენიურ „მარიბორს“ ვწვრთნიდი, ქვეყნის ჩემპიონობა მოვიპოვე, ჩემი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი კი სლოვენიის ნაკრებში ირიცხებოდა, რომელმაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გასვლა მოახერხა. თბილისის „დინამოშიც“ იგივე სიტუაცია იყო, თუმცა საქართველოს ნაკრებმა სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია. ვფიქრობ, „მიკაშიც“ მსგავსი რამ უნდა გავაკეთოთ. თუ სომხეთის ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელებს მოვამზადებ, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

# კილიკიამ ბათუმი ირჩია

**სომხეთის** ჩემპიონატის აუტსაიდერი „კილიკია“ შეკრების გასავლელად ბათუმში ჩავიდა.

სომხური პრესის ცნობით, სათებერვლოდ ბათუმში რამდენიმე ქართული კლუბიც გეგმავს ჩასვლას და კილიკიელებს საკონტროლო მატჩები არ მოაკლდებათ.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლო დროს საქართველოში შეკრების გასავლელად უკვე სისტემატურად ჩამოდიან აზერბაიჯანული ზაქათალის „სიმურგი“ და ბაქოს „ოლიმპიკი“, ოღონდ ეს კლუბები თბილისს ირჩევენ.

**კახა ზალამბერიძე**

# სახოკია ტობოლში ისინჯება

**ქართველი** თავდამსხმელი ზაზა სახოკია თურქულ შეკრებაზე ახლავს ყაზახურ „ტობოლს“. სახოკიამ უკვე ითამაშა „ტობოლ“ — „ვიტ ჯორჯიას“ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც ყაზახებმა 3:0 მოიგეს.

საინტერესოა, რომ სახოკია ადრე სწორედ „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობდა, შარშან კი სომხურ „მიკაში“ ირიცხებოდა.

**კახა ზალამბერიძე**

SBM Georgia — ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

# ბიზნესის ლიგამ ხელები მოიფშვნიტა

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგაში პირველი ეტაპი დასრულდა და იმ 10 გუნდის ვინაობაც გაირკვა, უკვე მომდევნო კვირას სუპერლიგის გათამაშებაში რომ ჩაებმება.

ბოლო ტურში ორი გამორჩეული მატჩი იყო: „პეპსიმ“ მეკარე ზაალ ჩიტალაძის ბრწყინვალე თამაშით და მოგერიებული პენალტით აჯობა გიორგი გოგშელიძის „ოლიმპიურ ვარსკვლავს“. B ჯგუფში კი იგივე ანგარიშით „ალგორითმმა“ მოუგო „პატრულს“ და სწორედ „პეპსიმ“ და „ალგორითმა“ შეავსეს სუპერლიგის ათეული.

შეგახსენებთ, რომ დანარჩენი გუნდები უმაღლეს ლიგაში გააგრძელებენ თამაშს.

ამ კვირაში კი გაირიგიც ჩამოიწერება და ბიზნესის თასის გათამაშების წილისყრაც გაიმართება. ხოლო გუნდები ამ კვირას შემადგენლობების გასაძლიერებლად გამოიყენებენ.

### A ჯგუფი

**ბოლო ტური**

დეპარტამენტი 4:3 ვისოლი
სარბიელი 6:3 პალიტრა
სპორტმედია 0:5 იუ ჯი თი
პეპსი 1:0 ოლ. ვარსკვლავი

**გამოტოვებული მატჩი**

დეპარტამენტი 0:1 პალიტრა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტი | 8 | 6 | 1 | 1 | 29:10 | 19 |
| სარბიელი | 8 | 6 | 1 | 1 | 29:17 | 19 |
| პალიტრა | 8 | 6 | 0 | 2 | 26:17 | 18 |
| ვისოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 23:16 | 13 |
| პეპსი | 8 | 3 | 3 | 2 | 21:20 | 12 |
| ოლ. ვარსკვლავი | 8 | 3 | 0 | 5 | 18:17 | 9 |
| სპორტმედია | 8 | 2 | 1 | 5 | 17:26 | 7 |
| იუ ჯი თი | 8 | 2 | 0 | 6 | 14:18 | 6 |
| სამგორი 94 | 8 | 0 | 1 | 7 | 11:47 | 1 |

### B ჯგუფი

**ბოლო ტური**

პატრული 0:1 ალგორითმი
AMTS-JAMC 4:1 საჯ. რეესტრი
BP 3:10 სეუ
სტანდარტბანკი 0:5 ნიკორა
შერატონი 1:5 იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 9 | 8 | 0 | 1 | 45:15 | 24 |
| სეუ | 9 | 7 | 2 | 0 | 63:18 | 23 |
| ნიკორა | 9 | 5 | 2 | 2 | 31:21 | 17 |
| შერატონი | 9 | 4 | 3 | 2 | 27:21 | 15 |
| ალგორითმი | 9 | 4 | 2 | 3 | 24:22 | 14 |
| პატრული | 9 | 4 | 1 | 4 | 20:18 | 13 |
| სტანდარტბანკი | 9 | 3 | 1 | 5 | 27:34 | 10 |
| AMTS-JAMC | 9 | 2 | 0 | 7 | 12:46 | 6 |
| საჯ. რეესტრი | 9 | 1 | 3 | 5 | 21:38 | 6 |
| BP | 9 | 0 | 0 | 9 | 11:48 | 0 |

# ადამიას დააკლეს და... მოგვარდა

**ქართველი** გიორგი ადამიას ბაქოს „ნეფთჩიდან“ „ბაკუში“ გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა.



„აზერისპორტთან“ საუბარში „ნეფთჩის“ ვიცე-პრეზიდენტმა ილგარ გულუზადემ აღნიშნა, „ბაკუმ“ ადამიას სანაცვლოდ მოთხოვნილი სატრანსფერო თანხა გადაიხადა და მას ახალ კლუბში კარიერის გაგრძელების პრობლემა არ შეექმნებაო.

„მეწვთობეებმა“ ქართველ თავდამსხმელში თავიდან 180 000 მანათი მოითხოვეს, მოგვიანებით კი 100 000-ს დათანხმდნენ.

ადამია „ბაკუსთან“ ერთად თურქეთში ემზადება და გადაწყვეტილია, რომ კონტრაქტს სეზონის ბოლომდე გააფორმებს.

# გაბალაც კი არ გამოდის

**აზერბაიჯანი** ყველაზე ადვილი პლაცდარმი იყო ქართველი ფეხბურთელებისთვის, თუმცა ბოლო დროს იქაც გვარიანად უჭირთ ჩვენიანებს მოწყობა.

აგერ, აზერბაიჯანის ჩემპიონატის საშუალო დონის გუნდმა „გაბალამ“ მირზა მერლანი და გოგი ფიფია არ დაიტოვა.

რუსთავის „ოლიმპის“ ეს ფეხბურთელები გასინჯვაზე იყვნენ.

**ოთარ მხეიძე**

# მესხი გოლაობს

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა აზერბაიჯანულმა „ქარვანმა“ ბულგარეთის ქვედალიგელ „ჩავდარს“ 2:0 სძლია.

„აზერისპორტის“ ცნობით, ევლახელთა ორივე გოლი მიხეილ მესხმა გაიტანა.

შეგახსენებთ: 30 წლის საყრდენი ნახევარმცველი „ქარვანში“ შარშან გადავიდა თბილისის „ამერიდან“.

**ოთარ მხეიძე**

# მჟავანაძე როსტოვშია



ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი კახა მჟავანაძე რუსულ „როსტოვში“ მივიდა.

როსტოველები შეკრებაზე ისრაელში გაემგზავრნენ და თან ქართველი ფეხბურთელიც იახლეს.

მჟავანაძე ბოლოს ოდესის „ჩერნომორეცში“ თამაშობდა და ტრანსფერზე დააყენეს.

როგორც შევიტყვეთ, მჟავანაძის „როსტოვში“ ჩარიცხვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია და ჩვენიანიც მალე გააფორმებს კონტრაქტს.

შეგახსენებთ, რომ „როსტოვი“ პრემიერლიგის დებიუტანტია.

კახა შალამბერიძე

# ჩიხრაძე ისევ ლუჩელია

ქართველი მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე, რომელიც ბოლოს „მედ რასიაში“ ირიცხებოდა, თურქულ შეკრებაზე მყოფ „ლუჩ-ენერგიას“ შეუერთდა.

ჩიხრაძე რუსეთის მოქალაქეა და შარშან მის გადმობირებაზე და საქართველოს ნაკრებში მიწვევაზე იყო ლაპარაკი, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა.

33 წლის ჩიხრაძეს აქამდე „ავტოზაპჩასტიში“, ცსკა-ს დუბლებში, თბილისის „დინამოში“, „კავკაზკაბელში“, ნალჩიკის „სპარტაკსა“ და „ლუჩ-ენერგიაში“ უთამაშია.

1998 წელს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯეს, თუმცა ორი წლის შემდეგ სასჯელი გაუუქმეს.

# გრიგალავამ მოსკვა ირჩია



19 წლის მცველი გია გრიგალავა რომ წლეულს „სკა-როსტოვიდან“ წავიდოდა, დიდი გამოცნობა არ უნდოდა. მას რუსეთში ახალი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად თვლიან და აკი ამასწინათ ამსტერდამის „აიაქსშიც“ იყო გასინჯვაზე, სადაც სამი მატჩი ჩაატარა მეორე შემადგენლობაში. საბოლოოდ, ჰოლანდიურმა გრანდმა გრიგალავა მაინც დაიწუნა და გია რუსეთის პრემიერლიგის „მოსკვაში“ გადადის. შეიძლება ითქვას, ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია.

გრიგალავა რუსეთის მოქალაქეა, თუმცა ჯერაც რჩება შანსი, რომ საქართველოს ნაკრების მაისურა მოირგოს — ეს თვითონ ფეხბურთელის სურვილზეა, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რუსები მას აღარ დაკარგავენ...

ილია ნანობაშვილი

# რა შემთხვევაში გაუშვებენ გოგუას

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ნალჩიკის „სპარტაკმა“ შვეიცარიულ „ვადუცთან“ ამხანაგურ მატჩში 1:1 ითამაშა.

ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა ძირითადში იყვნენ და შესვენებაზე შეცვალეს.

მორიგ ტესტ-მატჩში კი „სპარტაკმა“ რუსეთის პირველდივიზიონელ „სიბირს“ 2:1 მოუგო.

ამისულაშვილი და გოგუა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

ერთიც: ნალჩიკელთა მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა გოგუას გუნდიდან სავარაუდო წასვლაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „გოგუა სეზონისთვის ჩვენთან ერთად ემზადება. თუ რომელიმე კლუბი მისაღები წინადადებით მოგვმართავს, მაშინ მას გავუშვებთ“.

კახა შალამბერიძე

# ვაჟა თარხნიშვილი თავაწეული მიდის




ტირასპოლის „შერიფის“ კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა სეზონის შემდეგ, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს.

თარხნიშვილი „შერიფში“ 1999 წელს გადავიდა და ტირასპოლელთა ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეა.

2002 წელს ის მოლდოვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ერთიც: თარხნიშვილის კაპიტნობით „შერიფი“ ორჯერ გახდა „თანამეგობრობის თასის“ გამარჯვებული.

უკვე გადაწყვეტილია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ თარხნიშვილი „შერიფის“ დირექტორატში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნება.

კახა შალამბერიძე

# ხუციშვილი ისევ ტაბლოზეა



თურქულ შეკრებაზე მყოფი სერბული „ვოივოდინა“ ამხანაგურ მატჩში სანდრო გურულის ლვოვის „კარპატის“ შეხვდა —. 2:2.

„ვოივოდინა“ 1:2-ს აგებდა, მაგრამ ხუციშვილმა თავურით გაათანაბრა ანგარიში.

ეს ქართველი ფეხბურთელის ზედიზედ მეორე გოლია სერბულ კლუბში.

ლვოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო სანდრო გურული, მაგრამ მცირე ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

კახა შალამბერიძე



# გიორგი განუგრავა ჰაერში გამოეკიდა

ჩეხურმა „ბოლესლავმა“ ქართველ ნახევარმცველ გიორგი განუგრავასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა და 20 წლის ფეხბურთელს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

„ბოლესლავის“ ძირითადი შემადგენლობა თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე, განუგრავა კი ჩეხეთში დარჩა და სარეზერვო გუნდში ვარჯიშობს.

„ბოლესლავის“ მწვრთნელ ზდენეკ კუდელას განცხადებით, განუგრავას რამდენიმე შეთავაზება აქვს და მისი მომავალი კლუბი მალე გაირკვევა.

შეგახსენებთ: განუგრავამ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 7 თამაში ჩაატარა, ჩეხურ კლუბში კი შარშან გადავიდა „ზესტაფონიდან“...

კახა შალამბერიძე

# ტატანამ ორჯერ დაუტატანა...



დიმიტრი ტატანაშვილმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გოლები გაიტანა.

„პლზენმა“ ჩეხეთის ქვედალიგელ ჩასლავის „ზენიტს“ ამხანაგურში 3:1 მოუგო, „ტატანა“ მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე და 89-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მატჩის შემდეგ „პლზენი“ კვიპროსზე გაემგზავრა შეკრების გასავლელად და შაბათს კიდევ გამოიჩინა თავი: სოფიის ცსკა-სთან შესვენების შემდეგ შევიდა მინდორზე, როცა „პლზენი“ 1:2 აგებდა და ჯერ საგოლე პასი გააკეთა, 83-ე წუთზე კი თავად შეაგდო და თავისიანებს 3:2 მოაგებინა.

ილია ნანობაშვილი

## კვირის ქრონიკა

### გოგინაშვილმა 30-ით დაიწყო

ბელარუსულმა ბრესტის „დინამომ“ ამხანაგური მატჩი ჩაატარა მიკაშევიჩის „გრანიტთან“ და 2:0 იმარჯვა.

ბრესტელი რომან გოგინაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 30-ე წუთზე შეცვალეს.

25 წლის ფორვარდს საქართველოში გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივში“ უთამაშია, ბელარუსულ კლუბში კი 2006 წელს ტირასპოლის „შერიფიდან“ გადავიდა.

### ბურდული დასერიოზულდაო

სიმფეროპოლის „ტავრია“ შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა და თან ორი ქართველიც წაიყვანა — ვასილ გიგიაძე და ლადო ბურდული.

საინტერესოა, რომ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ „ტავრია“ ბურდულის გაშვებას აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა.

ოფიციალური ვერსიით, სიმფეროპოლელთა ხელმძღვანელობა ბოლო დროს ბურდულის ვარჯიშებისადმი სერიოზული დამოკიდებულებით კმაყოფილი დარჩა.

### დნიპრომ კანკავა გამოაჩინა

ისრაელში შეკრებაზე მყოფმა უკრაინულმა „დნიპრომ“ ამხანაგური გამართა ჰაიფას „მაკაბისთან“ 1:2 დამარცხდა.

დნეპროპეტროვსკელთა შემადგენლობაში მხოლოდ ჯაბა კანკავა გამოჩნდა — მე-19 წუთზე კავერინი შეცვალა.

სანდრო კობახიძე და ბექა გოცირიძე კი არ გამოჩენილან.



# მესამე და, სამწლიანი

საქართველოს ნაკრების მცველმა ლაშა სალუქვაძემ რუსეთის ჩემპიონ ყაზანის „რუბინთან“ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

27 წლის სალუქვაძე „რუბინში“ 2005 წელს გადავიდა თბილისის „დინამოდან“ და საინტერესოა, რომ ყაზანელებთან კონტრაქტი უკვე მესამედ გაახანგრძლივა.

ამასობაში, ესპანეთის ქალაქ მარბელაში შეკრებაზე მყოფმა „რუბინმა“ ამხანაგური მატჩი გამართა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ და 0:1 დამარცხდა.

სალუქვაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, ძირითად შემადგენლობაში მყოფი დავით კვირკველია კი შესვენების შემდეგ შეცვალეს.

„რუბინის“ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერს, მეკარე ნუკრი რევიშვილს არ უთამაშია.

**კახა შალამბერიძე**



# ჯანაშიას წამალი



კიევის „დინამოს“ თავკაც იური სიომინისთვის მოსკოვის „ლოკომოტივში“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო შეგირდი ზაზა ჯანაშია იყო.

ისიც ცნობილია, რომ ჯანაშია ხშირად თავნება და გაუკონტროლებელი გახლდათ.

აი, რას ჰყვება სიომინი ერთ-ერთ ინტერვიუში, როცა მას ფეხბურთელებთან მიდგომის თავისებურებებზე შეეკითხნენ...

„ჯანაშია ძალიან ძლიერი იყო, თუმცა ჰქონდა პერიოდები, როცა ცუდად თამაშობდა. ერთხელაც, „ალანიასთან“ თამაშის წინ ზაზას შევამჩნიე, რომ უგერგილოდ ვარჯიშობდა და ვუთხარი, ვლადიკავკაზელთა მცველმა მამუკა წერეთელმა შენზე თქვა, ფეხს არ გავანძრევინებო. ამან გაჭრა: ჯანაშიამ იმ მატჩში წერეთელს უბრალო სიტუაციაში მოჰპარა ბურთი და საგოლე პასი გააკეთა“.

**ილია ნანობაშვილი**

# ვარსკვლავთ მაისურები საქართველოსთვის!

## კალაძე, პატო და ბექჰემი 150 ევროდან



26 იანვრიდან 2 თებერვლამდე, არასამთავრობო ორგანიზაცია KALA FOUNDATION-მა ჩაატარა მორიგი საქველმოქმედო აუქციონი. აუქციონზე გატანილ იქნა კახა კალაძის, ალექსანდრე პატოს და დევიდ ბექჰემის ავტოგრაფიანი მაისურები.

მაისურების საწყისი ფასი იყო 150 ევრო.

ამ ღონისძიებით კახა კალაძის მიერ დაფუძნებულმა ორგანიზაციამ რუსეთ-საქართველოს ომისას დაზარალებული მოსახლეობისთვის შეაგროვა თანხა, რაც პირველი შემთხვევა არ არის და მისასალმებელია, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი უყურადღებოდ არ ტოვებს გაჭირვებულ მოსახლეობას...

**კახა შალამბერიძე**

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

უკრაინული მედიისთვის ყველაზე ხშირი უცხოელი რესპონდენტი, ალბათ, კახა კალაძეა — საქართველოს ნაკრების კაპიტანს ამჯერად უკრაინული „იზვესტია“ დაუკავშირდა და სხვადასხვა თემებზე ესაუბრა...



# ჩელსის გარდა ლივერპული და ბაიერნიც მიწვევდნენ

## კახა კალაძე: ძალიან მინდა, რომ საქართველოში მშვიდობა იყოს!

— ამბობდით, კიევში პირველად მამასთან ერთად ჩამოვედი და ერთად შევხვდით ვალერი ლობანოვსკისო. ესე იგი, მამა თქვენი აგენტი იყო?

— არანაირი აგენტი მაშინ არ მყოლია. 18 წლის ვიყავი და მამა თვლიდა, რომ კიევში ჩასვლა ნაადრევი იქნებოდა...

— **ლობანოვსკიმ სად შეგამჩნიათ?**

— პატარა კი ვიყავი, მაგრამ იმ დროს საქართველოს ნაკრებში უკვე ვთამაშობდი. როგორც გავიგე, ვალერი ვასილიჩს იტალიასთან ჩემი თამაში მოეწონა. თბილისში 0:0 დავამთავრეთ. სანამ კიევში დამიძახებდა, ლობანოვსკიმ ჩემი თამაშების ფირები ნახა. მისი ძალიან მადლიერი ვარ — ვითამაშებდი კი „მილანში“, ის რომ არა?!

— **კიევში იშვიათადღა ჩამოდიხართ. ბოლოს შარშან ზაფხულში იყავით. ნუთუ არ გინდათ ჩამოსვლა?**

— რას ამბობთ, დრო როცა მაქვს, ჩამოვდივარ. კიევში თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. აქ ბევრი მეგობარი მყავს, თანაც პატარა ბიზნესიც მაქვს.

— **ზაფხულში კიევში მეუღლე ანუკისთან ერთად ჩამოხვედით, დეკემბერში კი ხელი მოაწერეთ მასთან...**

— როგორც იქნა, შევხვდი ნამდვილ სიყვარულს. ანუკიში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, მასთან ერთად ღრმა სიბერემდე ვიცხოვრებ. სიმართლე გითხრათ, მარტო ცხოვრება მომბეზრდა.

— **ანუკი მილანში გაიცანით?**

— წელიწადის თუ ცოტა მეტი ხნის წინ მეგობრებმა დამირეკეს და მთხოვეს, ანუკის დავხმარებოდი, რადგან ის პირველად ჩამოდიოდა იტალიაში — სამოდელო სააგენტოში უნდა ემუშავა. ერთმანეთი გავიცანით, მოგვეწონა, მერე კი სერიოზული გრძნობებიც დაიწყო. თბილისში რომ ჩავედით, მის მშობლებსაც ვესტუმრეთ.

— **საქართველოში ქორწილი რატომ არ გადაიხადეთ?**

— თავიდან სწორედ საქართველოში ვაპირებდით, მაგრამ... ომი დაიწყო, ამ დროს კი ქორწილი უდროო იყო. სიმართლე ვთქვა, გულთან ძალიან ახლოს მიმქონდა ეს ომი, ჩემი თანამემამულეები იღუპებოდნენ. მინდა, რომ საქართველოში მუდამ მშვიდობა იყოს. ქორწილი გადავიტანეთ — გაზაფხულზე ან ზაფხულში გვექნება.

— **მართალია, რომ „ჩელსი“ ორჯერ მეტ ხელფასს გთავაზობდათ, ვიდრე „მილანი“?**

— არა. როცა „ჩელსიში“ გადავდიოდი, ფული არაფერ შუაში ყოფილა. უბრალოდ, „მილანში“ სათამაშო პრაქტიკა მომაკლდა, რაც ტრავმის ბრალიც იყო. სეზონის განმავლობაში 6-7 მატჩი ვითამაშე. ეს ხელს არ მაძლევდა და სხვაგან გადასვლის ვარიანტები განვიხილე. „ჩელსის“ გარდა, „ლივერპული“ და „ბაიერნიც“ მიწვევდნენ.

— **თქვენ ბევრი ბიზნეს-პროექტი გაქვთ: ჟურნალი უკრაინაში, ბანკი საქართველოში, რესტორანი იტალიაში. ამდენს როგორ ასწრებთ?**

— ყველა ამ პროექტით ჩემი ბიზნეს-პარტნიორები არიან დაკავებულნი. ჩემი სიამაყე რესტორანი „ჯანინოა“. რესტორნიდან დიდი თანხის ამოღებაზე თავიდან არც ვფიქრობდი, უბრალოდ, იქ მინდოდა ჩემს ბევრ მეგობართან შეხვედრა. აი, ახლა კი „ჯანინოში“ „მილანისა“ და „ინტერის“ ფეხბურთელები დადიან, ასევე, ამ კლუბების ხელმძღვანელები, ცნობილი მოდელები, ტელეწამყვანები. „ჯანინოში“ მოაწერა კონტრაქტს ხელი „მილანთან“ რონალდომ.

— **საქართველოში ბანკი გახსენით. ფინანსური კრიზისის გამო, ხომ არ სჯობდა, დროებით მოგეცადათ?**

— პატარა ბანკი მაქვს და რისკი თითქმის არაა. ახლა იმ ბანკებს უჭირთ, რომლებიც წლობით მუშაობდნენ ბაზარზე, კრედიტები აიღეს და გასტუმრება უჭირს. ჩემს ბანკში კრედიტები არ არის. იმედია, განვითარდება.

— **პირადი სარეკლამო კონტრაქტები გაქვთ?**

— არცთუ დიდი ხნის წინ მენეჯერი ავიყვანე, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. წინადადებები საკმაოა. ამჟამად ერთ-ერთ ქართულ სატელეფონო კომპანიას ვუწევ რეკლამას, ასევე პირადი კონტრაქტები მაქვს „ადიდასთან“ და „დოლჩე&გაბანასთან“.

— **„მილანში“ მეტსახელი რა გაქვთ?**

— კალა. პასპორტში სახელი კახა მიწერია, თუმც შეუძლიათ, კახაბერიც დამიძახონ.

— **გიორგი დემეტრაძეს ბოლოს როდის ესაუბრეთ?**

— ამასწინათ დავურეკე. მაშინ ჯერ არდადეგები ჰქონდა. ის ახლა აზერბაიჯანში თამაშობს.

— **როგორც ვიცით, კიევის „დინამოს“ ახლანდელ გენერალურ დირექტორ რეზო ჭოხონელიძესთან ახლო ურთიერთობა გაქვთ...**

— რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე. რეზო კარგი ადამიანია, „მილანში“ ადაპტაციაში ძალიან დამეხმარა. მის გარდა, პერიოდულად ძმებ სურკისებთანაც მაქვს კონტაქტი, მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. და საერთოდ, კიევთან მხოლოდ თბილი დამოკიდებულება მაკავშირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოლიტიკა სპორტში მაინც ერევა... ჩივაძემ ბაქოში მედლები ჩამოარიგა



საქართველოს ფუტსალის ნაკრები რამდენიმე დღე ბაქოში იმყოფებოდა, სადაც ოთხთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ქართველთა მეტოქეები იყვნენ მასპინძლები, ვისთანაც 2:6 წააგეს, მოლდოვის ნაკრები, რომელსაც 2:1 სძლიეს და რუსულ კლუბი „კასპიი" (2:2). საბოლოოდ, ჩვენებმა მეორე ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრების მოთამაშე მწვრთნელ ავთანდილ ასათიანს ბაქოურ ამბებზეც ვესაუბრეთ და სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ...

— პირველი თამაში აზერბაიჯანის ნაკრებთან გვქონდა და ცოტა მძიმედ გამოვიყურებოდით, თანაც მასპინძლებს ძლიერი ნაკრები ჰყავდათ — მათთან ექვსი ნატურალიზებული ბრაზილიელი თამაშობს. მეორე მატჩი მოლდოვასთან ჩავატარეთ და ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის. ბოლოს კი რუსებს შევხვდით — ფრის შემთხვევაში მეორე ადგილზე გავდიოდით, რუსები კი ბოლოზე რჩებოდნენ და მადლობა ღმერთს, არაფერი დავუთმეთ და „კეთილი მეზობელი" ბოლოზე გავიდა.

— რუსებთან შეხვედრა ალბათ განსაკუთრებით დაძაბული იყო...

— გინდა, არ გინდა, მაინც ერევა სპორტში პოლიტიკა. აზერბაიჯანელებმა ნამატჩევს გვითხრეს, ხასიათით მოახერხეთ რუსების გატეხვაო.

— მალე ევროჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გელით მალტაზე და უახლოეს გეგმებზეც გვითხარით.

— 2 თებერვალს სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" შევიკრიბებით. სავარაუდოდ, მალტაზე 17 თებერვალს წავალთ. 19-ში პირველი თამაში გვაქვს მასპინძლებთან, 20 თებერვალს საბერძნეთის ნაკრებთან გვექნება მძიმე ბრძოლა, შესარჩევის ბოლო თამაშს კი ალბანეთთან გავმართავთ. ჯგუფიდან პირველადგილოსანი პირდაპირ გადის და მეორეადგილოსანსაც აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. ჩვენ მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოგვივა...

*ერთიც: ბაქოში დასრულებული მინი-ტურნირის პრიზიორები და გამორჩეული ფეხბურთელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ და ცნობილმა რუსმა კომენტატორმა ვლადიმირ მასლაჩენკომ დააჯილდოვეს.*

**ნუკრი ლოლაძე**

# საფრანგეთმა მზეზე გამოანათა

30 იანვარს „სპორტ-კაფეში" სპორტულმა კომენტატორებმა, ლაშა დვალიშვილმა და დავით მინაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც „ლაშა დვალიშვილის სტუდიის" პირველი პროექტის თაობაზე ისაუბრეს.

ახალი სტუდია 1 თებერვლიდან ტელეკომპანია „მზეზე" საფრანგეთის ჩემპიონატის ჩვენებას იწყებს.

„საფრანგეთის ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟების ჩვენება ჩვენი სტუდიის პირველი პროექტია და ეს საწყისი ნიბიჯია, რათა მომავალში საქართველოში შეიქმნას სპორტული არხი. ჩვენს ქვეყანაში ამის მოთხოვნა უკვე არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ფინანსების არქონის გამო ეს არ ხერხდება. საფრანგეთის ჩემპიონატი ჩვენივე სახსრებით შევიძინეთ. იმედი მაქვს, მომავალში სპონსორები გამოჩნდებიან და კიდევ ბევრ პროექტს განვახორციელებთ. პირდაპირი ტრანსლაციების გარდა იქნება ტურის ანონსი და მიმოხილვა. პირდაპირ რეპორტაჟებს დავით მინაშვილი გაუძღვება" — თქვა დვალიშვილმა.

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ჩემპიონატზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება და შესაძლოა, აგვისტოში სხვა ჩემპიონატების მატჩებიც ვნახოთ „მზეზე".

**ნუკრი ლოლაძე**

თბილისში რამდენიმე საფეხბურთო სკოლაა, რომელსაც ნორმალური ბალახის მოედანი გააჩნია. წარსულში გამოჩენილმა ქართველმა ფეხბურთელმა თენგიზ სულაქველიძემ რამდენიმე წლის წინ თავისი სახელობის აკადემია დააარსა და თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. აკადემიას გააჩნია სამი სხვადასხვა სახის მოედანი და იქ კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ. თენგიზ სულაქველიძის ვაჟი, უმცროსი თენგიზ სულაქველიძე მამას გვერდით უდგას, 1994-95 წლებში დაბადებულ ბავშვებს წვრთნის და ჩვენც მას გავესაუბრეთ...



# არავის არ აქვს საშუალება, წყალში 20 ათასი გადაიხადოს

— აკადემიაში სულ რამდენი ბავშვი ირიცხება?

— 300-მდე მოზარდია ჩვენთან, როგორც უმრავლესობა საფეხბურთო სკოლები, ჩვენც თვითდაფინანსებაზე ვართ, თუმცა ბავშვების დიდი ნაწილი გათავისუფლებული გვყავს გადასახადისგან.

— ერთი ბავშვი რამდენს იხდის თვეში?

— 35 ლარს.

— მწვრთნელის რა კატეგორიის ლიცენზიას ფლობ?

— B ლიცენზია ავიღე. A ლიცენზიის აღებას ჯერ არ ვჩქარობ, ყველაფერი თავის დროზე მოვა.

— საკმაოდ ადრიანად კი შეეშვი ფეხბურთს, ჯერ ხომ 26 წლის ხარ.

— ჩავთვალე, რომ ფეხბურთელობაში ნაკლები პერსპექტივა მქონდა, თავიდანვე დიდი ინტერესი გამიჩნდა მწვრთნელობის მიმართ. როცა ფეხბურთელი ვიყავი, იოჰან ბოსკამპის და ივო შუშაკის ხელში გავიარე, მათ ვარჯიშებს მუდმივად ვინიშნავდი და დღეს, როგორც მწვრთნელი, ვიყენებ. აქ ის ფაქტორიც იყო, რომ მამას აკადემიაში დახმარება სჭირდებოდა და მეც გვერდით ამოვუდექი.

— გასული წლის დეკემბერში ხორვატიაში იყავი მწვრთნელთა სემინარზე. ამ სემინარმა რა მოგიტანა?

— საქართველოში ბევრს ჰგონია, რომ ფეხბურთი კარგად იცის და მწვრთნელობა შეუძლია. ასეთ სემინარს რომ გაივლი, მიხვდები, უამრავი რამ არ გცოდნია და თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, იქ ნასწავლის საქმეში უნდა გადაიტანო. მანამდეც ვყოფილვარ უცხოეთში სემინარზე და ვთვლი, რომ ამან ძალიან ბევრი მომცა. სემინარებზე გაიოზ დარსაძის დახმარებით მოვხვდი და მინდა, მას დიდი მადლობა ვუთხრა.

— უცხოეთში სკოლების მუშაობას თუ აკვირდები?

— შეძლებისდაგვარად ვიღებ ინფორმაციას. უმრავლეს სკოლას A და პროლიცენზიის მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. ისინი სწორ მიმართულებას აძლევენ მოზარდებს. ეს ჩვენშიც უნდა დაინერგოს.

— ადრე სელექციას დიდ ყურადღებას უთმობდნენ მწვრთნელები — ქუჩა-ქუჩა ეძებდნენ ნიჭიერ ბავშვებს. თქვენს აკადემიაში რა ხდება ამ მხრივ?

— ელიტ-ლიგის გათამაშების გარდა, სხვა ტურნირები ტარდება და ჩვენ მათაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ — რამდენიმე ბავშვი ავიყვანეთ, ძირითადად რაიონებიდან. მე და მამა ვაწარმოებთ დაკვირვებებს, მწვრთნელებთანაც ვთათბირობთ და ამის მიხედვით მოგვყავს ბავშვები ჩვენთან. ასეთები გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან.

— ეს ერთ-ერთი იშვიათი სკოლაა, სადაც ნორმალური მინდორი გაქვთ. როგორ ახერხებთ ბალახის მოვლას?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დიდი დახმარება გაგვიწია — საკუთარი წყლის ჭაბურღილი გაგვაკეთებინეს და ბალახის მორწყვის პრობლემა მოიხსნა. ასე რომ არ იყოს, ბალახის შენახვას, ფაქტობრივად, ვერ შევძლებდით. დღეს არავის არ აქვს საშუალება, მარტო წყალში 20 ათასი ლარი გადაიხადოს. თბილისის მერი გიგი უგულავა და სპორტის სამსახურის უფროსი ზაზა ღოღიძე მამას დაეხმარნენ და აკადემიის გადაფორმება მოხერხდა, რისთვისაც მათ დიდი მადლობა. სხვანაირად, მუშაობა ძალიან გაჭირდებოდა.

— რამდენიმე დღის წინ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ მიგიწვიათ. იქ რაზე იყო საუბარი?

— თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვრიგოლ ცაავამ მიგვიწვია და ხარჯთაღრიცხვა მოგვთხოვა. მოგეხსენებათ, ათი ათასი დოლარით გვეხმარებიან სკოლებს. ჩვენ წარვუდგინეთ საშხაპეების გაკეთების პროექტი და უახლოეს მომავალში დაფინანსდება.

**ნუკრი ლოლაძე**





ზოგი მას ქართული ძიუდოს ბრილიანტს ეძახის, ზოგიც უბრალოდ — ტალანტს. მასაც ისევე სთხოვენ გამარჯვებას, როგორც ნაცად და ტიტულებით გამორჩეულ ძიუდოისტებს. თუმცა ტიტულები არც მას აკლია — 19 წლისამ ბევრი რამ მოიგო, თუმცა უფრო მეტი მოსაგები აქვს. ვარლამ ლიპარტელიანმა გულშემატკივრის სიყვარულთან ერთად მეტოქეთა რიდიც მოიპოვა. მასთან ორთაბრძოლისას შეცდომის დაშვება როგორც მთავრდება, ქართველმა ქომაგმა ერთი კვირის წინ, სპორტის სასახლეში ჩატარებულ მსოფლიოს თასის ეტაპზე თავად ნახა. ერთი მოდუნება და, ტატამზე გაკრული უმწეო მეტოქე... და მაინც, ყველაზე კარგი, რასაც მის ხასიათში ამოიკითხავ, უბრალოებაა. თავდაჯერებული მეუბნება — წარმატება მახარებს, მაგრამ თავში არასდროს ამივარდებაო... ვარლამი რედაქციაში გვესტუმრა. მასთან საუბარი თბილისის მსოფლიოს თასით დავიწყეთ...

# ვისთვის ტალანტი და ვისთვის ბრილიანტი

## ვარლამ ლიპარტელიანი თხილამურებზე სრიალებს და ყველაფრის მოგებას ფიქრობს

— მიხარია ჩემპიონობა. თბილისში ქართველი გულშემატკივრის თვალწინ გამარჯვებას სხვა ეშხი აქვს. ვერ ვიტყვი, რომ ვნერვიულობდი, მაგრამ გარკვეული ღელვა მქონდა. ვიცოდი, ქომაგი მარტო ჩემპიონობას ითხოვდა და ამის გამო იყო ცოტა რთული. თანაც პირველი ორთაბრძოლისთვის ტატამზე რომ გაველი, გაუხურებელი არ ვიყავი და გამიჭირდა.

**— გაუხურებელი რატომ გახვედი, ვერ მოასწარი?**

— ტექნიკური პრობლემა იყო და დროულად ვერ მითხრეს, როდის უნდა გავსულიყავი. მწვრთნელების ბრალი არ ყოფილა, კომპიუტერში ვერ გაარკვიეს რაღაც. 5-10 წუთი მაინც რომ მქონოდა, მეყოფოდა. ამიტომ გამიჭირდა თავიდან, თორემ მერე ყველაფერი დალაგდა.

**— ისე, ყველაზე რთული ორთაბრძოლა რომელი გქონდა?**

— გრიგოლ მამრიკიშვილთან. ერთმანეთს ხუთი თითივით ვიცნობთ. ერთად ვცხოვრობთ, ვვარჯიშობთ და ერთმანეთის ყველა სუსტი მხარე ვიცით. შებოჭვაზე წამოეგო. ამ ტურნირზე მეორედ შევხვდი, პირველადაც შებოჭვით მოვუგე.

**— შებოჭვით ხშირად იგებ. როგორც ჩანს, შენი საყვარელი ილეთია...**

— ერთ ამბავს გავიხსენებ. 2005 წელს ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე ვჭიდაობდი. მაშინ ორი შეხვედრა წავაგე პარტერში და გაბრაზებულმა გადავწყვიტე, შებოჭვაზე განსაკუთრებული მონდომებით მევარჯიშა. მას შემდეგ ერთი შეხვედრაც არ წამიგია პარტერში. ამაზე ვარჯიშს დიდ დროს ვუთმობ. ყოველთვის ვცდილობ, ძლიერი მეტოქე შევარჩიო. ლევან წიკლაური და გიორგი ბაინდურაშვილი ძალიან მაგრები არიან.

**— თბილისში გამარჯვება არ გაგჭირვებია, მაგრამ ჯერ სათანადო ფორმაში მაინც არ ხარ...**

— კი, ასეა. სეზონი ახლა დაიწყო და ნელ-ნელა შევალ ფორმაში. პარიზის სუპერტურნირს უკეთესად მომზადებული უნდა შევხვდე. მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ტურნირია და მეც განსაკუთრებული მოლოდინით ველი. ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის დონეს არაფრით ჩამოუვარდება. ყველა ქვეყანას უძლიერესი ძიუდოისტები ჩაჰყავს. თან ახლა წესი შეიცვალა და ერთ ნაკრებს წონაში ოთხი კაცი შეუძლია ჰყავდეს.

**— წლეულს როგორი გეგმები გაქვს?**

— ასეთი მიზანი მაქვს: თბილისის მსოფლიოს თასი, პარიზის სუპერთასი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები უნდა მოვიგო. ამათგან პირველში უკვე გავიმარჯვე. ახლა ჯერი პარიზის სუპერთასზეა. ეს ტურნირი 10 წელია, ქართველს არ მოუგია და მინდა ნავსი გავტეხო. მერე კი ევროპის ჩემპიონატია, რომელიც საქართველოში ტარდება და წარმოიდგენია, როგორი აჟიოტაჟი იქნება სპორტის სასახლეში.

**— უხერხული მეტოქეები გყავს?**

— დიდებში ვისაც ვეჭიდავე, მათგან უზბეკ საიდოვს გამოვარჩევ. სულ მოძრაობს და პრობლემას გიქმნის. ძალიან ტექნიკური და კარგი ძიუდოისტია.

**— 19 წლის ხარ და უკვე ბევრი რამ მოიგე. პოპულარულიც გახდი. რთულია ასეთი ცხოვრება?**

— ჩემთვის არა. პირიქით, სტიმულს მაძლევს. ეს არ ნიშნავს, რომ გავთამამდები და ნაკლებს ვიშრომებ. ზოგისთვის რთულია, მაგრამ მე სხვანაირი ადამიანი ვარ. სალამოს ბალიშზე თავს რომ ვდებ, მაშინაც იმაზე ვფიქრობ, რომ მეორე დღეს ბევრი უნდა ვივარჯიშო. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი, წამოსვლისას თვითმფრინავში მწვრთნელს ვუთხარი, ფიზიკურად კიდევ უნდა ვივარჯიშო, რომ გავძლიერდე-თქო.

**— ოჯახის წევრები, ალბათ, სულ დადიან საგულშემატკივროდ?**

— არა. იმიტომ, რომ არ მიყვარს ახლობელი ტრიბუნაზე რომ ზის. რაღაცნაირად ვიბოჭები და ეს ხელს მიშლის. ძნელია, როცა იცი, მშობლები რომ ნერვიულობენ. ადრე, საქართველოს ჩემპიონატზე რომ ვჭიდაობდი, ჩემები არ მიმყავდა, თუმცა ახლა სპორტის სასახლეში იყვნენ და პარიზშიც ვაპირებ დის წაყვანას. საერთოდ კი, როგორც ვთქვი, მარტო მირჩევნია ჭიდაობა.

**— ბევრი სპორტსმენი თვლის, რომ ოლიმპიადა სულ სხვა სპეციფიკის ტურნირია და გამარჯვება განსაკუთრებით რთულია. პეკინში იყავი და მეგობრების ჭიდაობას ტრიბუნიდან უყურე. როგორია გვერდიდან დანახული ოლიმპიადა. მართლა ასე ძნელია გამარჯვება?**

— ჩემი აზრით, მთავარი ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევაა. შეიძლება, ჩვეულებრივ ტურნირზე გამარჯვება უფრო გაგიჭირდეს, ვიდრე ოლიმპიადაზე. რა, ოლიმპიადაზე სხვა მეტოქეები გვხვდებიან, თუ ვინმე განსხვავებულად მოტივირებულია? ისეთივე შემართებით გვეჭიდავება, როგორც ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატზე. გამორიცხულია, ოლიმპიადაზე ვინმე კარგად მომზადებული არ იყოს. იქ მთავარი ფსიქოლოგიური განწყობაა. კი, სხვა ნიუანსებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ეს არის. სწორედ ფსიქოლოგიური პრობლემების გამო წააგო ჯარჯი ზვიადაურმა და მერე კიდევ ერთმა ფავორიტმა, ჰოლანდიელმა ჰუიზინგამ. მან ჯარჯის მოუგო და იფიქრა, რომ უკვე ჩემპიონი იყო. შენ თუ იმაზე იფიქრე, რომ ვაიმე, ახლა თუ წავაგე, მთელი ოთხი წლის წვალება წყალში მეყრება და კიდევ ოთხი წელი უნდა ველოდო ოლიმპიადასო, შორს ვერ წახვალ. ამ მხრივ ირაკლი ცირეკიძე სამაგალითოა. პეკინში ტატამზე გასვლის წინ სულ სხვა თემებზე მელაპარაკებოდა. გაოცებული ვიყავი. ან როგორ მოიგო?! მხოლოდ ერთი გაფრთხილებით! მე მის ადგილზე ვერ მოვითმენდი და უფრო დიდი უპირატესობის მოპოვებას ვეცდებოდი.

**— მოდი, ისიც გვითხარი, თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

— ოჯახთან ერთად ყოფნა მიყვარს. ჩემი ჰობი კი თხილამურებია. გუდაურში შეკრებაზე როცა ვართ, კვირაობით მთელი დღე ვსრიალებ. თხილამურებიც მაქვს, თუმცა დამიძველდა და უნდა გამოვცვალო. სრიალით ისე ვიღლები, რომ ვარჯიშის მერე არ ვარ ხოლმე ასე დაქანცული.

**— სწავლასაც თუ ასწრებ?**

— სპორტის და კულტურის სახელმწიფო კოლეჯი დავამთავრე. მინდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ როგორ გინდა მოასწრო მეცადინეობა, წელიწადში 300 დღე შეკრებაზე და ტურნირებზე რომ ხარ. ცუდია, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტი აღარ არის. ცოდნის გაღრმავება ძალიან მინდა და იმედია, ამ მხრივ რამე შეიცვლება.



**ლექსო მაისურაძე**

## პარიზს თორმეტი ქართველი ნახავს

**თბილისის** მსოფლიოს თასის შემდეგ ძიუდოისტთა ნაკრებს 7-8 თებერვალს პარიზის სუპერტურნირი ელის. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს საფრანგეთში 12 შეგირდი მიჰყავს, თუმცა შეიძლება, ფრანგულ ტატამზე ყველა არ გავიდეს.

ტურნირის შემდეგ ჩვენები საფრანგეთში ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებენ მონაწილეობას. ისიც ვთქვათ, რომ თბილისის ტურნირის შემდეგ რამდენიმე ნაკრები აქ დარჩა და ერთობლივად ივარჯიშეს. მსგავსი პრაქტიკა მიღებულია და იგივე პარიზშიც იგეგმება.

60 კილოგრამში ამირან პაპინაშვილი და ლევან ჩუბინიძე გამოვლენ. ამათ თბილისში ფინალში იჭიდავეს. ნესტორ ხერგიანი კვლავ 66 კგ-ში გამოვა. წონას არ დაიკლებს ნაკრების კიდევ ერთი ლიდერი ზაზა კედელაშვილი და თბილისის მსოფლიოს თასის მსგავსად 78 კგ-ში გამოვა. ამავე წონაში თენგიზ პაპოშვილი მოირგებს კიმონოს, რომელიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონია და თბილისის ტურნირზე ბრინჯაო მოიპოვა.

81 კგ-ში ლევან წიკლაური იქნება, ვინაც თბილისში ძალიან მაგრად იჭიდავა და მხოლოდ ფინალი წააგო დამატებით დროში იაპონელ ძიუდოისტთან.

პარიზში გიორგი ბაინდურაშვილიც წავა. მან ტრავმის გამო გამოტოვა პირველი საერთაშორისო ტურნირი.

90 კგ-ში ვარლამ ლიპარტელიანი გვეყოლება. 100-ში ნოდარ მეტრეველი და ირაკლი ცირეკიძე, თუმცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შესაძლოა, ტურნირზე არ იჭიდაოს და მხოლოდ ერთობლივი ვარჯიშით დაკმაყოფილდეს.

მძიმე წონაში კი ასევე თბილისის ტურნირის ფინალისტები ადამ ოქრუაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი გამოვლენ.

**ნიკა კოპაძე**



შოთა ხაბარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# პირველად: ტიმ ლეინი და ნაღდი საქართველო

**საქართველოს** ნაკრების ავსტრალიელმა თავკაცმა 7 თებერვალს გერმანიასთან გასამართი ერთა თასის მატჩის წინ შემადგენლობა დაასახელა. ტიმ ლეინს ფრანგულ შეკრებაზე 24 მორაგბე ეყოლება.

ჩვენები იქაური „მასის" ბაზაზე 1-5 თებერვალს ივარჯიშებენ და მერე გერმანიას მიაშურებენ.

საფრანგეთში ნაკრებს ჩააკითხავს ფიზმომზადების ტონგელი მწვრთნელი ჯონა ნამუ. დაგეგმილია, რომ ნაკრებს ავსტრალიელი შერკინების კონსულტანტიც იყოლება: დემიენ ქამინსი ნაკრებთან თვენახევარი, რუსეთთან მატჩამდე იმუშავებს და თუ ქართული მხარე მისით კმაყოფილი დარჩება, მაშინ უფრო ხანგრძლივი თანამშრომლობაც შედგება.

რაც შეეხება „ლელოებს", ნაკრებს დაუბრუნდნენ თედო ზიბზიბაძე, აქვსენტი გიორგაძე და ილია ზედგინიძე. შემადგენლობაშია გია ლაბაძეც და საერთოდ, პირველად არის, რომ ლეინს საქართველოში მუშაობის დროს ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრის შესაძლებლობა მიეცა.

თავად ტიმ ლეინი მოახლოებულ მატჩებზე ამას ამბობს:

„საფრანგეთის ჩემპიონატი მიმდინარეობს და სათამაშო პრაქტიკა ყველას აქვს. ვინც საქართველოში თამაშობს, ისინი სპეციალურ პროგრამით ემზადებოდნენ ნოემბრის შემდეგ.

შეკრებაზე სხვადასხვა კომბინაციების დამუშავებაზე ვიმუშავებთ. გერმანია დებიუტანტია და ამ ეტაპზე მასზე არაფერი ვიცით. მათი მატჩის ვიდეოფირი ვერ მოვიპოვეთ.

პორტუგალიას კი კარგი ნაკრები ჰყავს. თუმცა ჩვენთვის მთავარი ახლა ვარჯიში და საკუთარ თავზე მუშაობაა. ახალ სახეებს უნდა დავაკვირდე. ლაბაძეს ვიცნობ, კარგი მოთამაშეა და ნაკრებისთვის ძალიან საჭირო კაცია, თუმცა ის შეუძლოდ იყო და ნაკრებში თამაშს ვერ ახერხებდა."

ტიმ ლეინმა კომენტარი დავით ქუბრიაშვილის გამოუძახებლობაზეც გააკეთა: „ის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში რჩება. ამ ეტაპზე მისი გამოძახება არ ჩავთვალეთ საჭიროდ. ის ახლა სამი ნომრის პოზიციაზე მეოთხე კაცად ითვლება. რაც შეეხება მამუკა გორგოძეს, ის გუნდში 8 ნომრის პოზიციაზე თამაშობს, მაგრამ ამ ადგილზე კონკურენტად საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე პიკამონი ჰყავს, ამიტომ ხშირად არ უწევს თამაში. გორგოძეს ვნახავთ და მერე გადავწყვეტთ, სად ვათამაშოდ — მეორე თუ მესამე ხაზში."

„ლელოების" თავკაცმა ერთა თასის მოგებაზე და ავსტრალიელ კონსულტანტზეც ილაპარაკა: „ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ მოვიგოთ ერთა თასი და მსოფლიოს თასზე ღირსეულად ვითამაშოთ. დემიენ ქამინსი კი კარგი სპეციალისტია. სიდნეიში მუშაობს. დამთავრებული აქვს „მელნის" აკადემია და აქვს ლიცენზია. ჩემი აზრით, მისი მუშაობა ნაკრებისთვის სასარგებლო იქნება".

მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე და ავსტრალიელ კონსულტანტზე კომენტარი რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემაც გააკეთა: „საიმისო ფინანსური რესურსი არ გვაქვს, მწვრთნელი რომ ჩამოვიყვანოთ. ამიტომ მხოლოდ კონსულტანტით დავკმაყოფილდით. ვნახავთ, დავაკვირდებით და თუ საჭიროდ ჩაითვლება, მაშინ უფრო გრძელვადიან თანამშრომლობაზეც ვიფიქრებთ.

ჩვენი მიზანი ერთა თასის მოგება და მსოფლიოს თასზე მოხვედრაა. ის, რომ ერთა თასის მეორე ადგილოსანი ცოტა უკეთეს ჯგუფში შეიძლება მოხვდეს, ჩვენ არ გვაინტერესებს. მიზანი გამარჯვებაა და როგორც ჩვენ ტრადიციებს შეეფერება, ისე ვითამაშებთ. თან შოტლანდიელებს წაგების მერე დავპირდით, რომ რევანშს ავიღებდით და ერთა თასის მოგების შემთხვევაში ჯგუფში სწორედ სქოთებთან ვხვდებით. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ვიქტორ დიდებულიძეს და ლევან ცაბაძეს გაწეული სამუშაოსთვის. ისინი ნაკრებში აღარ იმუშავებენ, მაგრამ რაგბის კავშირში რჩებიან.

პრობლემაა სპონსორებთან. „ლიბოსთან" და „კვარციტთან" თანამშრომლობა შეჩერებულია, თუმცა გაწყვეტილი არ არის. ყველამ იცის, რომ ახლა ეკონომიკური კრიზისია და პრობლემებიც აქედან მოდის. იმედია მდგომარეობა გამოსწორდება.

მოგეხსენებათ, რაგბის საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით, წელს შვიდკაცას თბილისის ეტაპი აღარ ჩატარდება, თუმცა გაისად ამ შეჯიბრს ისევ ვუმასპინძლებთ."

**ნიკა ქოპაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -16 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +27 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | -11 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საქართველოს ნაკრები

***შერკინება:*** *დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), გოდერძი შველიძე (მონტობანი, საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული, რუმინეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგაშვილი (ბრივი, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (კლერმონი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (ვეს ან პროვანსი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), კახაბერ უჩავა (ფარული, რუმინეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (მორლე, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მეტრო რასინგი, საფრანგეთი), გია ლაბაძე (ტულონი, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (უგუნდოდ)*

***უკანა ხაზი:*** *ირაკლი აბუსერიძე (ორიაკი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (ფარული, რუმინეთი), მერაბ კვირიკაშვილი (მასი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (უგუნდოდ), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი გიორგაძე (დაქსი, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (აჟინი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ოთარ ბარკალაია (ანდორა)*

## ერთა თასის განრიგი. I წრე

| | | |
|---|---|---|
| რუსეთი 42:15 ესპანეთი | 8 ნოემბერი, 2008 | მოსკოვი |
| ესპანეთი 22:11 გერმანია | 15 ნოემბერი, 2008 | მადრიდი |
| გერმანია — საქართველო | 7 თებერვალი | ჰაიდელბერგი |
| ესპანეთი — რუმინეთი | 7 თებერვალი | მადრიდი |
| პორტუგალია — რუსეთი | 7 თებერვალი | ლისაბონი |
| საქართველო — პორტუგალია | 14 თებერვალი | თბილისი |
| გერმანია — რუმინეთი | 14 თებერვალი | ჰაიდელბერგი |
| პორტუგალია — გერმანია | 21 თებერვალი | ლისაბონი |
| ესპანეთი — საქართველო | 28 თებერვალი | მადრიდი |
| რუმინეთი — რუსეთი | 28 თებერვალი | ბუქარესტი |
| საქართველო — რუმინეთი | 14 მარტი | თბილისი |
| პორტუგალია — ესპანეთი | 15 მარტი | ლისაბონი |
| რუმინეთი — პორტუგალია | 21 მარტი | ბუქარესტი |
| რუსეთი — საქართველო | 21 მარტი | მარიუპოლი, უკრაინა |
| გერმანია — რუსეთი | 2 მაისი | ჰანოვერი |

# პორტუგალია შეარცხვინეს

**ჩვენი** „ლელოების" საერთათასო მეტოქეს პორტუგალიას ინგლისის A ნაკრებმა ხასიათი ისე წაუხდინა, ეგებ, 14 თებერვლამდე ვერ მოვიდეს გუნებაზე. ამ დროს საქართველოს ნაკრები პორტუგალიელებს მასპინძლობს...

სტოკპორტში გამართულ ამხანაგურ მატჩში ინგლისის ნაკრებმა გაილაღა და სტუმრებს 10 ლელოთი გაუმასპინძლდა. ამას 8 გარდასახვა მიუმატა და მეტოქე 66:0 შეარცხვინა.

პორტუგალიელები თბილისში ჩამოსვლამდე 7 თებერვალს ერთა თასზე რუსეთის ნაკრებს დაუხვდებიან.

# რუსები სტუდენტებთან დამარცხდნენ

**ერთა თასზე** საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მთავარმა მეტოქე რუსეთმა, სამხრეთაფრიკული შეკრება მესამე ტესტ-მატჩით დაასრულა და მესამედაც დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრები წინა მატჩებში პრეტორიის უნივერსიტეტის გუნდს (15:19) და „ბლუ ბულზის" მეორე შემადგენლობას (15:18) ეთამაშა.

მესამე მატჩი, იოჰანესბურგის უნივერსიტეტის გუნდთან, რუსებმა კარგად დაიწყეს და ვიქტორ გრესევმა ლელო გაიტანა, რასაც იური კუშნაროვმა ზუსტი გარდასახვა მიაყოლა. მოგვიანებით მანვე ჯარიმაც გაიტანა. თუმცა მალევე აფრიკელები უპირატესობას დაეუფლნენ და ტაიმი 24:10 მოიგეს.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა სხვაოდა კიდევ გაზარდეს, რუსები კი ერთ ლელოს დასჯერდნენ. თამაში 36:15 დასრულდა.

ჭადრაკი

# ქართული მედლები ევროპის ბილეთებზე გადაიცვალა

**მაია ლომინეიშვილი** საქართველოს ჩემპიონი მეოთხედ გახდა. ქალთა ჩემპიონატი 11 ტურად ჩატარდა და ლომინეიშვილმა 7.0 ქულით იჩემპიონა.

6,5 ქულა ხუთმა მოჭადრაკემ დააგროვა — ნინო ხურციძეს, სოფიკო ხუხაშვილს, სალომე მელიას, ნაზი პაიკიძეს და სოფიკო გურამიშვილს შორის უკეთესი კოეფიციენტი ნინო ხურციძეს ჰქონდა და ვერცხლის მედალიც მან დაისაკუთრა. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი სოფიკო ხუხაშვილმა მოიპოვა.

აქვე ვთქვათ, რომ საუკეთესო სამეული 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამოვა, რომელსაც 7-21 მარტს სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს.

მაია ლომინეიშვილი გათამაშების ბოლო ტურამდე ერთპიროვნულად ლიდერობდა და გადამწყვეტ ტურში ნინო ხურციძესთან წაგების მიუხედავად პირველობა შეინარჩუნა.

ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა 20 წლის თორნიკე სანიკიძემ, რომელიც დრეზდენის ოლიმპიადაზე ქალთა ნაკრების მწვრთნელი იყო. მან 13 შესაძლებლობიდან 8,5 ქულას მოუყარა თავი და ოქროს მედალი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე მერაბ გაგუნაშვილი გავიდა. ბრინჯაოს მედალი კი მიხეილ მჭედლიშვილმა მოიპოვა.

კაცთა სამეული ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, რომელიც 5-19 მარტს, ჩერნოგორიულ ბუდვაში ჩატარდება.



**ნიკა ქობაძე**

ჭიდაობა

# თავისუფლები ევროპამდე განახევრდებიან

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატი მოილიეს და 2 თებერვალს სომხეთში შეკრებაზე მიდიან. ზაზა თურმანიძის გაწვრთნილები წახკაძორში ორ კვირას დაჰყოფენ, თბილისში დაბრუნდებიან, მერე კი 21-22 თებერვალს კიევის საერთაშორისო ტურნირი ელით.

კიევის ტურნირის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობაც უნდა გამოიკვეთოს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, საევროპო შეიდეული წახკაძორის შეკრებაზევე გაირკვეს. „თავისუფლების" ევროპირველობას კი აპრილში ლიტვა უმასპინძლებს.

თურმანიძე სომხეთში 14 მოჭიდავეს იახლებს: ბესიკ გუჩაშვილი (55 კგ), მალხაზ ქურდიანი (60კგ), ოთარ თუშიშვილი, მალხაზ მუზიაშვილი (66კგ), გელა სალირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი, თორნიკე სვანიძე (84კგ), ლუკა კურტანიძე, გიორგი გოგშელიძე, გიორგი ჩიქოვანი, ბელდუს გავაშელიშვილი (96კგ), დავით ოთიაშვილი, ალექსი მოდებაძე, დავით მოძმანაშვილი (120კგ).

როგორც ხედავთ, ნაკრების თავკაცს წახკაძორში უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს. მათ შორისაა დისკვალიფიცირებული დავით მოძმანაშვილიც, რომელიც ფილასგან კვლავ ელის შეწყალებას. ხოლო გიორგი გოგშელიძე, შესაძლოა, ირანში წავიდეს საკლუბო ჩემპიონატზე და შეკრებას გამოაკლდეს. ეს ამბავი ორშაბათს გაირკვევა.

აქვე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებზეც ვთქვათ. „ანტიკოსებს" 3-4 თებერვალს ეროვნული პირველობა აქვთ.

მძლეოსნობა

# ქევხიშვილმა ფლორიდას ბირთვი ესროლა



**ქართველმა** ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა, რომელიც პეკინის ოლიმპიადის მონაწილეა და ამერიკაში ცხოვრობს, საუნივერსიტეტო პირველობა მოიგო. ფლორიდის შტატში ჩატარებულ ტომ ჯონსის მემორიალზე ქევხიშვილმა ბირთვი 17.17 მეტრზე ჰკრა და პირველი ადგილიც დაიკავა.

მარიამმა წინა საუნივერსიტეტო შეჯიბრზე ნაჩვენები შედეგი 17.10 მეტრი 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა და უფრო მიუახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნორმატივს. წლეულს ბერლინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად მარიამს ბირთვის 17.20 მეტრზე გადაგდება მართებს.

ხელბურთი

# მსხვილიძე ხელს სერბულად მოაწერს

**რატი მსხვილიძე** სერბულ „მეტალოპლასტიკასთან" 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ინფორმაცია სერბული გუნდის ვებგვერდმა გაავრცელა. ქართველი ხელბურთელის უგუნდოდ ყოფნა, როგორც იქნა, მთავრდება.

ისლანდიური „სტიარნანის" გაკოტრების შემდეგ მსხვილიძე საქართველოში დაბრუნდა და ერთი პერიოდი, საერთოდ ვერც ვარჯიშობდა. მერე სტუ-სთან ერთად „მერიის თასზე" ითამაშა და ახალი გუნდის ძებნას შეუდგა...

სერბული გუნდის დაინტერესება ჯერ კიდევ რატის ისლანდიაში გადასვლის დროინდელია, მაგრამ მაშინ ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა „სტიარნანის" ვარიანტი არჩია. სერბებმა ჩვენებურის თამაში მეორედ იტალიაში გამართულ მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე მოიწონეს და როგორც იქნა, საწადელსაც მიაღწიეს.

სერბული ვებგვერდი წერს, რომ 208 სმ და 130 კგ მონაცემების მქონე ხელბურთელი ისლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო.

„მეტალოპლასტიკა" ახლა სერბულ ნოვიე ბეჩეიში გადის შეკრებას, ჩემპიონატი კი თებერვალში განახლდება.

რატი ახალი გუნდით კმაყოფილია. გუნდის ხელმძღვანელობამ პირობებით უზრუნველყო და ბინაც გადასცა. კონტრაქტი კი ამ დღეებში გაფორმდება. ადაპტაციის დაძლევაში კი რატის ირაკლი ჩიქოვანი ეხმარება, ვინც ასევე ამ სერბული გუნდის ხელბურთელია.

„მეტალოპლასტიკა" პირველი წრის შემდეგ მესამე ადგილზეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის, ლიდერს კი ოთხი ქულით ჩამორჩება.

**ლექსო მაისურაძე**

სპორტი

## კვირის ქრონიკა

# ახალი ბინა და ახალი წესები

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ახალ ოფისში პირველი პრესკონფერენცია გამართა და 2009 წლის ბიუჯეტი გაამხილა: 3 მილიონ 287 ათასი ლარი.

პრეზიდენტმა კომიტეტის წესდებაში ცვლილებებზეც ილაპარაკა: „სეოკ-ის ძველი წესდება 1995 წელს მიღებულ ქარტიას ეფუძნებოდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და გვსურს, რომ ჩვენი წესდება უფრო გამჭირვალე, მუშა და დემოკრატიული იყოს. შეიზღუდა პრეზიდენტობის ვადა. თუ აქამდე შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა, ახლა პრეზიდენტი მხოლოდ ორჯერ, ოთხწლიანი ვადით შეიძლება ავირჩიოთ. თუმცა არის ერთი გამონაკლისიც — თუ საქართველოს ოლიმპიური სახეობების ფედერაციათა 50 პროცენტზე მეტი მოქმედ პრეზიდენტს დაუჭერს მხარს, მაშინ, მისი არჩევა მესამე ვადითაც შესაძლებელი იქნება. აღმასკომის წევრთა არჩევის ვადაც ანალოგიური წესით განისაზღვრება.

ჩატარდება სეოკ-ის წევრთა ახლი რეგისტრაცია, რომელიც მომავალი ყრილობის დელეგატებს დაასახელებს.

ამიერიდან პრეზიდენტის არჩევა მხოლოდ ფარული კენჭისყრით მოხდება და ზაფხულის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ოქტომბერში ჩატარდება".

# ქართველებს ხმლები დაურიგეს

**კარატეს** ფედერაციამ სპორტის დეპარტამენტში განვლილი წელი შეაჯამა და რეგიონებში კარატეს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ინსტრუქტორები დააჯილდოვა. გამორჩეულებს დეპარტამენტმა სიგელები და იაპონური ხმლები — „კატან" გადასცა.

სულ ათი ინსტრუქტორი გამოარჩიეს — ნოდარ ხაჯიშვილი (ბათუმი), მამუკა ყურაშვილი (ზუგდიდი), ბაჩუკი სულამანიძე (ფოთი), მერაბ თურქია (ლანჩხუთი), ვაჟა უნგიაძე (ქუთაისი), ნოდარ გულაღაშვილი (კახეთი), ბესო ხუციშვილი (თბილისი), ვაჟა კრიჭაშვილი (თბილისი), ირაკლი ცინცაძე (თბილისი), რაფიკ დარბინიანი (ახალციხე).

# ახვლედიანი დაბლების მხარდასაჭერად

**ფრენბურთის** ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი 3 თებერვალს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარების კომისიის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. სხდომის ძირითადი საკითხები იქნება: აფრიკის კონტინენტზე ფრენბურთის შემდგომი განვითარება, პროექტ „ფრენბურთი ყველასათვის" განხილვა და U-VOLLEY-ს პოპულარიზაცია მსოფლიოში. ლევან ახვლედიანი არის U-VOLLEY-ს ერთ-ერთი ინიციატორი 2002 წელს ბუენოს აირესში ჩატარებულ კონგრესზე.

ლევან ახვლედიანი: „მსოფლიოში მამაკაცთა 97 პროცენტი 185 სანტიმეტრზე დაბალია, ხოლო ქალთა 97 პროცენტი — 175 სმ-ზე დაბალი. U-VOLLEY არის ფრენბურთის ნაირსახეობა, რომელშიც მაქსიმუმ ამ სიმაღლის ადამიანები თამაშობენ.

რამდენიმე ქვეყანა ეროვნულ ჩემპიონატსაც ატარებს და გვსურს, რომ ეს დისციპლინა მასობრივი გახდეს".

# ოთხი ოქრო ბაქოდან

**აზერბაიჯანში** გამართულ „ბაქოს თასზე" ოთხმა ქართველმა მძლეოსანმა იჩემპიონა.

ბორისლავ სხირტლაძემ სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა — 6 მეტრსა და 94 სანტიმეტრზე გადახტა.

გოგლა ზილბერშტეინმა 3 ათასი მეტრი 8 წუთსა და 50 წამში დაფარა. დენის ქვანია 200 მეტრზე სპრინტში 23.52 წამით იმარჯვა, ხოლო პეკინის ოლიმპიადის მონაწილე დავით ილარიანი 60 მეტრ თარჯრბენში გახდა ჩემპიონი — 8.11 წამი.

ამათ გარდა ბაქოში კიდევ ორი ქართველი მძლეოსანი გამოდიოდა. 60 მეტრზე სირბილში გიორგი ანთელიძე მესამე იყო — 7.0 წამი.

400 მეტრზე სირბილში კი მეორე ადგილი ენდრიკ ზილბერშტეინმა (50.7 წამი) დაიკავა. ბორისლავ სხირტლაძე სიგრძეზე ხტომასთან ერთად სამმაგ ხტომაშიც გამოვიდა და მეორე ადგილი დაისაკუთრა — 14.52 მეტრი.

სათქმელია, რომ ჩვენი მძლეოსნები „ბაქოს თასზე" პირველად გამოვიდნენ. ნაკრები აზერბაიჯანში შეკრებასაც გადის და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 6-7 თებერვალს, დიდუბის მანეჟში თბილისის პირველობა ელით.

# ოქსანას ერთი დააკლდა

**18 წლის** ქართველი ჩოგბურთელი ოქსანა კალაშნიკოვა ამერიკაში თამაშს განაგრძობს. ჩვენებურმა ამჯერად ლაგუნა ნაიჯელში გამართულ 25 ათას დოლარიან ტურნირზე მოიქნია ჩოგანი.

ოქსანა ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება და კანადელ მარი-ივ პელეტიესა და ხორვატ ტერეზა მრდეზას მოუგო. ქართველ მეჩოგნეს ძირითად ბადეში მოსახვედრად ამერიკელი ჯენიფერ ელისის დამარცხება მართებდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და 6:4 3:6 3:6 წააგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# HAPPY BIRTHDAY

### 2 თებერვალი

1949 კოლუმბიელი ფეხბურთის მწვრთნელი ფრანცისკო მატურანა
1966 რუსი ჩოგბურთელი ანდრეი ჩესნოკოვი
1967 ლატვიელი ჰოკეისტი არტურს ირბე
1968 ამერიკელი კალათბურთელი შონ ელიოტი
1969 რუსი ფეხბურთელი ვალერი კარპინი
1970 ნორვეგიელი ფეხბურთელი რორ სტრანდი
1975 კანადელი ჰოკეისტი ტოდ ბერტუცი
1977 ჩეხი ფეხბურთელი ლიბორ სიონკო
1978 შოტლანდიელი ფეხბურთელი ბარი ფერგიუსონი
1980 ესპანელი ფეხბურთელი ოლეგერი
1983 შვედი მძლეოსანი კაროლინა კლუფტი

### 3 თებერვალი

1913 ბრიტანელი ავტომრბოლი რიჩარდ სიმენი
1918 ამერიკელი მძლეოსანი ელენ სტივენსი
1949 ჰოლანდიელი ველომრბოლი ჰენი კუიპერი
1968 იუგოსლავიელი კალათბურთელი ვლადე დივაცი
1972 ესტონელი ფეხბურთელი მარტ პოომი

### 4 თებერვალი

1961 კანადელი ჰოკეისტი დენის სავარი
1963 შვეიცარიელი მოთხილამურე პერმინ ცურბრიგენი
1972 ბრაზილიელი ფეხბურთელი ჯოვანი
1973 ამერიკელი მოკრივე ოსკარ დე ლა ჰოია
1987 ჩეხი ჩოგბურთელი ლუსი შაფაროვა

### 5 თებერვალი

1932 იტალიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ჩეზარე მალდინი
1942 ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე როჯერ სტაუბახი
1948 შვედი საფეხბურთო მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი
1965 რუმინელი ფეხბურთელი გეორგ ჰაჯი
1975 ჰოლანდიელი ფეხბურთელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი
1984 არგენტინელი ფეხბურთელი კარლოს ტევესი
1985 პორტუგალიელი ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ
1986 ხორვატი ფეხბურთელი ვედრან ჩორლუკა

### 6 თებერვალი

1895 ამერიკელი ბეისბოლისტი ბეიბი რუთი
1924 ინგლისელი ფეხბურთელი ბილი რაიტი
1968 კოლუმბიელი ფეხბურთელი ადოლფო ვალენსია
1984 ინგლისელი ფეხბურთელი დარენ ბენტი

### 7 თებერვალი

1927 უკრაინელი მორბენალი ვლადიმერ კუცი
1945 უელსელი მორაგბე ჯერალდ დევისი
1949 ბრაზილიელი ფეხბურთის მწვრთნელი პაულო სეზარ კარპეჯანი
1968 სლოვაკი ჰოკეისტი პეტერ ბონდრა
1973 ამერიკელი კალათბურთელი ჯუონ ჰოვარდი
1974 კანადელი კალათბურთელი სტივ ნეში
1978 ბელგიელი ფეხბურთელი დანიელ ვან ბუიტენი
1978 ვენესუელელი ბეისბოლისტი ენდი ჩავესი
1983 ავსტრიელი ავტომრბოლი კრისტიან კლიენი

### 8 თებერვალი

1960 კანადელი ჰოკეისტი დინო სისარელი
1966 ბულგარელი ფეხბურთელი ხრისტო სტოიჩკოვი
1970 ამერიკელი კალათბურთელი ალონზო მურნინგი
1971 ესტონელი მოთხილამურე ანდრის ვეერპალუ
1974 ეკვადორელი ფეხბურთელი ულისე დე ლა კრუზი
1976 ბანგლადეშელი მოკრიკეტე ხალედ მაშუდი
1987 იტალიელი ფიგურულად მოსრიალე კაროლინა კოსტნერი



ტოდ ბერტუცი შესანიშნავი ჰოკეისტი იყო და რამდენჯერმე კანადის ნაკრებშიც მიიწვიეს, მაგრამ სახელი უფრო მეტად გაუვარდა როგორც მოძალადეს. „ვანკუვერში" თამაშისას 2004 წელს დაუნდობლად გალახა კოლორადოელი სტივ მური და ასე იძია შური რამდენიმე კვირის წინ თავისი გუნდის ლიდერ მარკუს ნასლუნდის შეგნებული დამტვრევისთვის. ბერტუცი კარგა ხანი იწვევდა ჩხუბში მურს, მაგრამ ის აინუშშიც არ აგდებდა. ამით კიდევ უფრო გახელებულმა ბერტუციმ უკნიდან დაარტყა, დაბლა დასცა და ყინულზე ახლეწინა თავი. მურს მესამე კატეგორიის ტვინის შერყევა დაუდგინეს, ბერტუცის კი — ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია და ნახევარმილიონიანი ჯარიმა. კიდევ კარგად გადარჩა, რომ მასზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

# იუბილარი ლეგენდები

1983 წლის 2 თებერვალი

## კაროლინა კლუფტი

(შვედეთი, მძლეოსნობა)

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსალი. ტრადიციულად შვიდჭიდელია, მაგრამ ბარძაყის სპეციფიკურმა ტრავმამ კარიერის შუა ეტაპიდან ათქმევინა უარი ტრადიციაზე და კლუფტი მხოლოდ სამხტომში და სიგრძეზე ხტომაში დარჩა, თუმც მანამდეც მოასწრო ძალიან ბევრის მოგება — 2002 წლის შემდეგ ზედიზედ 9 დიდ ტურნირზე გაიმარჯვა. მის ხმაურიან გამარჯვებათა ნუსხაშია სამი მსოფლიოს ჩემპიონატი და 2004 წლის ოლიმპიადა. ერთ-ერთ ტურნირზე 7032 ქულა მოაგროვა და ამ შედეგით ყველა დროის უძლიერეს შვიდჭიდელებში ჯეკი ჯოინერ-კერსის შემდეგ მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

გულღია და კომუნიკაბელური ტრიბუნათა გამხიარულებასაც ახერხებს, რის გამოც მისი გამოსვლა სირბილთან, ხტომასა და სროლასთან ერთად თავშესაქცევი სანახაობაცაა.



1968 წლის 3 თებერვალი

## ვლადე დივაცი

(იუგოსლავია, კალათბურთი)

სერბიაში დაბადებული კალათბურთელი სოციალისტური ბლოკის დარღვევის შემდეგ ალმოსავლეთ ევროპიდან ამერიკისკენ აგორებულ პირველ ტალღას გაჰყვა. 21 წლის იყო, დრაფტზე მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსმა" რომ აიყვანა და ბებერ კონტინენტზე საკმაოდ ცობილი 216-სანტიმეტრიანი ცენტრისგან ქარიმ აბდულ-ჯაბარის შემცვლელი გამოთალა. ნიჭიერმა დივაცმა შეისწავლა თამაშის ამერიკული მანერები, მაგრამ არც ევროპაში ნასწავლი დაკარგა და ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო პასის მიმცემი ცენტრის სახელი დატოვა. შტატებში ძილისგუდობისთვის „დრაკულას" ეძახდნენ, მაგრამ სამშობლოში დიდად დაფასებული კაცია, იუგოსლავიის ნაკრებში ძველ თანაგუნდელ პრედრაგ დანილოვიჩთან ერთად „პარტიზანი" ხელმეორედ აალორძინა, მერე კი თავი პოლიტიკაში მოსინჯა და მცირე ხნით სერბეთის პარლამენტში იჯდა.



1973 წლის 4 თებერვალი

## ოსკარ დე ლა ჰოია

(აშშ, კრივი)

მექსიკაში დაბადებული და შტატებში გადაბარგებული ოსკარ დე ლა ჰოია არა მხოლოდ ლეგენდარული მოკრივე, არამედ წარმატებული ბიზნესმენიც გახლავთ და ორ ცხოვრებას ერთმანეთს უპრობლემოდ უთავსებს. 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე 61 კილოგრამამდე წონაში იჩემპიონა, შემდეგ კი პროფესიონალებში გადაბარგდა და იქ ექვს წონაში ათჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. სულ მოიგო 223 ბრძოლა (163 ნოკაუტით) და წააგო მხოლოდ 5. როგორც მოკრივემ ჰონორარის სახით გამოიმუშავა 700 მილიონი, ხოლო რეკლამებით და სხვა დამატებითი შემოსავლებით ორჯერ მეტი. არ არსებობს მსოფლიოში მასზე მდიდარი მოკრივე და მისებრ ფინანსური შეძლების სპორტსმენებიც ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან.

1965 წლის 5 თებერვალი

## გეორგ ჰაჯი

(რუმინეთი, ფეხბურთი)



რუმინული ფეხბურთის ლეგენდა სამშობლოში ლამის ეროვნულ გმირადაა აღიარებული. სამშობლოს ნაკრებში 125 თამაში ჩაატარა, რითაც მხოლოდ დორინელ მუნტიანუს ჩამორჩება, ხოლო ყვითელი მაისურით გატანილი 35 გოლით რუმინეთის რეკორდსმენია. რიცხვები შთამბეჭდავია, მაგრამ მათ უკან კიდევ უფრო შთამბეჭდავი კარიერაა. „კარპატელ მარადონად" წოდებული ჰაჯის წყალობით რუმინეთი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მუდმივ მონაწილედ იქცა და იქაც არაერთი ძლიერი მეტოქე გაამწარა. საკლუბო დონეზეც გამორჩეულია — ერთ-ერთი იშვიათთაგანია, ვინც „რეალშიც" მოასწრო თამაში და მის მოსისხლე „ბარსელონაშიც", თუმც ყველაზე დიდი კვალი თურქულ გალათასარაიში დატოვა, სადაც თავისი საკლუბო კარიერის ბოლო 5 წელი ითამაშა, უეფას თასი მოიგო და იქაც გმირად შერაცხეს.

1895 წლის 6 თებერვალი

## ბეიბი რუთი

(აშშ, ბეისბოლი)



ბეისბოლის ლეგენდას ხალხი სიყვარულით ათას მეტსახელს ეძახდა — ბეიბი, ბამბინო, პუტკუნა სულთანი... და ამათგან ერთ-ერთი საუკუნო სახელად შერჩა. ის იყო არა მხოლოდ ლეგენდარული სპორტსმენი, არამედ თავისი ეპოქის ამერიკის სახალხო გმირი და მისი ლეგენდა დრომაც ვერ გაახუნა, მიუხედავად იმისა, რომ ბეიბი რუთი ოჰამდე თამაშობდა. ის 21 წელი იქნევდა კეტს მეიჯორ ლიგაში და ამას განსაკუთრებით ნატიფად და სადად აკეთებდა. უამრავი რეკორდი დაამყარა, რომელთაგან ბევრი ლამის ორჯერ აღემატებოდა წინამორბედებს და ბევრმაც ნახევარ საუკუნეს გაუძლო. არაერთი ოფიციალური გამოკითხვით მეოცე საუკუნის ამერიკის საუკეთესო სპორტსმენია, ან საუკეთესოებშია. შტატებში მას ასეთი ხალხის გვერდით აყენებენ — მუჰამედ ალი, მაიკლ ჯორდანი, ტაიგერ ვუდსი, უეინ გრეცკი, ჯო დიმაჯიო... უფრთხილდებიან მის სახელს და ხსოვნას.

53 წლისა დაიღუპა.

1945 წლის 7 თებერვალი

## ჯერალდ დევისი

(უელსი, რაგბი)



უელსური რაგბის მარგალიტი, სწრაფი და მოუხელთებელი ჯერალდ დევისი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გარემარბად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი კარგი მელელოვე ჩამოატარა. 60-70-იან წლებში დევისმა „დრაკონთა" რიგებში 46 მატჩი გამართა და 20 ლელო გაიტანა. ის იმ ოქროს თაობის ერთ-ერთი ვარსკვლავია, რომელიც ბობოლა ნაკრებებს კბილებს ამტვრევდა და უელსს მსოფლიოს უძლიერესთა გვერდით ამკვიდრებდა. ყოველ სამ წელიწადში სამხრეთ ნახევარსფეროში „ლომების" ტურნეს დრო რომ მოაწევდა, გამუდმებით ეძახდნენ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ ნაკრებში. ორჯერ დათანხმდა, ორჯერაც უარი თქვა. ოქსფორდში მიღებულმა ცოდნამ და სარაგბო თემის პატივისცემამ ჩვენს დროში ის „ლომების" მენეჯერად აქცია.

1960 წლის 8 თებერვალი

## დინო სისარელი

(კანადა, ჰოკეი)



ამ კანადელ ჰოკეისტს ბევრი ანიჭებს ამგვარ არაოფიციალურ ტიტულს — „საუკეთესო, მათ შორის, ვისაც სტენლის თასი არ მოუგია". სისარელი 1976-99 წლებში არაერთ გუნდში თამაშობდა და ყველაზე დიდი სახელი „მინესოტაში" დატოვა. ერთი ხანობა, ამ გუნდის რეკორდსმენი გახლდათ მოგროვილ ქულებში. სტაბილურად კარგი მოთამაშე კი იყო, მაგრამ მუდამ რაღაც აკლდებოდა დიდ წარმატებამდე. ჰოკეიდან არაერთხელ წასულა და მერე ისევ დაბრუნებულა, რითაც დიდი ხმაური გამოუწვევია, არა მარტო ამერიკა-კანადაში, არამედ ასე განსაჯეთ, საქართველოშიც კი.



# 7 სპორტული საოცრება

## მონტე კარლო და მიმბაძველები

**ევროსპორტის** ვებგვერდმა მორიგი საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა. წინასწარ შეირჩა თანამედროვეობის შვიდი ყველაზე გასაოცარი სპორტული სარბიელი, რომელთაგან ოთხი საფეხბურთო არენაა, თითო კი ფორმულა ერთის ტრასა, ოლიმპიური და კრიკეტის სტადიონები.

გამოკითხვაში ძირითადად ბრიტანელი გულშემატკივრები იღებდნენ მონაწილეობას. გამარჯვება შეხვდა ფორმულა ერთის ტრასას, უფრო ზუსტად კი გასაოცარ ქალაქ მონტე კარლოს თავისი ქუჩებით, სადაც ფორმულის ერთ-ერთი დიდი პრიზი თამაშდება და რომელიც სპორტზე შეშლილ ხლვა ხალხს უყრის თავს. გამოკითხვაში მონაკოს დიდმა პრიზმა აჯობა სხვა ექვს სპორტულ საოცრებას — „კამპ ნოუს", „სანტიაგო ბერნაბეუს", „სან სიროს", „მარაკანას", პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარ სტადიონ „ჩიტის ბუდეს" და მელბურნის საკრიკეტო სტადიონ „კრიკეტ გრაუნდს".

გამოკითხვასთან რა კავშირშია, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ ფორმულა ერთში ახლა ქუჩურ რბოლათა ნამდვილი ბუმია. უძველეს „მონტე კარლოს" მიმბაძველები გამოუჩნდნენ და შარშანდელ სეზონში შუა ქალაქში კიდევ ორი დიდი პრიზი გაიმართა — სინგაპურის დიდი პრიზი ქალაქ სინგაპურის ქუჩებში და ევროპის დიდი პრიზი ქალაქ ვალენსიის ერთ-ერთ უბანში.

სუპერმანქანების ქუჩაში გაშვების დიდი სურვილი აქვთ რომაელებსაც. იტალიის დედაქალაქი ჯერ კიდევ 1984 წლიდან ცდილობს სამეფო ფორმულის თავის ნამდვილ წიაღში მასპინძლობას. ახლა ეს წინადადება ბერნი ეკლსტოუნს უდევს მაგიდაზე და მასზეა დამოკიდებული, ჩაუქროლებენ თუ არა კოლიზეუმს ათასცხენისძალიანი რკინის რაშები.

ფორმულა ერთის შეფი ფეხს ითრევს, ბევრია მის დიდ ოჯახში გაწევრიანების მსურველი. ეკლსტოუნს 2010 წელს კალენდარში ჩასასმელი ჰყავს სამხრეთკორეელები, მომდევნო წელს კი ინდოელებიც. რიგში დგას მოსკოვი, რომელიც ახალი სუპერტრასის აგებით „იმუქრება". კანადის დიდი პრიზის გაუქმების შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში ფორმულის დაბრუნებაზე მუშაობენ იქაური მსხვილი მანუფაქტურები. ასე რომ, რომს გარანტირებული არაფერი აქვს.

რომაელები იმან ალაშფოთა, რომ მათი იდეა სხვებმა აიტაცეს და მარადიულ ქალაქს ფეხებში ედებიან. შორეულ პერსპექტივაში „ქუჩურ რბოლათა" მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს ლონდონმა და პარიზმა.

„ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო კი ყველაზე ერთდროულად აღშფოთდა: „მონაკოს თავისი ისტორია აქვს და მისი ქუჩები და ატმოსფერო ძალიან ალამაზებს ჩვენს სპორტს, მაგრამ ერთბაშად სამი-ოთხი „მონაკო" მეტისმეტია."

**ვანო ჭოხბიაშვილი**



# არმსტრონგმა ფეხი გაშალა



**ლენს არმსტრონგი** დაბრუნდა — ახლა უკვე თამამად შეიძლება ამის თქმა. ყველა დროის თუ არა, ბოლო ათწლეულის უძლიერესმა ველომრბოლმა სამნახევარი წელი იუქმა და ორთვალაზე იმის გამო ამხედრდა, რომ ამ ივლისს მერვედ მოიგოს უპრესტიჟულესი ტურ დე ფრანსი. არადა, რეკორდი ისედაც მისია.

რამდენიმე დღის წინ არმსტრონგმა მოილია პირველი ტურნირი რეინკარნაციის შემდეგ. სრულად გაიარა ექვსეტაპიანი და 850-კილომეტრიანი „ტურ დაუნ ანდერი", რომელიც ადელაიდის ქუჩებში და ამ ქალაქის ძირითადად წვრილგორაკოვანი პროფილის შემოგარენში იმართება და ავსტრალიის საუკეთესო მრავალდღიან ველოტურად ითვლება.

არმსტრონგი თავიდანვე ამბობდა, რომ იქ გამოსვლა მისთვის ვარჯიშის ხასიათს ატარებდა და მაინც და მაინც გამარჯვებისთვის არ იბრძოლებდა. ჩემთვის მთავარია, ბიჭების გვერდით ვიყო და მათ ტემპს არ ჩამოვრჩე, ხოლო თუ თავს დაძაბუნებას შევატყობ, დიდი ფიქრის გარეშე შევწყვეტ ბრძოლასო — აი, ასეთებს ლაპარაკობდა.

მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. არმსტრონგმა იოლად შეასრულა პროგრამა-მინიმუმი, შვიდივე დღე მხნედ ატრიალა პედლები და დაფარა სრული მანძილი. 25 იანვარს, ბოლო ეტაპზე თითქოს შეტევაც დააპირა, ექვსკაციან მოიერიშე გუნდს შეუერთდა, მაგრამ ორგანიზატორების და ქომაგების გულის დასაწყვეტად, თავი მეტად აღარ გამოიდო და მშვიდად მიგორდა ფინიშამდე. საბოლოოდ 29-ე ადგილზე გავიდა, ჩემპიონთან მხოლოდ 49-წამიანი ჩამორჩენით, რაც პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს. ტურ დე ფრანსის მთებში ასეთ სხვაობას კარგი მრბოლები ერთ საშუალო კატეგორიის აღმართზე იღებენ, ასე რომ, არმსტრონგის ძალთა აღდგენის პროცესი არცთუ ცუდად მიდის.

თავადაც კმაყოფილი ჩანს. თქვა — ფეხებში ძალის მოზღვავებას ვგრძნობ და როგორც ვატყობ, ბევრი ახალგაზრდის ჯობნა ამწუთასვე შემიძლიაო. არმსტრონგი ყოველთვის სანიმუშო სპორტსმენი იყო და ხანგრძლივი უქმობის შემდეგ, 37 წლისაც რომ ძლიერია, მის კოლეგებს ეს გასაკვირად არ აქვთ.

რაც შეეხება „ტურ დაუნ ანდერის" გამარჯვებულს, წლის პირველი დიდი ტურის ჩემპიონობა შეხვდა ავსტრალიელ ალან დევისს, რომელიც მეთერთმეტედ გამოდიოდა ადელაიდაში და პირველი გამარჯვება გაცილებით სახელოვან თანამემამულეს სტიუარტ ოგრეიდის აართვა.

**ვანო ჭოხბიაშვილი**

# ვარდები და ალმასები ჰემილტონის გოგოსთვის



**სირცხვილი** ჭამა ფორმულა ერთის ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა. რამდენიმე დღის წინ ლონდონში Pussycat Dolls-ის კონცერტზე გახლდათ, ამ ჯგუფში კი მისი სატრფო ნიკოლ შერზინგერი მღერის.

მერე კი, აი, რა მოხდა: საგრიმიოროში ნიკოლს 50 ვარდი და 100 ათას გირვანქად ღირებული ალმასის ძვირფასეულობა შეუგზავნეს. ნიკოლმა საჩუქარი ჰემილტონისგან მიძღვნილად მიიჩნია და მადლობის ნიშნად ვნებიანადაც აკოცა, მაგრამ...

ალბათ, მიხვდით, რომ საჩუქარი ჰემილტონისგან გაგზავნილი არ აღმოჩნდა. იმ კონცერტს მავანი არაბი შეიხიც დასწრებია და ნიკოლისთვის თვალი დაუდგამს.

შეგონება: მსოფლიოს ჩემპიონი და მილიონერი თუ ხარით, მაინც გახსოვდეთ, რომ არსებობენ არაბი შეიხებიც...



# მონანიე ჩემპიონი

**ისეთი** პირი უჩანს, რომ ქალთა შორის სამთო თხილამურობაში მსოფლიოს თასი ისევ ამერიკელი ლინდსი ვონს დარჩება. ვონის უშუალო სპეციალიზაცია სულაც არაა სლალომი, მაგრამ როგორც ჩვენი დროის შესაბამისად უნივერსალ სპორტსმენს, მასაც უმაღლეს დონეზე ცოტ-ცოტა ყველაფრის კეთება შეუძლია — მათ შორის სლალომის მოგებაც.

მოთხილამურეები ამ უქმეებზე გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენში შეიყარნენ, სადაც სლალომის გარდა სწრაფდაშვებაშიც უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუმც შაბათის ხრიალების შემდეგ კვირას ქარბუქი ამოვარდა და სწრაფდაშვება ქალებშიც და კაცებშიც გადაიდო.

შაბათს ქალთა სლალომში კი, როგორც გითხარით, ამერიკელმა ლინდსი ვონმა მოიგო და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო გაიმყარა ლიდერობა. სადღეისოდ ქალთა შორის სლალომის საუკეთესო სპეციალისტად ითვლება გერმანელი მარია რეიხი, ვისაც მანმადე ზედიზედ ოთხი სლალომური ეტაპი მოეგო და საერთო ჩათვლაში კუდში მიჰყვებოდა ვონს. პარტენხენშიც რომ ემარჯვა, ჩამორჩენას შეამცირებდა, მაგრამ ვონმა არ დაანება და წლეულს მეორედ იპირველა სლალომის ტრასაზე.

ამ გამარჯვებამ ვონი თითქოს ცოტა შეაწუხა, რადგან რეიხის საუკეთესო მეგობარია და ვინძლო ისიც იფიქრა, დაქალს ცუდი საქმე გავუკეთე და მის საყვარელ სპეციალობაში გამარჯვება აჰყაველეო. გაიფიქრა კი არა, თქვა კიდეც — „დიდი სიამოვნებით დავუთმობდი მარიას ამ გამარჯვებას. ახლა იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ კვირას ვალ დიზერში მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთად მოვიგებთ ტიტულებს."

თანამედროვე მგლურ და წამგლეჯიან მსოფლიოში განა ყოველდღე შეხვდებით ასეთ ოილად დამთმობ ჩემპიონებს?

ისე, წლეულს ვონს კიდევ არაერთხელ მიეცემა სიკეთის გაცემის საშუალება. თუნდაც ამ სამშაბათს იტალიურ ვალ დიზერში, სადაც ამ სამშაბათს მთის თხილამურობაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება.

**ვანო ჭოხბიაშვილი**



ლინდსი ვონი

### მსოფლიოს თასი. საერთო ჩათვლა

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1 ლინდსი ვონი (აშშ) | 1014 | 1 ივიცა კოსტელიჩი (ხორვ) | 735 |
| 2 მარია რეიხი (გერმ) | 890 | 2 ბენიამინ რაიხი (ავსტ) | 660 |
| 3-4 ანია პერსონი (შვედ) | 775 | 3 ჟან ბაპტის გრანჟი (საფრ) | 656 |
| 3-4 კატრინ ცეტელი (ავსტ) | 775 | 4 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) | 655 |
| 5 ტანია პოუტიაინენი (ფინ) | 713 | 5 დიდიე დეფაგო (შვეი) | 595 |



ალენ აივერსონი (დეტროიტი) · დუეინ უეიდი (მაიამი) · ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) · კევინ გარნეტი (ბოსტონი) · დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) · დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) · ჯამერ ნელსონი (ორლანდო) · ჯო ჯონსონი (ატლანტა) · დენი გრეინჯერი (ინდიანა) · პოლ პირსი (ბოსტონი) · რაშარდ ლუისი (ორლანდო) · კრის ბოში (ტორონტო)



კრის პოლი (ნიუ ორლეანი) · კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) · ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) · ტიმ დანკანი (სან ანტონიო) · იაო მინი (ჰიუსტონი) · ტონი პარკერი (სან ანტონიო) · ჩონსი ბილაპსი (დენვერი) · ბრენდონ როი (პორტლენდი) · პაუ გასოლი (ლეიკერსი) · დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) · დირკ ნოვიცკი (დალასი) · შაკილ ონილი (ფინიქსი)

# ხომ არ გაგვეუქმებინა ვირტუალური არჩევნები?

## შაკი დაბრუნდა, იაო დახვდა

**15 თებერვალს** ფინიქსში გასამართი „ყველა ვარსკვლავის" მატჩისთვის ყველა ვარსკვლავი შეირჩა. სასტარტო ხუთეულები ტრადიციულად გულშემატკივრებმა „გამოიკითხეს" ინტერნეტით, სათადარიგო „შეიდეულების" დადგენა კი ნბა-ს 30 გუნდის მთავარ მწვრთნელთა პრეროგატივა იყო.

გამოკითხვამ როგორც ყოველთვის არაერთი ცხარე კამათი ააგორა. საჭიროა კი ინტერნეტით მოხდეს სასტარტოთა შერჩევა? როდემდე უნდა იჯდეს იაო მინი დასავლელთა ხუთეულში? საერთაშორისო ქსელის ჩინელ მომხმარებელთა სიმრავლის გამო იაოს გარანტირებული აქვს დასავლეთის ხუთეული და თუ სისტემა არ შეიცვალა, ამ მხრივ იმდენი ხანი არ შეექმნება პრობლემა, რამდენ ხანსაც ნბა-ში დარჩენას ინებებს, სულ რომ მეათე ცენტრობამდე დაქვეითდეს თავის კონფერენციაში.

იაოს რა უჭირს, ჩინელმა ამომრჩეველმა ლამის მეორე თავისიანიც გაიყვანა ოლ სტარში — „ნიუ ჯერსის" 211-სანტიმეტრიან და სიმაღლის გარდა ვერაფრით გამორჩეულ იი ძიანლიანსაც გვარიანი ხმები მოუგროვდა. ბედად აღმოსავლეთში მან ვერ აჯობა ორ საუკეთესო ფორვარდს — ლებრონ ჯეიმსს და კევინ გარნეტს, მაგრამ მომავალში ვარსკვლავებში არც მისი დაუმსახურებელი „შეტენვა" იქნება გასაკვირი. ერთ წინელს კი, მით უმეტეს არცთუ ურიგოს, როგორმე აიტანს ოლ სტარი. ისე ჩვენში დარჩეს და, იაო ხუთეულს თუ არა, სკამზე ჯდომას ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ ამრეზით იმიტომ უყურებენ, რომ აქამდე ბევრით ვერ გამოიჩინა თავი — 2003 წლიდან მუდმივად დამწყებია, 2007 წელს ტრავმის გამო ვერ ითამაშა, დანარჩენ ხუთ ვარსკვლავურ თამაშში კი ერთადერთხელ ასცდა 10 ქულას. ამიტომაც „ეზედმეტება" ხალხს ძირითადში.

სპეციალისტებმა ასევე დაიწუნეს აღმოსავლეთში ძირითად გამთამაშებლად ხალხისგან შერჩეული ალენ აივერსონი, რომელიც „დეტროიტში" იდეალურად ნაღდად ვერ ბურთაობს, მაგრამ მაყურებელი ძველი დამსახურებისთვის ყვარობს და მასაც პრაქტიკულად გარანტირებული აქვს ხუთეული.

სათადარიგო ვარსკვლავების ამომრჩევ მწვრთნელებსაც ხვდებათ კრიტიკა, თუმც გაცილებით რბილი. ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო აღმოსავლეთში ვინს კარტერის „მივიწყება", დასავლეთში კი სტივ ნეშისთვის ვარსკვლავის სტატუსის ჩამორთმევა და დერონ უილიამსის მორიგი იგნორირება. სხვაფრივ კი პრაქტიკულად ყველა მოხვდა 24 საუკეთესოში.

კიდევ ერთხელ განვმარტოთ: თავად ყველა ვარსკვლავის მატჩი დიდი სპორტული დრამატიზმის მატარებელი ვერაა. ეს უფრო შოუთამაშობაა, სადაც მონაწილენი ერთობიან და თავებს არ იხოცავენ, მაგრამ იქ არჩევა დიდი პატივია და ოლ სტარში გამოჩენა მაღალ სტატუსს სძენს ნბა-ს მოთამაშეებს.

ქვეყნის სალაპარაკო გახდა ვარსკვლავებში შაკილ ონილის დაბრუნება. 36 წელს მიტანებული დევშაკი ნბა-ში თავის მე-17 სეზონს ატარებს და აგერ, მე-15 ოლ სტარში მიიწვიეს. 1999 წელს ოლ სტარი საერთოდ არ გამართულა, ასე რომ გამოდის, მას ერთადერთხელ გამოატოვებინეს ვარსკვლავების ყოველწლიური შეკრება. ეს ამბავი შარშან მოხდა, როცა შაკი მართლა ვერ იყო ფორმაში და თავის რიგით მეოთხე გუნდ „ფინიქსს" მთლად იდეალურად ვერ მორგებულიყო. მაშინ ყველამ ხელი ჩაიქნია — მორჩა ამის ვარსკვლავობაო, მაგრამ შაკის სიჯიუტის ამბავი ხომ გსმენიათ, ბებერმა მთაკაცმა მკლავები „დაიკაპიწა" და მზის ქვეშ კუთვნილი ადგილი დაიბრუნა. წლეულს ის საშუალოდ 18 ქულას და 9 მოხსნას აგროვებს. ღირსეული შედეგია მისი ასაკის მოთამაშისთვის.

შაკი ოლ სტარის მასპინძელი იქნება, ისევე როგორც მასზე 10 წლით უმცროსი მეორე ფინიქსელი ამარე სტუდემაიერი. კარგი იქნებოდა დასავლელ კაშკაშებში სტივ ნეშის ხილვაც, მაგრამ სულ ახლახანს 35 წლისა მოყრილი გამთამაშებლის ადგილი ვეღარ მოინახა 12 რჩეულში.

შაკზე ისიც ვთქვათ, რომ ლეიკერსიდან წამოსვლის, ანუ 2004 წლის შემდეგ ის პირველად ითამაშებს ყოფილი თანაგუნდელის კობი ბრაიანტის მხარდამხარ. საჩხუბრად ერთად გაჩემპიონებული მომავალი ლეგენდები მანამდეც ვერ იტანდნენ ერთმანეთს, ბოლო ხუთი წელი კი მეტოქეობა მოუწიათ და ამ როლს თანაგუნდელობაზე მეტი სიამოვნებით ასრულებდნენ. ახლა ისინი ერთი ფერის მაისურებს ჩაიცვამენ და ერთ კალათს შეუტევენ. „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯექსონი ხუმრობს და იმუქრება კიდეც — ორივეს ერთადროულად გათამაშებთ და მე შორიდან გავერთობი თქვენი ცქერითო. კინაღამ დაგვავიწყდა — „დიდმა ფილმა" კარგა ხნით ადრე დაიბევა დასავლელთა თავკაცობა, რაკი მისი „ლეიკერსი" დასავლეთის გაუსწორებელი ლიდერია. აღმოსავლეთის თავკაცობაზე კი ერთბაშად სამი გუნდის მწვრთნელი აცხადებს პრეტენზიას.

# მორალის და მუქთი 18 მილიონის შესახებ

**დარიუს მაილზის** გარშემო ატეხილი სკანდალი გრძელდება. ამ მოთამაშეს ნბა-ს ერთი გუნდი სათამაშოდ იწვევს, რაც მეორე გუნდს ძალიან აღიზიანებს და უკიდურესი ზომების მიღებისკენ უბიძგებს.

ამ ძალზედ ჩახლართული ამბის მოკლე ისტორია ასეთია: მაილზმა 2006 წელს ტრავმის გამო დაანება თამაშს თავი. მაშინ ის „პორტლენდში" ირიცხებოდა და როგორც საკმაოდ კარგ მოთამაშეს მულტიმილიონიანი და მრავალწლიანი კონტრაქტი ქონდა. ძველი დიაგნოზით მოურჩენელი ტრავმა ჰქონდა, მაგრამ მოირჩინა და ორი წლის შემდეგ დიდ თამაშში დაბრუნება სცადა, რაც მის ძველ გუნდს დიდად არ ეამა, რაკი ძველი კონტრაქტის მიხედვით უნდა ეხადა ჯამაგირი.

იმ ხელშეკრულებაში „პორტლენდისთვის" დამღუპველი ასეთი პირობა წერია: თუ მაილზი ნბა-ს ნებისმიერ გუნდში სეზონში სულ ცოტა 10 თამაშს გამართავს, „პორტლენდმა" მას მთელი სეზონის ჯამაგირი უნდა გადაუხადოს. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ნბა-ში აპრობირებული პირობაა. გუნდები მოთამაშეებს ერთმანეთში რომ ცვლიან, აგრძელებენ მათთვის ხელფასის გადახდას (ამიტომაც ცდილობენ თანაბარხელფასიანების გაცვლას).

მაგრამ „პორტლენდისთვის" იმ ავბედითი კონტრაქტის მიხედვით 2008-09 სეზონისთვის მაილზის ხელფასი, არც მეტი არც ნაკლები, 18 მილიონს შეადგენს. „პორტლენდმა" აღარ ისურვა მისი აყვანა — რად უნდოდა ეს მავთულებით აწყობილი ყოფილი ვარსკვლავი? რაში უნდა მიეცა ამხელა ფული? და არც ის უნდოდა, რომ მაილზს სხვაგან ეთამაშა, რადგან ფული მაინც მას უნდა გადაეხადა. მაილზმა კი წლეულს ადრეულადვე მოასწრო რვა თამაშში გასვლა და ახლა „მემფისში" კიდევ ორი „საჭიროც" დაამატა, ასე რომ სრული უფლება მიეცა, „პორტლენდის" ხაზინიდან 18 მილიონი გამოიტანოს.

ძველმა გუნდმა თავიდან ერთი ამბავი კი ატეხა და სხვა გუნდებში გამაფრთხილებელი წერილები დააგზავნა, აქაოდა ვინც მაგ ბიჭს შეიკედლებს, ძალიან გავგვარისხებსო, მაგრამ იოლი 18 მილიონის მაძებარმა ვეტერანმა თავისას მაინც მიაღწია.

მაილზმა „მემფისის" რიგებში მანამდე ჩაატარა თამაშების გარკვეული რაოდენობა, მერე კი იქიდან წასვლა მოუხდა — ამ გუნდმა „პორტლენდის" ზეწოლით კი დაითხოვა, მაგრამ ამ ორი კვირის წინ უკან მიიღო 10 დღით, მერე კი მთელი სეზონითაც დაიტოვა. მემფისელებს თავისი ანგარიში აქვთ — სულტო შემადგენლობის მოლოდინურებას ლამობენ და „მუქთი" ვეტერანი არ ეთმობათ. ასე რომ, ამდენი ჩალიჩის მიუხედავად „პორტლენდს" მაინც მოუწევს ძველი ვალების გადახდა. ხოლო მათი ყოფილი მოთამაშე მორალურად იმსახურებს თუ არა ამ 18 მილიონს, ეს სულ სხვა საკითხია და ოკეანგაღმა ამას გაცილებით ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, ვიდრე იურიდიულ „დამსახურებას".

**ირაკლი ფირაშვილი**

ერთიანი ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

**25 იანვარი**
ბოსტონი 124:100 დალასი
ლეიკერსი 99:85 სან ანტონიო
ატლანტა 89:104 ფინიქსი
ტორონტო 113:97 საკრამენტო
დეტროიტი 105:108 ჰიუსტონი
ინდიანა 98:93 შარლოტი
მინესოტა 109:108 ჩიკაგო
დენვერი 117:97 იუტა
გ. სტეიტი 107:92 კლიპერსი

**26 იანვარი**
ვაშინგტონი 87:103 ფინიქსი
ნიუ იორკი 104:98 ჰიუსტონი
მაიამი 95:79 ატლანტა
ნიუ ორლეანი 101:86 ფილადელფია
მილუოკი 83:90 მინესოტა
ოკლაჰომა 94:85 ნიუ ჯერსი
კლიპერსი 88:113 პორტლენდი

**27 იანვარი**
კლივლენდი 117:110 საკრამენტო
ორლანდო 135:111 ინდიანა
მემფისი 85:100 დენვერი
იუტა 100:107 სან ანტონიო
ლეიკერსი 110:117 შარლოტი

**28 იანვარი**
ინდიანა 107:99 მილუოკი
მაიამი 93:71 ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი 106:107 ტორონტო
ნიუ იორკი 112:104 ატლანტა
ბოსტონი 119:100 საკრამენტო
ოკლაჰომა 114:102 მემფისი
მინესოტა 89:98 დეტროიტი
ნიუ ორლეანი 94:81 დენვერი
ჰიუსტონი 93:95 ფილადელფია
დალასი 117:93 გ. სტეიტი
პორტლენდი 88:74 შარლოტი
კლიპერსი 75:95 ჩიკაგო

**29 იანვარი**
ორლანდო 99:88 კლივლენდი
ფინიქსი 104:114 სან ანტონიო

**30 იანვარი**
დეტროიტი 78:86 ბოსტონი
ინდიანა 114:103 მაიამი
ფილადელფია 104:94 ვაშინგტონი
ტორონტო 85:96 მილუოკი
ატლანტა 105:88 ნიუ ჯერსი
კლივლენდი 112:95 კლიპერსი
მინესოტა 119:132 ლეიკერსი
დენვერი 110:99 შარლოტი
იუტა 110:90 ოკლაჰომა
ნიუ ორლეანი 87:91 გ. სტეიტი
საკრამენტო 88:109 ჩიკაგო

**31 იანვარი**
ინდიანა 113:122 ნიუ იორკი
ფილადელფია 83:85 ნიუ ჯერსი
მაიამი 96:111 დალასი
მემფისი 98:115 ლეიკერსი
ვაშინგტონი 106:94 კლიპერსი
მილუოკი 110:107 ატლანტა
სან ანტონიო 106:93 ნიუ ორლეანი
ჰიუსტონი 110:93 გ. სტეიტი
ფინიქსი 111:122 ჩიკაგო
პორტლენდი 122:108 იუტა

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| მო უილიამსი (კლივლენდი) | 27.01 | 43 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 25.01 | 39 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 31.01 | 38 |
| თიჯეი ფორდი (ინდიანა) | 31.01 | 36 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 31.01 | 35 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 28.01 | 35 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 27.01 | 35 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 26.01 | 35 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| დეანდრე ჯორდანი (კლიპერსი) | 25.01 | 20 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 29.01 | 18 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 29.01 | 18 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 26.01 | 15 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 26.01 | 15 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 26.01 | 7 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| იოახიმ ნოა (ჩიკაგო) | 25.01 | 7 |

*ნიუ-ორლეანელმა კრის პოლმა 26 იანვარს „ფილადელფიასთან“ 27 ქულა 15 პასი, 11 მოხსნა და 7 ჩაჭრა გააკეთა*

### კვირის მატჩი

27 იანვარი. კლივლენდი

**კლივლენდი 117:110 საკრამენტო**

26:27 34:29 28:26 29:28

კლივლენდი: უილიამსი (43 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), პავლოვიჩი (12), ჯეიმსი (23 ქულა, 15 მოხსნა, 11 პასი), ვოლესი (1), ილგაუსკასი (7); ჰიქსონი (11), გიბსონი (10), კიზი (9), შჩერბიაკი (1), ჯექსონი

საკრამენტო: უდრიჰი (8), მარტინი (35 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), სალმონსი (21), ტომპსონი (16), მილერი (7); ჰიუისი (9), გარსია (7), ბრაუნი (7), ჯექსონი

# მაიმუნი მო
## ლებრონი მაინც ერთია

**მო უილიამსი** ყოველთვის კარგ მოთამაშედ ითვლებოდა და სეზონის დასაწყისში კლივლენდურ „კავალერიაში“ მისი მისვლის შემდეგ ლებრონ ჯეიმსს გვარიანად შეუმსუბუქდა ლიდერის ტვირთი. გუნდმაც შესამჩნევად მოუმატა — აღმოსავლეთში ლიდერობის არცთუ ურიგო შანსი გაუჩნდა. მაგრამ ეს გამთამაშებელი ოლ სტარის კალიბრისა ნამდვილად არასდროს ყოფილა და რჩეულთა შორის არც ამ ჯერზე მოხვდა — ვერ უშველა ვერც პირადმა სტატისტიკამ და ვერც გუნდის შედეგებმა.

ამ საშაბათს მოს ამომრჩევლათვის თავის მოწონების ბოლო შანსი ჰქონდა, მისი გუნდი „საკრამენტოს“ მასპინძლობდა და მანაც ეს შანსი ბოლომდე გამოიყენა — სულ დაივიწყა გვერდით „ამხელა“ ლებრონ ჯეიმსის არსებობა, თამაში თავის თავზე აიღო და მტერს, რაც მან „საკრამენტოს“ დააწია. 43 ქულა ხომ ჩაუმხო და ამით კარიერის რეკორდი დაიმყარა, ზედ 11 პასი და 8 მოხსნაც დაურთო და ცხოვრების საუკეთესო მატჩი ლამის სამმაგი დუბლით გაალამაზა. მოკლედ, ისეთი რამეები აკეთა, ვილას ახსოვდა ეს ჩვენი მეფე-ლებრონი. არადა, ამასაც სამმაგი დუბლი შეუსრულდა.

მაგრამ მაინც არ აღირსეს ოლ სტარი. აღმოსავლეთის 7 სათადარიგოს დასახელებისას გამოკითხვის მონაწილე მწვრთნელებმა უპირატესობა მიანიჭეს „ორლანდოს“ გამთამაშებელ ჯამერ ნელსონს, რომელიც ზუსტად უილიამსის ხელაა, ასაკითაც და ზომაწონითაც და აქამდე არც მას უთამაშია ვარსკვლავებში.

ირონია კი ისაა, რომ „კლივლენდს“ უილიამსის და ჯეიმსის შედეგიანი თამაშის მიუხედავადაც გაუჭირდა ერთი შეხედვით ჯაბანი მეტოქის ძლევა. „საკრამენტო“ ბოლო წუთამდე არაფერს თმობდა და მხოლოდ 7 ქულით წააგო. ისე, ამ გუნდსაც ჰყავს თავისი დაუფასებელი ვარსკვლავი — „მეფეთა“ ლიდერი კევინ მარტინი წლეულს საშუალოდ 23,8 ქულას კი იხვეჭს, მაგრამ ფინიქსში გუნდის უფერული შედეგების გამო არ მიჰყავთ.

„კლივლენდმა“ კი, სხვათა შორის, შინ 21-ე თამაშიდან 21-ე მოიგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჯერალდ ვოლესი გადარჩა

**პარასკევს** საავადმყოფოდან გამოეწერა „შარლოტ ბობქეთსის“ ერთ-ერთი ლიდერი ჯერალდ ვოლესი, რომელიც იქ მეტოქის უხეშობისთვის გამო მოხვდა. წინა დღით მისმა გუნდმა სასწაულებრივად, ორმაგ ოვერტაიმში მოიუგო ბობოლა „ლეიკერსს“, მაგრამ ეს გამარჯვება „ფოცხვერებს“ ლიდერის დამტვრევად დაუჯდათ — პირითი ხაზის გასწვრივ მოძრავ ვოლეს, როგორც ვიდეოგამეორებებმა აჩვენა, შეგნებულად ჩაარტყა იდაყვი ლეიკერსელმა ენდრიუ ბაინამმა და დაბლაც მძიმედ დასცა. ვოლესი ჰოსპიტალში გააქანეს, ბაინამს კი ჯერჯერობით სანქციებს არ უწესებენ.

# ნბა-ს ყოფილი მოთამაშე მარიხუანას ყიდდა

**ნარკოტიკებით** ვაჭრობაზე ჩავარდა ნბა-ს ყოფილი მოთამაშე კორი ბლუნტი. ეს არაა ის შემთხვევა, როცა პოლიცია მარიხუანით დაბანგულ ვარსკვლავს გათოკავს. მარიხუანის მოწევაზე ლამის ნახევარი ნბა ჩავარდნილა, მაგრამ ამ ჯერზე საქმე ეხება მარიხუანის გასაღებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.



პოლიციამ წინასწარ იცოდა, რომ ყოფილი კალათბურთელი შინ დიდი ოდენობით ინახავდა აკრძალულ ბალახეულს, დაეცა მის სახლს და ამოუღო რამდენიმე პაკეტში გადანაწილებული, გასაღებისთვის გამზადებული 11 გირვანქა მარიხუანა, რაც დაახლოებით ხუთი კილოა. ბლუნტს სულ ცოტა ხუთი წლით ემუქრება თავისუფლების აღკვეთა.

206-სანტიმეტრიანი, ამპლუით მძიმე ფორვარდი კორი ბლუნტი არასდროს ყოფილა რაიმეთი გამორჩეული კალათბურთელი, მაგრამ ნბა-ში საკმაო ხნით ითამაშა, ხალხი იცნობდა და ახლა ასე „შეახსენა“ თავისი ვინაობა. ნბა-ში 1993 წელს მივიდა და 11 სეზონში შვიდ გუნდში თამაში მოასწრო. სულ 600 შეხვედრაზე მეტი ჩაატარა და დააგროვა 3,6 ქულა და 4,2 მოხსნა. ახლა ის 40 წლისაა.



მო უილიამსი ბენო უდრიჰს გაურბის

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 39 | 9 | 81,2 | 23-2 | 16-7 | 10 მოგ | 10-0 |
| ფილადელფია | 23 | 23 | 50,0 | 13-10 | 10-13 | 1 წაგ | 7-3 |
| ნიუ იორკი | 21 | 25 | 45,7 | 14-9 | 7-16 | 3 მოგ | 7-3 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 27 | 43,8 | 9-15 | 12-12 | 1 მოგ | 2-8 |
| ტორონტო | 19 | 29 | 39,6 | 9-13 | 10-16 | 1 წაგ | 3-7 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 36 | 9 | 80,0 | 22-0 | 14-9 | 1 მოგ | 7-3 |
| დეტროიტი | 25 | 20 | 55,6 | 13-10 | 12-10 | 1 წაგ | 3-7 |
| მილუოკი | 24 | 27 | 47,1 | 14-8 | 10-19 | 2 მოგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 21 | 27 | 43,8 | 13-10 | 8-17 | 3 მოგ | 5-5 |
| ინდიანა | 19 | 29 | 39,6 | 13-10 | 6-19 | 1 წაგ | 6-4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 35 | 10 | 77,8 | 18-4 | 17-6 | 2 მოგ | 8-2 |
| ატლანტა | 27 | 20 | 57,4 | 18-5 | 9-15 | 1 წაგ | 5-5 |
| მაიამი | 25 | 21 | 54,3 | 15-8 | 10-13 | 2 წაგ | 6-4 |
| შარლოტი | 19 | 28 | 40,0 | 13-13 | 6-15 | 2 წაგ | 6-4 |
| ვაშინგტონი | 10 | 37 | 21,3 | 7-16 | 3-21 | 1 მოგ | 3-7 |

### დასავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 32 | 14 | 69,6 | 18-7 | 14-7 | 3 მოგ | 8-2 |
| ნიუ ორლეანი | 28 | 16 | 63,6 | 16-6 | 12-10 | 2 წაგ | 6-4 |
| ჰიუსტონი | 29 | 19 | 60,4 | 16-6 | 13-13 | 1 მოგ | 6-4 |
| დალასი | 27 | 19 | 58,7 | 14-7 | 13-12 | 2 მოგ | 5-5 |
| მემფისი | 11 | 35 | 23,9 | 9-17 | 2-18 | 12 წაგ | 0-10 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 31 | 16 | 66,0 | 19-6 | 12-10 | 1 მოგ | 6-4 |
| პორტლენდი | 29 | 17 | 63,0 | 18-5 | 11-12 | 4 მოგ | 7-3 |
| იუტა | 26 | 22 | 54,2 | 18-6 | 8-16 | 1 წაგ | 3-7 |
| მინესოტა | 16 | 29 | 35,6 | 8-15 | 8-14 | 2 წაგ | 6-4 |
| ოკლაჰომა | 11 | 36 | 23,4 | 8-17 | 3-19 | 1 წაგ | 6-4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 37 | 9 | 80,4 | 23-4 | 14-5 | 2 მოგ | 7-3 |
| ფინიქსი | 25 | 20 | 55,6 | 12-10 | 13-10 | 2 წაგ | 3-7 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 33 | 31,2 | 10-11 | 5-22 | 1 წაგ | 5-5 |
| კლიპერსი | 10 | 37 | 21,3 | 5-20 | 5-17 | 5 წაგ | 2-8 |
| საკრამენტო | 10 | 38 | 20,8 | 7-16 | 3-22 | 8 წაგ | 1-9 |

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური. 28-29 იანვარი

**E ჯგუფი**

ტაუ კერამიკა 99:77 პროკომი
მილანო 76:74 ოლიმპიაკოსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 1 | 1 | 0 | +22 | 2 |
| მილანო | 1 | 1 | 0 | +2 | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 1 | -2 | 1 |
| პროკომი | 1 | 0 | 1 | -22 | 1 |

**F ჯგუფი**

მაკაბი 96:65 ალბა
რეალი 85:83 ბარსელონა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 1 | 1 | 0 | +31 | 2 |
| რეალი | 1 | 1 | 0 | +2 | 2 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | -2 | 1 |
| ალბა | 1 | 0 | 1 | -31 | 1 |

**G ჯგუფი**

პანათინაიკოსი 81:63 პარტიზანი
ლოტომატიკა 75:88 უნიკახა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | +18 | 2 |
| უნიკახა | 1 | 1 | 0 | +13 | 2 |
| ლოტომატიკა | 1 | 0 | 1 | -13 | 1 |
| პარტიზანი | 1 | 0 | 1 | -18 | 1 |

**H ჯგუფი**

ულქერი 48:68 ცსკა
ციბონა 88:81 მონტეპასკი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 1 | 1 | 0 | +18 | 2 |
| ციბონა | 1 | 1 | 0 | +7 | 2 |
| მონტეპასკი | 1 | 0 | 1 | -7 | 1 |
| ულქერი | 1 | 0 | 1 | -7 | 1 |



## ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი. 19 იანვარი-1 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო ფონდი 15 700 000 $

ქალთა ბადე

# დიდი გული და მებრძოლი სული

**ავსტრალიის** ღია პირველობა მუდამ სენსაციების ბუდეა, სეზონი ახალი დაწყებულია, ბევრ ჩოგბურთელს ჯერ არ აუკრეფია სასურველი ფორმა და წლის პირველ სლემტურნირზე მოულოდნელობები ხშირად სტუმრობენ.

მაგრამ წლეულს მათ რატომღაც ძუნწად მოინახულეს მელბურნი. ქალთა ბადეში ასეულზე მეტი მატჩი გაიმართა, თუმც დიდი სენსაციები ძნელი ამოსარჩევია. მხოლოდ პირველ ნომრად განთესილი ელენა იანკოვიჩის ნაადრევი მარცხი ემცხეთა ხალხს, სხვაფრივ კი ქალთა განაკვეთს „აუს ოუფენისთვის" ასე შეჩვეული ვნებათაღელვა აკლდა.

### მეოთხედფინალი

**ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი)** — მარიონ ბარტოლი (16, საფრანგეთი) 6:3 6:0
**დინარა საფინა (3, რუსეთი)** — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:4 4:6 6:4
**ელენა დემენტიევა (4, რუსეთი)** — კლარა სუარეს ნავარო (ესპანეთი) 6:2 6:2
**სერენა უილიამსი (2, აშშ)** — სვეტლანა კუზნეცოვა (8, რუსეთი) 5:7 7:5 6:1

ელენა იანკოვიჩს მეოთხე წრეში და ორ სეტში ძლუგო მარიან ბარტოლიმ, რომელიც ორი წლის წინ უიმბლდონის ფინალამდე მისულა, მელბურნის კორტებზე კი განთესვის მე-16 ნომრით თამაშობდა და ყოველგვარი გადამლაშების გარეშე, ზღაპრულ ფორმაშიც გახლდათ.

მაგრამ ფრანგი გოგონა, როგორც ჩანს, ემოციურად გამოფიტა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ძლევამ. მაშ, სხვა რას უნდა მივაწეროთ მეოთხედფინალში ვერა ზვონარიოვასთან 15 გეიმში კაპიტულაცია? ეგებ ეგონა, რომ იანკოვიჩის მძლეველის წინაშე დამდგარ ზვონარიოვას მუხლები აუკანკალდებოდა და თამაშს თავად ჩააბარებდა? 0:6 3:6 — აი, ასე შერცხვა იანკოვიჩის შემარცხვენელი ბარტოლი.

სენსაციაა თუ არა გაუთესავი ელენა დოკიჩის მეოთხედფინალამდე მისვლა? მათ, ვისაც ძველი დოკიჩი არ უნახავს, ალბათ ცდუნება წასძლევს და მეშვიდე ასეულში ჩაკარგული ავსტრალიელის აქადე ამოსვლას შემთხვევითობათა ბედნიერ დამთხვევად მონათლავს. მაგრამ ელენა ხომ ახლა არ სწავლობს თამაშს. რეიტინგსიის ჯურღმულებში ის ჩოგბურთის ცუდი თამაშის გამო კი არა, ოჯახური პრობლემების და მამამისთან სასტიკად გართულებული ურთიერთობის გამო აღმოჩნდა. ოდესღაც ის მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი იყო და მაშინ როდესაც ყველა ჩამოწერილად თვლიდა, დოკიჩმა იპოვა საკუთარ თავში ძალა, დეპრესიასაც სძლია და სახეზე შერჩენილ ნერვიულ გამომეტყველებასთან ერთად მელბურნის კორტზე ხარისხიანი ჩოგბურთიც გაიტანა.

დოკიჩს თავისით არ წაუგია არცერთი თამაში. პირველ წრეში ტამარა პაჩეკს რომ მოუგო, მას მერე სულ ერთმანეთზე უკეთესი გოგონები დაამარცხა — ანა ჩაკვეტაძე, კაროლინ ვოზნიაკი და ალისა კლეიბანოვა. სამივე განთესილი გახლდათ და სამივე მსოფლიო ჩოგბურთის მეორე ათეულის მკვიდრია, ხოლო ჩაკვეტაძე არცთუ შორეულ წარსულში პირველ ათეულშიც თავმომწონეობდა. დოკიჩმა ყველასთან დაძაბულ, სამსეტიან შეხვედრაში იმარჯვა, ამასთან ყოველ მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ მეტოქის გარდა საკუთარ წარსულს და ემოციებსაც ებრძოდა.



ელენა დოკიჩი

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მეორედ დაბადებული გოგონას გამარჯვებათა სერიას სამშაბათს დაესვა წერტილი. ერთ დროს ჩოგბურთის მშვენება ელენას მეოთხედფინალში აჯობა რეალურად უფრო ძლიერმა ჩოგბურთელმა დინარა საფინამ, თუმც მან აქაც ბოლომდე იომა ბალკანური მებრძოლი გენებით. ერთი სეტი აართვა მსოფლიოს მესამე ჩოგანს და დამსახურებული ტაშით დატოვა მელბურნი. სხვათა შორის, მშობლიურ ქალაქში ეს მისი საუკეთესო შედეგია. მელბურნში დოკიჩის მანამდელი რეკორდი მეოთხე წრეში ანუ მერვედფინალში გასვლა გახლდათ.

მეოთხედფინალი გაიარეს ბუკმეკერთა აზრით „ავსტრალიან ოუფენის" მთავარმა ფავორიტებმა — სერენა უილიამსმა და ელენა დემენტიევამ.



### მეოთხედფინალი

**დინარა საფინა (3, რუსეთი)** — ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) 6:3 7:6 (7:4)
**სერენა უილიამსი (2, აშშ)** — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:3 6:4

სერენა უილიამსს მეოთხედფინალში გაცილებით მეტი ჯაფა შეხვდა — „გაჯიუტებული" სვეტა კუზნეცოვას თავის „ადგილზე დასაყენებლად" მესამე „ზედმეტი" სეტის გამართვა დასჭირდა, მაგრამ ნახევარფინალში დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა — დემენტიევას ორ სეტში აჯობა.

არადა დემენტიევას წლეულს ზედიზედ 15 მატჩის მოგება მოესწრო და მელბურნში ჩასვლამდე ორი მომცრო ტურნირის თასი აღემართა, მაგრამ ასევე მძლავრ ფორმაში მყოფ სერენასთან კი ველარას გახდა. სიმპათიურ რუსს ნახევრფინალიდან გავარდნის შემდეგ არ დაუჩივლია — ვფიქრობ, რომ სერენას კარგად ვეთამაშე და ავსტრალიიდან დადებითი ემოციები წამყვებაო.

მეორე ნახევარფინალი წმინდა რუსული იყო და დემენტიევასთან შედარებით არცთუ სიმპათიურმა საფინამ და ზვონარიოვამ მაინც და მაინც თამაშითაც ვერ შეაქციეს მაყურებელი. მხოლოდ მეორე სეტი გამოვიდა დაძაბული და ისიც ჩოგბურთელობიდან ამასწინათ გადამდგარი მარატ საფინის უმცროსმა დაიკომ მოიგო, ზვონარიოვამ კი საქმიანი იერით თქვა, საკუთარ თავზე მეტი მუშაობა მმართებსო.

### ფინალი

**სერენა უილიამსი (2, აშშ)** — დინარა საფინა (3, რუსეთი) 6:0 6:3

ნახევარფინალში სამი რუსი გავიდა, მთავარი ჯილდო კი ამერიკელმა დაისაკუთრა, რაც ჩვენში დარჩეს და, ასევე არაა სენსაცია.

ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა სერენა ყველას ცალი მკლავით ამარცხებდა. თავად შავდამ ჩააბარა წარსულს, როდესაც მისი გარეგნობისა და გემოვნებისთვის სრულიად შეუფერებელ საქმეს მოჰკიდა ხელი და მოდელიორობა დაიწყო. ამით მან გაუსაჩივრებელი პირველმეჩოგნის სტატუსი დაკარგა და ჭკუაზე რომ მოეგო და დაბრუნება მოიწადინა, ეს არც ისე იოლი გამოდგა — მაინც საკმარისზე მეტს აგებს და მხოლოდ მეორე ჩოგანი გახლდათ. ახლა მას გაცილებით მეტი ჯაფა ადგება ვიდრე მოდაში გადავარდნამდე ადგა.

მაგრამ როცა ასეთ ძალმოსილ ქალბატონს რაიმეს მიმართ ასე ძლიერი სურვილი ამოძრავებს, განა ვიმნეს ძალუძს, წინ აღუდგეს? როცა უმცროსი უილიამსი მთელი გულით და გულმკერდით აკეთებს საქმეს, მისი მძლეველი ქალებში ნამდვილად არავინაა. რა იყო ეს ფინალი? 26 წლის ამერიკელის ძალათა სრული დემონსტრირება — დინარას წინააღმდეგობა მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და ყველაფერი ძალიან მალე მოთავდა. პირველმა სეტმა სულ რაღაც 22 წუთი გასტანა და მეორეც რომ დასრულდა, საფინა ალბათ გახარებულიც იყო, ვეება შავდას ხელში მისი ტანჯვა რომ ასე შემოკლდა.

„მიყვარს აქ თამაში და მიყვარს ეს თასი" — ამბობდა ჯილდოს ვეება გულმკერდში ჩამკვრელი უილიამსი. მისთვის ეს სლემტურული მეათეა და ამ გამარჯვებამ ის რეიტინგსიის პირველ საფეხურზეც დააბრუნა.

**ირაკლი ფირაშვილი**



ინდუსმა მაჰეშ ბჰუპატმა ორ ფინალი ითამაშა

### კაცთა წყვილები. ფინალი

ბობ ბრაიანი, მარკ ბრაიანი (ორივე აშშ) — მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი), მარკ ნოულსი (ბაჰამა) 2:6 7:5 6:0

### ქალთა წყვილები. ფინალი

სერენა უილიამსი, ვინუს უილიამსი (ორივე აშშ) — დანიელ ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), აი სუგიამა (იაპონია) 6:3 6:3

### შერეული წყვილები. ფინალი

სანია მირზა, მაჰეშ ბჰუპატი (ორივე ინდოეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი), ენდი რამი (ისრაელი) 6:3 6:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა ბადე

## ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი. 19 იანვარი-1 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო ფონდი 15 700 000 $

# შიშს ცრემლიანი თვალები აქვს

## ეჰ, ვეღარასდროს იქნება ფედერერი პირველი

### მეოთხედფინალი

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — ჟილ სიმონი (6, საფრანგეთი) 6:2 7:5 7:5

ფერნანდო ვერდასკო (14, ესპანეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (5, საფრანგეთი) 7:6 (7:2) 3:6 6:3 6:2

ენდი როდიკი (7, აშშ) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:7 (3:7) 6:4 6:2 6:1

როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (8, არგენტინა) 6:3 6:0 6:0

### ნახევარფინალი

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (14, ესპანეთი) 6:7 (4:7) 6:4 7:6 (7:2) 6:7 (1:7) 6:4

როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ენდი როდიკი (7, აშშ) 6:2 7:5 7:5

### ფინალი

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) 7:5 3:6 7:6 (7:3) 3:6 6:2



დაივიწყეთ ნადალის და ვერდასკოს ხუთსაათიანი ნახევარფინალი, დაივიწყეთ შარშანდელ ჩემპიონ ჯოკოვიჩის დასიცხვა და მეოთხედფინალში გავარდნა. დაივიწყეთ ყველაფერი, რაც მელბურნში ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოხდა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ფინალს. ნადალის და ფედერერის მორიგი ჰატჩი-კლასიკა ჩოგბურთის ქრესტომათიაში შევა. მთელი ტურნირი ამ ერთ თამაშად ღირდა და ეს ერთი თამაშია მთელი ტურნირი.

ვინმეს დარჩა კითხვები ამ წყვილთან დაკავშირებით? ვინმეს შერჩა ფედერერისთვის ყველა დროის უძლიერესი ჩოგბურთელის წოდების სურვილი? როგორაა ყველა დროის საუკეთესო, რომელსაც თავის დროშიც კი ვერაა საუკეთესო? კიდევ განა რამდენჯერ უნდა მოუგოს ნადალმა, რომ ფედერერის სახელს ეს სტატუსი ერთხელ და საბოლოოდ მოაშალონ? დატოვონ, ვთქვათ დიად სამეულში, ხუთეულში, შვიდეულში, ათეულში... ვისაც როგორ მოესურვება, მაგრამ პირველი რომ აღარაა, ეს შარშანწინდელი თეორია ნადალმა შარშან აქსიომად აქცია და წლეულს კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

ეს მარცხება ზედიზედ მეხუთე იყო. ჯერ „როლან გაროსი“, შემდეგ ფედერერის საყვარელი „უიმბლდონიც“ კი, ახლა კი „ავსტრალიან ოუფენი“... სადაც კი ხვდება ყველგან უგებს რაფა როჯერს. აქ არაფერ შუაშია მოტივაციის დაკარგვა, ამდენი წელი პირველკაცად ყოფნის მობეზრება, დაბერება, გაცვეთა... ფედერერი უბრალოდ ვერაფერს უხერხებს შიშს, რომელიც ამ ბიჭთან პირველი წაგების შემდეგ ჩაუსახლდა გულში. აგებს და აგებს.

შესაძლოა ფედერერი ყველაზე ტექნიკური და უნივერსალური ჩოგბურთელია, შესაძლოა ყველაზე მდიდარი არსენალი აქვს და ნებისმიერი ურთულესი დარტყმის უიოლესად და ამასთან ლაზათიანად შესრულება შეუძლია, მაგრამ ის ვერ გახდება თავის სახეობაში მეფე. მას მოუგია დიდი სლემის 13 ტურნირი და პიტ სამპრასის მიღწევამდე ერთადერთი უკლია. ჯერ 27 წლისაა და იქნებ კიდეც დაამხოს ეს რეკორდი. მაგრამ ვერ გახდება ის, რაც კალათბურთში ჯორდანი იყო, ფეხბურთში პელე და ჰოკეიში გრეცკი. მით უმეტეს არასდროს არ იქნება ერთი და გაუსაჩივრებელი, რადგან მის კარიერას საუკუნო ჩრდილად გაჰყვება რაფაელ ნადალთან მარცხები.

ფედერერს ქომაგობდნენ ტელეკომენტატორებიც. ადვილად გასაგებია — „მხიარული როჯერის“ ლამაზი, პრაქტიკულად იდეალური ჩოგბურთი ყველას აღაფრთოვანებს — მაგრამ მათაც კი წამოსცდათ სიტყვა „შიში“. ფედერერს აშკარად ეშინოდა! ის აჩვენებდა საუკეთესო ჩოგბურთს, თამაშობდა ისე, როგორც არასდროს არავის არ უთამაშია, აგდებდა ურთულეს ბურთებს, მაგრამ... მაინც აგებდა.

ვერავინ იტყვის, რომ რაფა ნადალმა მხოლოდ სირბილში აჯობა და დაღალა. პირიქით: ის უფრო დაქანცული იყო. ვერდასკოსთან ნახევარფინალისთანა მატჩები ნადალისთანა დაუღლელებსაც ღლის. ფედერერმა კი ამ დროს მთელი ტურნირი მინიმალური ფიზიკური დანაკარგებით გაიარა, ყველა 3:0-ებით გაყარა. კი ბატონო, ნადალმა თითქმის იმდენივე „მკვდარი“ ბურთი აიღო და უკან დაუბრუნა, რამდენსაც ჩვეულებრივ იღებს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ის მტაცებელია და მკვლელის ინსტინქტით გამსჭვალული მოქმედებს, ფედერერი კი ყველაფერია მკვლელის გარდა.

შვეიცარიელს შეეძლო პირველივე სეტში მოეკლა ესპანელი, იქ მან ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ მაინც „მოახერხა“ 5:7 წაგება. მეორეში ძლია შიშს და თავისი თამაში დაიჭირა, როგორც ჩვევია, ქირურგიული სიზუსტით უტევდა და პირველივე მოწოდების წაგება ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით გამოასწორა. აი, აქაც გამოჩნდა, რომ ის ნადალის ჩოგბურთზე ბევრად მაღლა იდგა და მისთვის შეუძლებელი არ იყო მეტოქის სირბილის „გადალახვა“. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სათამაშო უპირატესობა ვერაფრით გარდასახა ფსიქოლოგიურ უპირატესობად — ვერ მოკლა დაჭრილი მეტოქე.

რა იყო მესამე სეტი? ნადალის თავის გადარჩენის მცდელობა. ის კედელთან იყო მიყენებული გაუტეხელი, მაგრამ მაინც დაღლილი და გამოფიტული. სამჯერ იდგა ფედერერი ბრეიკთან, სამჯერ უგებდა მის მოწოდებას, მერე რა დამაჯერებლად — 30:0, 40:0, 40:15. ყველა ელოდა, აი, ახლა შეჭამსო... რისი შემჭმელი იყო? სულში ჩასახლებული წრუწუნას ბასრი ჩოგნობა და ვეფხვის იერი რას უშველიდა?

სამჯერვე ჩაუშალა ნადალმა ბრეიკის გაკეთების მცდელობა, 6:6 ანგარიშით მიატანა ტაი-ბრეიკს და იქ საბოლოოდ გადაირჩინა თავი.

ფედერერმა მეოთხე სეტი კი მოიგო და საერთო ანგარიში 2:2 გააყაიმა, მაგრამ წაგებული იყო ეს თამაში. მეხუთე სეტში ფედერერისგან ბასრი ჩოგნობაც აღარ დარჩა. ამ ეპოქალურ შეხლაში, მგონი, საერთოდ არაფერს წყვეტდა ოსტატობა. დიდი ხანია, ველარ შველის ფედერერს ოსტატობა. დამთავრდა მისი ჩოგბურთი? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ პირველობა კი ნამდვილად დამთავრდა.

და ატირდა „მხიარული როჯერი“ დაჯილდოებაზე. ოჰ, რა საბრძოლო იყო!.. ასე გულამოსკვნით მარტინა ჰინგისსაც კი არ უტირია, დებ უილიამსებთან საკუთარ უსუსურობას რომ მიხვდა. იქნებ, იმიტომაც ვერ უგებს ამ ურჯულ ესპანელს, ასე ტირილი რომ შეუძლია?

რაფაც ადამიანია, განა ცხოველია. ძლეული მეტოქის შემხედვარეს მასაც ცრემლი მოადგა თვალზე. საზეიმო სიტყვაში პირველ რიგში ფედერერს მოუბოდიშა — მაპატიე, მოგიგეო — და მას ამ ეპოქის საუკეთესო ჩოგბურთელი უწოდა.

ოჰ, ეს დამამშვიდებელი ტიტულები, სიტყვები, პრიზები...

ფედერერს აღარასოდეს დაუძახებენ უდიადეს ჩოგბურთელს. არადა, რა ჩოგბურთს თამაშობს?!

**ირაკლი ფირაშვილი**









# საქართველოს თასი



# საქართველო ენერჯია

ფინალი

27 იანვარი. სპორტის სასახლე

**ენერჯი 80:71 ავიამშენი**

16:15 23:13 20:15 21:28

**ენერჯი-ინვესტი:** გამყრელიძე (14 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ტულუში (17), ლეჟავა (7), ბაბიაშვილი (13), უგრეხელიძე (5); ჭოჭუა (12), ტუჯანი (10), დიდია (2)

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (5), ი. ბერიშვილი (8), ბოისა (6), ნაცვლიშვილი (24), მათიაშვილი (9); ნიკოლაძე (12), მინაშვილი (4), პირველაშვილი (3), შერმადინი, კვიმსაძე

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი*

*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**რუსთაველებს** ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ტიტულების მოგება მხოლოდ დავით უსტიაშვილის ხელში დაიწყეს — ჩემპიონობა, სუპერთასი, ქორქია-საკანდელიძის მემორიალი და ბოლოს თასი. „ენერჯი ინვესტმა" წრე გასულ სამშაბათს სპორტის სასახლეში თასის მოგებით შეკრა.

სადღეისოდ „ენერჯი ინვესტი" ყველა „შინაური" ტურნირის ფავორიტია `და ჯერ მხოლოდ იგებს — მარცხის სიმწარე არ გაუსინჯავს არც ჩემპიონატის 8 თამაშში, არც რუსთავში გამართულ მემორიალზე და არც რუსთავშივე დაწყებულ და სპორტის სასახლეში დამთავრებულ თასზე. უსტიაშვილის გუნდს რეალურად მხოლოდ ორი მეტოქე ჰყავს — ლევან მოსეშვილის „ავიამშენი" და ნუგზარ კანდელაკის „ნტდ-თბილისი", მაგრამ მათი მეტოქეობა ჯერ მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს...

„ავიამშენმა" ფინანსების სიმცირის მიზეზით გამოტოვა ქორქია-საკანდელიძის მემორიალი და თასამდე, ასე ვთქვათ, ცოტა დაისვენა. აქ ნახევარფინალში 73:71 დაამარცხა ნტდ და ფინალში „ენერჯის" ჰეგემონიის დამხობა სცადა, მაგრამ... რუსთაველთა უპირატესობა კვლავაც თვალსაჩინო გახლდათ. ნტდ-სგან განსხვავებით, „ავიას" კარგად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ „ენერჯისას" რომ შევადაროთ, მაინც არასაკმარისად კარგი, ასე რომ, მოსეშვილი ურთულესი ამოცანის წინაშეა — რაღაც უნდა მოუხერხოს ძლიერ მეტოქეს, არა და, ჩემპიონატსაც წააგებს.

„ენერჯის" რიტმს და მამოძრავებელ ძალას უკანახაზელთა დუეტი ქმნის — ლაშა გამყრელიძე და კოტე ტულუში. წინა ჩემპიონატში ტულუში „ავიამშენს" ლიდერობდა და ძალები ასე თუ ისე გათანაბრებული იყო. ფინალურ სერიაშიც, ყოველ შემთხვევაში, დასაწყისში მაინც, დაძაბული ბრძოლა იყო. მაგრამ წლეულს ეს დუეტი ერთმანეთის მხარდამხარ თამაშობს და თითქმის არ გრძნობს კონკურენციას.

როგორ უნდა მოეგო „ავიამშენს" „ენერჯისთვის"? მის გამთამაშებლებს — ტყუპ ბერიშვილებს შორიდან უნდა დაებომბათ რუსთაველთა კალათი და ნიკოლაძე-კვიმსაძე-ბოისას დახმარებით დაეთრგუნათ გამყრელიძე-ტულუშის დუეტი, მაგრამ პირიქით მოხდა: რუსთაველმა დაცვამ ჩაკეტა მათი პერიმეტრი და ბერიშვილებმა ჯამში 11 ნასროლი სამქულიანიდან ერთი ჩააგდეს.

ვერც სხვები ყოჩაღობდნენ. რუსთველებმა დაცვას შეტევაში ჩაუყარეს საფუძველი და „ავიას" ზორბა ცენტრ რიჩარდ მათიაშვილს პირველივე მეოთხედში სამი პერსონალური აჰკიდეს. რიჩო იძულებით აღმოჩნდა სკამზე და თამაშის ბოლომდე ვერ გაიხსნა — ეპიზოდურად თუ ახერხებდა მეურვეთაგან თავის დაღწევას — ბოლო მეოთხედში კი მეხუთე პერსონალურით დაასრულა ფინალი.

„ავიამშენში" ქულების მოპოვებას ყველაზე უკეთ ისევ ვეტერანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ახერხებდა. ნაკრების ექსკაპიტანი 32 წლის ასაკში ისეთი მოძრავი და ათლეტური ვეღარაა, როგორც ათი წლის წინ იყო, ბევრმა ტრავმამაც დაამძიმა, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე აიძულებს მეტოქეებს, ანგარიში გაუწიონ და აგერ, რუსთაველ მეფარეებს 24 ქულაც ჩაუგდო.

მაგრამ ფინალის ბედი ვერც ვატომ გადაწყვიტა. ჩაკეტილი, მაგრამ თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ რუსთაველებმა ერთბაშად გაიწიეს — ტულუშმა ორი სამიანი ჩააგდო, შეცვლაზე შესულმა ჟოლივეტ ტუჯანიმ ზედიზედ ორი ორიანი გაახერხა და „ენერჯი" 12 ქულით მოსწყდა შეტევაში გვარიანად შეზღუდულ მეტოქეს.

პირველ 20 წუთში 28 ქულის გამკეთებელმა „ავიამ" მეორეში შეტევა ოდნავ უკეთ გამართა, მაგრამ საერთო სურათი ვერც იქ გადაასხვაფერა. „ენერჯი" მეთოდურად ზრდიდა სხვაობას და მესამე მეოთხედში 17 ქულით დაწინაურდა, რაც ასეთ დაცვით თამაშში პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა.

„ავიამ" საპატიო სხვაობით წაგებაც მოახერხა — ბოლო მეოთხედის ბოლოსწინა წუთზე 7 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა და თითქოს თამაშიც დაძაბა, მაგრამ გადამწყვეტი ნახტომი ვერ გამოუვიდა და თასი მეტოქეს გადაულოცა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა რუსთაველთა კაპიტანი კოტე ტულუში, რომელმაც გამყრელიძესთან ერთად უნარიანად უხელმძღვანელა „ენერჯის" შეტევას.

**ირაკლი ფირცხალავა**

### საქართველოს თასის ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 2003 | ბასკო 85:77 აზოტი |
| 2004 | დინამო 75:72 სტუ |
| 2005 | სტუ 90:84 ავიამშენი |
| 2006 | თსუ 81:79 ავიამშენი |
| 2007 | ავიამშენი 83:79 აზოტი |
| 2008 | ავიამშენი 110:90 თსუ |

# ახალი სუპერვებგვერდი

**გაიხსნა** საკალათბურთო სუპერლიგის ახალი ვებგვერდი www.superleague.ge. საგანგებოდ ამისთვის შეიქმნა პროგრამა, რომელიც დაიანგარიშებს ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელს და ეს ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

სტატისტიკის გარდა www.superleague.ge-ზე განთავსდება თამაშების უახლესი ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სრული კალენდარი, ცხრილი, ანონსები და საინტერესო თემების ფორუმი. მოეწყობა სხვადასხვა გამოკითხვები, გამოქვეყნდება ინტერვიუები...

ცალკე განყოფილება დაეთმობა ასაკობრივ ჩემპიონატებსაც.

# სანიკიძე და ცინცაძე კარგად უკრავენ

**ზაზა ფაჩულია** ამერიკელი ალ ჰორფორდის მიერ ნაბოძებ მშვენიერ შანსს ვერ იყენებს. ჯორჯიელთა მთავარი ცენტრი ტრავმირებულია და ქართველიც ძირითადში საკმაოდ მსუყე დროით თამაშობს, მაგრამ...

„ატლანტამ" ბოლო ხუთი მატჩიდან მიჯრით ოთხი დათმო და ხასიათი გაიფუჭა. „სანზთან" 99:104 წაგებულ თამაშში ჩვენებური 17 წუთში 6 ქულას, 3 მოხსნას და 1 პასს გამორჩა.

„მაიამისთან" ზაზას უფრო მეტი დრო დაუთმეს, მაგრამ უარესი შედეგი აჩვენა — 21 წუთში 1 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება. ჯორჯიელებმა დევკაც შაკილ ონილის გუნდთან 79:95 დათმეს.

„ნიუ იორკთან" 104:112 წაგებულ თამაშში ფაჩულიას მონაგარი 28 წუთში 8 ქულა და 10 მოხსნა იყო. ჯორჯიელებმა ნავსი „ნიუ ჯერსისთან" გატეხეს 105:88 მოიგეს. ზაზამ ამჯერად 27 წუთი ითამაშა და 7 ქულას, 3 მოხსნას და 1 პასს მოუყარა თავი.

შედარებით უკეთესად ქართველმა „მილუოკისთან" ითამაშა: 20 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 პასი, თუმცა მისიანები წაგებას მაინც ვერ აცილა — 107:110.

ევროჩელენჯის „ტოპ-16"-ში გამარჯვება დაგემოვნა მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა". უკრაინელებმა სტუმრად გერმანული „ოლდენბურგი" 86:73 დაჩაგრეს. მარკოიშვილმა 29 წუთში, 11 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა გააკეთა.

ვერ მოიგო ტაირონ ელისის „კახასოლმა". ესპანელები კვიპროსში „აპოელთან" 56:64 დამარცხდნენ. ელისმა 31 წუთი ითამაშა და 9 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი გაშალა.

ესტონეთში ყოჩაღობენ გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე. „ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგაზე სტუმრად „ვენტსპილს" 83:75 მოუგო. „ბუმ" 37 წუთში 22 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა გააკეთა. სანიკიძემ კი 31 წუთში 13 ქულა, 17 მოხსნა და 4 პასი დააგროვა.

მარკოიშვილის „ბკ კიევს" ევროთასისგან განსხვავებით, შინაურ ჩემპიონატში დიდი ბრძოლა გადახდა. კიეველებმა „პულსართან" გამარჯვებას მხოლოდ ოვერტაიმში მიაღწიეს. ძირითადი დრო 79:79 დამთავრდა. გადამწყვეტ პერიოდში კი მანუჩარის გუნდმა 92:84 იმარჯვა. ქართველმა 23 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. მისი გუნდი 16 გამარჯვებით ცხრილის თავშია მოქცეული.

# ფიბამ კენჭი ყარა

**გერმანულ** ფრეისინგში გაიმართა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების კენჭისყრა.

საქართველოს სამივე ასაკობრივი ნაკრები — ახალგაზრდული (20-წლამდე), ჭაბუკთა (18-წლამდე) და კადეტთა (16-წლამდე) — B დივიზიონშია.

კადეტები 6-16 აგვისტოს დანიას, ფინეთს, ირლანდიას და ინგლისს შეხვდებიან.

ჭაბუკები 23 ივლის-2 აგვისტოს რუმინეთს, ჩერნოგორიას, შოტლანდიას და ჰოლანდიას გაეჯიბრებიან.

ახალგაზრდული ნაკრები კი 16-26 ივლისს სლოვაკეთთან, პორტუგალიასთან, ლუქსემბურგთან და შვედეთთან მოსინჯავს ძალას.

ჭიდაობა

# სარეზერვო ანკარა

**7-8 თებერვალს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კანდიდატები ანკარას ტურნირში იჭიდავებენ.

დიდი შანსია, ამ ტურნირში თავგამოჩენილები ზაზა თურმანიძემ ევროპის ჩემპიონატზეც წაიყვანოს.

აი, ანკარული შემადგენლობაც:

55 კგ: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
გიორგი ედიშერაშვილი

60 კგ: გიორგი ბალიაშვილი
მალხაზ ზარქუა

66 კგ: კობა კაკალაძე

74 კგ: გოჩა ლომთათიძე

84 კგ: ბექა ჭელიძე
ნიკო გაგნიძე
ირაკლი მარსაგიშვილი

96 კგ: ლევან სეთურიძე

120 კგ: გიორგი ნიკურაძე
ლაზარე მარსაგაშვილი

ჩოგბურთი

# ჩიხლაძე ფინალს დააკლდა

**ლადო ჩიხლაძემ** ავსტრიულ ზალცბურგში ტურნირზე სამი მატჩი მოიგო და ნახევარფინალში დამარცხდა.

ლადომ ჩეხი სოდეკი, სლოვენიელი ტკალეცი და ირლანდიელი ობრაიენი ჩამოიშორა, ნახევარფინალში კი მასპინძელ რეისიგთან 3:6 4:6 წააგო.

ხელბურთი

# რუსია კრიზისს გაექცა

**ვლადიმერ რუსია** ერთი თვე ლიბანურ „ბეირუთში" ითამაშებს. ბუქარესტის „დინამოს" ფინანსური პრობლემები შეექმნა და ქართველ ხელბურთელს ხელფასს ვეღარ უხდიდა...

„ბეირუთი" აზიის ჩემპიონთა ლიგაში გამოვა და ჩვენებურის იმედი აქვს.

ლიბანელებმა ქართველ ხელბურთელს სარფიანი წინადადებით მიმართეს და თანამშრომლობაც შედგა, თუმცა ევროპაში სეზონის დამთავრების შემდეგ რუსია ახალი ვარიანტების ძიებას შეუდგება და ალბათ არ გაუჭირდება ახალი გუნდის პოვნა.

**ლექსო მაისურაძე**






ჟერმენ დეფო „პორტსმუთიდან" „ტოტენჰემში" დაბრუნდა, ემილ ჰესკი კი ასტონვილელი გახდა

# ვინ ვისგან და ვისთან პრემიერლიგაში

იანვარი გავიდა, რაც საფეხბურთო ენაზე ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვასაც ნიშნავს. წინა კვირაში გერმანული ბუნდესლიგის ზამთრის ტრანსფერები გაგაცანით, აქ კი პრემიერლიგის კლუბების ნაყიდ-გაყიდულთა სიას წარმოგიდგენთ.

ამავე „სარბიელში" იტალიური და ესპანური ტრანსფერებიც შეგიძლიათ ნახოთ...

**არსენალი** — წავიდნენ: გევინ ჰოიტი (უოტფორდი), ანრი ლანსბერი (სკანთორპი);

**ასტონ ვილა** — მოვიდნენ: არსენიო ჰალფუიდი (მცველი, ექსელსიორი, ჰოლანდია), ემილ ჰესკი (ფორვარდი, უიგანი);

წავიდა: უეინ რუტლეჯი (ქპრ);

**ბლექბერნი** — მოვიდნენ: გაელ ჟივე (მცველი, მარსელი, საფრანგეთი), ნიკ ბლეკმენი (ფორვარდი, მაკლსფილდი), ელ ჰაჯი დიუფი (ნახევარმცველი, სანდერლენდი);

წავიდნენ: — სერჯიო პეტერი (სპარტა, ჩეხეთი), ფრენკ ფილდინგი (როჩდეილი), მეტ დერბიშირი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);

**ბოლტონი** — მოვიდნენ: სებასტიან პუიგრენიე (მცველი, ზენიტი, რუსეთი), არიზა მაკუკულა (ფორვარდი, ბენფიკა, პორტუგალია), მარკ დევისი (ნახევარმცველი, ვულვერჰემპტონი);

წავიდა: კევინ ნოლანი (ნიუკასლი);

**ევერტონი** — წავიდა: ლი მოლინო (საუთჰემპტონი);

**ვესტ ბრომვიჩი** — მოვიდნენ: ჯეი სიმპსონი (ფორვარდი, არსენალი), ჯარედ ჰოჯკისი (მცველი, აბერდინი, შოტლანდია), მარკ-ანტუან ფორჩუნი (ფორვარდი, ნანსი, საფრანგეთი), კრეიგ ბიტი (ფორვარდი, კრისტალ პალასი);

წავიდნენ: შერილ მაკდონალდი (რუზელარე, ბელგია), ბარტოშ სლიუშარსკი (კრაკოვია, პოლონეთი);

**ვესტ ჰემი** — მოვიდნენ: ჯეიმს ტომკინსი (მცველი, დერბი), სავიო ნსერეკო (ფორვარდი, ბრეშა, იტალია), რადოსლავ კოვაჩი (მცველი, სპარტაკი, რუსეთი);

წავიდნენ: მეტიუ ეთერინგტონი (სტოკი), ჯო უიდოუსონი (გრიმსბი), ლი ბოიერი (ბირმინგემი), კაილ რიდი, ნაიჯელ ქუოში (ვულვერჰემპტონი), კრეიგ ბელამი (მანჩესტერ სიტი), ჰაიდენ მულინსი (პორტსმუთი), ლუიშ ბოა მორტე (ჰალი), ჟულიენ ფობერი (რეალი, ესპანეთი);

**ლივერპული** —წავიდნენ: რობი ტრელფოლი (სტოკპორტი), ჯერმენ პენანტი (პორტსმუთი), კრეიგ ლინფილდი (აკრინგტონი), კრისტიან ნემეტი (ბლექპული);

**მანჩესტერ იუნაიტედი** — მოვიდნენ: ზორან ტოშიჩი (ნახევარმცველი, პარტიზანი, სერბეთი), რიჩი დე ლაეტი (მცველი, სტოკი);

წავიდნენ: დევიდ გრეი (პლიმუთი), სემ ჰიუსონი (ჰერეფორდი), ადემ ლიაიჩი (პარტიზანი), მანუშო (ჰალი);

**მანჩესტერ სიტი** — მოვიდნენ: უეინ ბრიჯი (მცველი, ჩელსი), ნაიჯელ დე იონგი (ნახევარმცველი, ჰამბურგი, გერმანია), კრეიგ ბელამი (ფორვარდი, ვესტ ჰემი);

წავიდნენ: ნერი კასტილიო (შახტარი, უკრაინა), ჯავან ვიდალი (აბერდინი, შოტლანდია), პოლ მარშალი (ბლექპული);

**მიდლსბრო** —მოვიდა: მარლონ კინგი (ფორვარდი, უიგანი);

წავიდნენ: სებ ჰაინსი (დერბი), ჯონათან გრაუნდსი (ნორვიჩი), გრემ ოუენსი (ბლექპული), აჰმედ მიდო (უიგანი), ტომ კრედოკი (ლუთონი);

**ნიუკასლი** — მოვიდნენ: პეტერ ლოვენკრანდსი (ფორვარდი, შალკე, გერმანია), კევინ ნოლანი (ნახევარმცველი, ბოლტონი), რაიან ტეილორი (მცველი, უიგანი);

წავიდა: ჩარლზ ნზოგბია (უიგანი);

**პორტსმუთი** — მოვიდნენ: ნადირ ბელჰაჯი (მცველი, ლანსი, საფრანგეთი), ჰაიდენ მულინსი (ნახევარმცველი, ვესტ ჰემი), ვიქტორ გომეში „პელე" (ნახევარმცველი, პორტუ), ჯერმენ პენანტი (ნახევარმცველი, ლივერპული);

წავიდნენ: ლასანა დიარა (რეალი, ესპანეთი), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი);

**სანდერლენდი** — მოვიდნენ: პოლ მაკშეინი (მცველი, ჰალი);

წავიდნენ: როი ოდონოვანი (ბლექპული), ლაიამ მილერი (ქპრ), პასკალ ჩიმბონდა (ტოტენჰემი), ელ ჰაჯი დიუფი (ბლექბერნი);

**სტოკი** — მოვიდნენ: მეტიუ ეთერინგტონი (ნახევარმცველი, ვესტ ჰემი), ჯეიმს ბიტი (ფორვარდი, შეფილდ იუნაიტედი);

წავიდნენ: რიჩი დე ლაეტი (მანჩესტერი), კარლ დიკინსონი (ლიდსი), ტომ სოარესი (ჩარლტონი);

**ტოტენჰემი** — მოვიდნენ: ჯერმენ დეფო (ფორვარდი, პორტსმუთი), კარლო კუდიჩინი (მეკარე, ჩელსი), უილსონ პალასიოსი (ნახევარმცველი, უიგანი), პასკალ ჩიმბონდა (მცველი, სანდერლენდი);

წავიდნენ: პოლ სტალტერი, (მიონხენგლადბახი, გერმანია) კევინ პრინს ბოატენგი (დორტმუნდი, გერმანია), ჩარლი დენიელსი (ლეიტონი), სესარ სანჩესი (ვალენსია, ესპანეთი), ტროი არჩიბალდი (ექსეტერი);

**უიგანი** — მოვიდნენ: მაირონ ფიგეროა (მცველი, დეპორტივო, ჰონდურასი), ბენ უოტსონი (ნახევარმცველი, კრისტალ პალასი), უგო როდალეგა მარტინესი (ფორვარდი, ნეკაქსა, მექსიკა), აჰმედ მიდო (ფორვარდი, მიდლსბრო), ჩარლზ ნზოგბია (ნახევარმცველი, ნიუკასლი);

წავიდნენ: კევინ კილბეინი (ჰალი), ლუკ ანსუორთი (ლეიტონი), ემილ ჰესკი (ასტონ ვილა), უილსონ პალასიოსი (ტოტენჰემი), მარლონ კინგი (მიდლსბრო), რაიან ტეილორი (ნიუკასლი);

**ფულემი** — მოვიდნენ: ბენ რაიტი (ფორვარდი, ჰემპტონი) ჟილ ბარნსი (ნახევარმცველი, დერბი);

წავიდნენ: ტომას მონკური (უიკომბი), ჰამერ ბუაზა (ბირმინგემი), ჯიმი ბალარდი (ჰალი), ლეონ ანდრეასენი (ჰანოვერი);

**ჩელსი** — მოვიდნენ: მაიკლ მანსიენი (მცველი, ვულვერჰემპტონი), მინეირო (ნახევარმცველი, ჰერტა), გოქან ტორე (ნახევარმცველი, ლევერკუზენი, გერმანია);

წავიდნენ: უეინ ბრიჯი (მანჩესტერ სიტი), ბენ საარი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), ჯეკ კორკი (უოტფორდი), სკოტ სინკლერი (ბირმინგემი), კარლო კუდიჩინი (ტოტენჰემი);

**ჰალი** — მოვიდნენ: კამელ ზიატე (მცველი, იანგ ბოიზი, შვეიცარია), მანუშო (ფორვარდი, მანჩესტერი), კევინ კილბეინი (ნახევარნცველი, უიგანი), ჯიმი ბალარდი (ნახევარმცველი, ფულემი), ლუიშ ბოა მორტე (ფორვარდი, ვესტ ჰემი);

წავიდნენ: დინ უინდასი (ოლდემი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი), სტილიანოს იანაკოპულოსი (ლარისა, საბერძნეთი), უეინ ბრაუნი (ლესტერი).

# დაგჭრი!



**სანდერლენდელი** ელ ჰაჯი დიუფი თანაგუნდელ ენტონი ფერდინანდს დაჭრით დაემუქრა.

„ფულემთან" საშინაო მატჩის (1:0) შემდეგ, რომელიც 27 იანვარს გაიმართა, ფეხბურთელებმა იჩხუბეს და გაწევ-გამოწევაში სენეგალელმა დანა ახსენა.

დანა არ უხმარია, მაგრამ ჩხუბის მნახველები კი მაგრად დაუშინებია.

გარჩევა მეორე დღეს ვარჯიშზე გაგრძელდა და მესამე დღეს შეწყდა, რადგან დიუფი „ბლექბერნს" მიჰყიდეს.

შავანმა მოწმე ფეხბურთელმა „სანს" უთხრა, რომ ფერდინანდი და დიუფი თამაშის დროს წაკამათდნენ, რაც გასახდელში გაგრძელდა.

თავიდან არავინ ჩარეულა — თითო სიტყვას გაცვლიან და გაჩერდებიანო — მაგრამ საქმე ისე წასულა, რომ ბიჭები ერთმანეთს ძლივს დააშორეს.

ელ ჰაჯი დიუფი შარიანი კაცია და ადრე, „ლივერპულში" თამაშისას, გლაზგოში „სელტიკის" ფანისკენ გადააფურთხა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მოიხადა.

# დაასრულეს: ლაურსენმა ნაკრები და გრავესენმა ფეხბურთი



ტომას გრავესენი

**„ასტონ ვილას"** დანიელმა მცველმა მარტინ ლაურსენმა სანაკრებო კარიერა დაასრულა, უკლუბოდ დარჩენილი თომას გრავესენი კი ფეხბურთიდან წავიდა.

„ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგან ეროვნულ გუნდში თამაში კიდევ რამდენიმე წელს შემეძლო, მაგრამ მუხლი ამის საშუალებას არ მაძლევს. ამიტომ ვარჩიე ნაკრებიდან წასვლა და ამიერიდან მთელ დროს „ასტონ ვილას" დავუთმობ, რომელიც ხელფასს მიხდის" — თქვა 31 წლის ფეხბურთელმა, ვინაც ნაკრებში 53 მატჩი ითამაშა.

თომას გრავესენი წინა სეზონი „სელტიკში" იყო, მაგრამ ზაფხულიდან უკლუბოდ დარჩა და კარიერის პირველ კლუბში, „ვეილეში" დასრულებას აპირებდა, თუმც ტრანსფერი არ შედგა.

„ფეხბურთში 12 დიდებული წელი გავატარე და რომ შემეძლოს, იგივე გზას ხელახლა სიამოვნებით გავივლიდი" — განაცხადა ნახევარმცველმა, რომელსაც კარიერის განმავლობაში „ჰამბურგში", „ევერტონში", „რეალში" და „სელტიკში" უთამაშია და ეროვნულ გუნდში 66 მატჩი ჩაუტარებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პურ-მარილი ზიდანისგან

**„გრენობლის"** 19 წლის ფეხბურთელს სოფიანე ფეგულის ძალიან აქებენ, ზიდანს ადარებენ და ევროპული გრანდ-კლუბების რიგი დაუდგა.

მსურველთა შორის არიან „იუვენტუსი", „ჩელსი" და „მანჩესტერი", მაგრამ „გრენობლმა" მუშტრები დააშინა — ნიჭიერი ნახევარმცველი 30 მილიონ ევროდ შეაფასა.

ვინ გარისკავს და გადაიხდის ამ თანხას მოზიდანო ფეხბურთელში, რომელსაც საფრანგეთის პირველ ლიგაში ჯერ ნახევარი სეზონი აქვს ნათამაშები?

„სულ მცირე კიდევ ხუთი თვე ჩვენთან იქნება — თქვა კლუბის შეფმა პიერ ვანტიესმა — მაგრამ ზაფხულში ევებ გაუყიდოთ კიდეც, თუ 30 მილიონს შემოგვთავაზებენ. ვინც ამ თანხას გადაიხდის, პურმარილსაც ვუკისრებ".

სოფიანე ფეგულის დებიუტი „გრენობლში" 2007-ის აპრილში, მეორე დივიზიონში „რეიმსთან" შედგა.

სულ კი 46 მატჩში სამი გოლი გაიტანა.



# ტონიმ ბეკერს ქალი წაჰგვარა



**ბაიერნელ** ლუკა ტონის ახალი შეყვარებული ჰყავს: 25 წლის მოდელი სენდი მეიერ-ვოლდენი. „ბილდი" გვარწმუნებს, ისინი უკვე რამდენიმე კვირაა ხვდებიან ერთმანეთსო.

სენდის მოდელობისა რა გითხრათ, არაფრითაა გამორჩეული, სახელი კი ბორის ბეკერის საყვარლობით გაითქვა (ზედა ფოტო). ხოლო სენდის მამა თავის დროზე ბეკერის მენეჯერი იყო.

ლუკა ტონის და მარტა ჩეკეტოს (ქვედა ფოტოზე) სიყვარული კი დასრულდა.

# სიდედრი მყავსო, კიუელმა თქვას!



ჰარი კიუელი მეუღლესთან ერთად

**ძველი** ლივერპულელი ჰარი კიუელი, ცხადია, გახსოვთ. ახლა იგ „გალათასარაიში" თამაშობს და სტამბოლში ცხოვრობს. ხოლო ამ რამდენიმე დღის წინ, როცა ჰარის ცოლი, შერი მერფი სტუმრობდა ნაბოლარა შვილთან, 10 თვის მატილდასთან ერთად, ინგლისში კიუელების სახლს მძარცველები ესტუმრნენ.

სახლში კიუელის სიდედრი ჰიზერი და ფეხბურთელის ორი უფროსი შვილი იმყოფებოდნენ, მძარცველები კი მაჩეტეებით იყვნენ შეიარაღებულები.

რა მოხდა მერე, შერი ყვება: „მძარცველები ღობეზე გადმოძხტარან და კარის შენგრევას ლამობდნენ. კიდევ კარგი, დედაჩემმა ისინი დროულად შენიშნა და ყველა კარის ჩარაზვა მოასწრო. მაძარცველები კი, როცა მიხვდნენ, რომ დედაჩემმა შენიშნა, უფრო გამეტებით შეეცადნენ სახლში შეღწევას."

მერე პოლიცია მოვიდა, მძარცველები გაიქცნენ. პოლიცია ფიქრობს, რომ ეს იგივე ბანდაა, ამას წინათ ემილ ჰესკი რომ გაძარცვა.

ჰარი კიუელის სიდედრი კი 60 წლისაა.

**ქოტე ქექელია**

# ვიქტორიამ მილანს შვილებით შეუტია



**ვიქტორია ადამსმა** ქმარს, დევიდ ბექჰემს ულტიმატუმის მაგვარი რამ წაუყენა — საცხოვრებლად მილანში არ გადმოვალო.

განვმარტოთ: ბექჰემს „მილანთან" კონტრაქტი სამ თვეში ეწურება, მაგრამ ამბობენ, სილვიო ბერლუსკონი ინგლისელ ვარსკვლავს კონტრაქტის გახანგრძლივებას შესთავაზებსო. ეს იმით არის განპირობებული, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა „მილანში" გოლების გატანა დაიწყო. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბექჰემი „ლოს ანჯელეს გალაქსის" საკუთრებაა.

ვიქტორია ადამსის ულტიმატუმს კი საფუძვლად შვილებზე ზრუნვა უდევს. სამი ბიჭის დედა ამბობს, ბრუკლინი, რომეო და კრუზი იტალიურად არ ლაპარაკობენ და მილანში ცხოვრება გაუჭირდებათო. ვიქტორია ამერიკიდან ევროპაში დაბრუნებაზე ყაბულსაა, ოღონდ ლონდონში თუ ვიცხოვრებთო.

ბექჰემი კი ოჯახურ მყუდროებას არის დანატრებული და ასეთი ვარიანტი არ აწყობს.

ვნახოთ...

# ავანთეთ პროჟექტორი და...



**ზაგრების** „დინამოს" მცველის დინო დრპიჩის ცოლმა ნევესმა ფრიად უცნაური რამ აღიარა. კერძოდ, ხორვატიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ციკლში ინგლისს რომ მოუგო, მე და ჩემმა ქმარმა პირდაპირ მოედანზე ვისიყვარულეთო: „დინომ დიდი ხნის ოცნება აისრულა. თამაშის მერე ხალხი რომ დაიშალა, სტადიონის პერსონალს განათების ჩართვა სთხოვა და პირდაპირ გაზონზე დავკავდით სექსით."

ზაგრების სტადიონის ადმინისტრაცია კომენტარისგან თავს იკავებს.

# ფიფას აგენტის ყველაზე დიდი

**ლაურენიუ რეგეკამპფი** „კაიზერსლაუტერნის" რუმინელი ფეხბურთელია, რომელიც ამჟამად ტრავმას იმუშებს და მაინცდამაინც ხშირად ვერ ხვდება მედიის ინტერესის არეში.

აი, მისი ცოლი კი სხვა საქმეა — ანა მარია პროდანი, გარდა იმისა, რომ ფეხბურთელის ცოლია, ლიცენზირებული საფეხბურთო აგენტიც გახლავთ. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ცნობილი უფრო სხვა რამითაა და თუ რით, ამ ფოტოს მიხედვით შეგიძლიათ გამოიცნოთ.

სხვათა შორის, ამასწინათ გამოიკვლიეს, რომ ანა მარიას რუმინელ სელებრითებს შორის ყველაზე დიდი მკერდი აქვს — 107 სმ გარშემოწერილობის.

თავად საფეხბურთო აგენტმა კი თქვა, მშობიარობის მერე გამეზარდა, ადრე ამხელა, აბა, სად მქონდაო.





# ჯერმენ დეფო და უღელი



**ინგლისელმა** ლამაზმანმა შანტელ ჰაუგტონმა „სანს" გაუმხილა, ჯერმენ დეფოზე დაქორწინებას ვაპირებო.

„ტოტენჰემის" ფეხბურთელი და ჰაუგტონი რამდენიმე თვეა, ერთად არიან, მაგრამ ქორწილზე ლაპარაკი აქამდე არ ყოფილა.

ისე, დეფომ თუ იცის, უღელში რომ აყოფინებენ თავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხშირ-ხშირად შემოიარე გენიალურობის სანახავად

— რამდენი წლის ხარ, შვილო?— ჰკითხა ერთხელ „რედინგის“ მწვრთნელის თანაშემწემ მორის ევანსმა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელს რობინ ფრაიდის — ერთ-ორ წელიწადში მოჭკვიანდები და ინგლისის ნაკრებში ითამაშებ. ევანსი ძალიან მშვიდი კაცი იყო. ფეხბურთელობისას 400-ზე მეტ მატჩში ერთი წითელი კი არა, ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია. — თავად რამდენი წლის ხარ, მწვრთნელო? — კითხვით უპასუხა ფრაიდიმ — შენზე ორჯერ უმცროსი ვარ, მაგრამ ორჯერ მეტი ვიცხოვრე...

**რობინ ფრაიდი** — ანეკდოტების, კომიქსების და შავი კომედიების მზა პერსონაჟი, რაღაც სასწაულით, სრულიად გენიალურ, მაგრამ თავქარიან, შარ-ხათაბალა ფეხბურთელად იქცა.

ამიტომაც არის ის ბრიტანული ფეხბურთის „ცუდი ბიჭების“ ჰიტ ალბუმის სათავეში.

როკ-ჯგუფ „ოაზისის“ ყოფილმა ბასისტმა პოლ მაკგიგანმა მასზე წიგნი დაწერა — „უდიადესი ფეხბურთელი, რომელიც არასოდეს გინახავთ“.

რობინ ფრაიდის პრემიერლიგაში არ უთამაშია. მოყვარულთა კლუბებში, სადღაც ქვედა დივიზიონებში დაეხეტებოდა.

ლონდონის ქარხნულ უბანში, ექტონში გაიზარდა და ბავშვობა პოლიციის განყოფილებაში გაატარა.

ერთხელ, პაბში ლუდის ყლურწვას ისე შეჰყვა, რომ „ჰეისი“ — გუნდი, რომელშიც მაშინ თამაშობდა — მის გარეშე, 10 კაცით გავიდა მოედანზე. სამოცდაათიან წლებში სამოყვარულო დონეზე სათადარიგოები გათვალისწინებული არ იყო.

უგალეშილესი ფრაიდი მატჩის დაწყებიდან 10 წუთში სტადიონზე გამოჩნდა და მწვრთნელთან ტკბილსიტყვაობის მერე მინდორზე თავისი ადგილი მოძებნა.

მეტოქის მცველებმა გულიანად იხარხარეს ფეხბურთელის მსგავსი ფიგურის დანახვაზე და ხელი ჩაიქნიეს.

„ჰეისიმ“ თამაში 1:0 მოიგო. გოლი ფრაიდიმ შეაგდო.

1973 წელს „ჰეისი“ ინგლისის თასზე „რედინგს“ შეხვდა და რედინგელთა მწვრთნელს თვალში მოუვიდა ბიჭი, რომელიც ბურთს ალაპარაკებდა. ისეთებს აკეთებდა, რომ...

ფრაიდიმ „რედინგთან“ პროფესიული კონტრაქტი გააფორმა და რამდენიმე ტურის შემდეგ ქომაგთა ჯილა გახდა. ჯილა კი არა და, 30 წლის შემდეგ „რედინგის“ გულშემატკივართა გამოკითხვაში კლუბის ყველა დროის საუკეთესოდ დაასახელეს.

ოთხ რედინგულ სეზონში 55 გაიტანა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გოლები. ჟურნალისტები მთელი ინგლისიდან დაირაზმებოდნენ და საგანგებოდ დადიოდნენ მეოთხე დივიზიონის მატჩებზე რობინ ფრაიდის თამაშის და მორიგი გენიალური გოლის სანახავად.

სამწუხაროდ, მაშინ მეოთხე დივიზიონის მატჩებს ვიდეო თუ ტელეკამერა არ იღებდა, მაგრამ მნახველები ბლომად იყვნენ გოლისა, რომელიც...

კარისკენ ზურგით მდგომმა ფრაიდიმ ბურთი მკერდით მიიღო, ბურთმიწეპებული კარისკენ შებრუნდა, ცაციაზე დაუშვა და ცხრიანში ლეწა...

ტაში აღარ გაჩერდა. ტაშს უკრავდა მთელი სტადიონი, მეტოქე და მსაჯები. მთავარმა არბიტრმა კლაივ ტომასმა თავში ხელები წაიშინა. ის უბრალო მსაჯი არ იყო — მსოფლიოს ორ და ევროპის ერთ ჩემპიონატზე ჰქონდა ნასტვენი და ბევრი ენახა, მაგრამ მსგავსი, არაფერი.




ეს ამბავი 1976 წლის მარტში „ტრანმერთან“ მატჩში მოხდა.

ნამატჩევს ტომასსა და ფრაიდის შორის ასეთი საუბარი ყოფილა:

— მე პელეს, კრუიფის და ჯორჯ ბესტის თამაშები მიმსაჯია. შენ მეოთხე დივიზიონში რას აკეთებ? ასეთი გოლი ჩემს დღეში არ მინახავს.

— ხშირად შემოიარე ჩვენთან. ასეთები ყოველთვის გამაქვს.

ტომასს აღარ შეუვლია რედინგში და არც ის უნახავს, რა საშინლად სვამდა გენიალური გოლის ავტორი.

ფრაიდი ყოველი მატჩის წინ არ ილეშებოდა, მაგრამ თითქმის ყოველი მატჩის წინ სვამდა. ჰამბურგერებითაც ამოიყორავდა კუჭს და სათამაშოდ მიდიოდა.

ამბობენ, რომ ფეხზელს არც არასოდეს დაუძინია, ნარკოტიკებსაც ეთამაშებოდა და ისეთი მჩქეფარე ცხოვრება ჰქონდა, რომ ჩაწჩქერი მასთან შედარებით გაჩერებულია.

ფრაიდის შეფასება შეუძლებელია. ადამიანის ან მოხიბლვა ან შეძრწუნება შეეძლო.

მისთვის წესები არ არსებობდა.

ქურდობდა სუპერმარკეტებში და ჰქონდა ავადმყოფური ჰობი — სასაფლაოდან ძეგლების მოპარვა.

პაბებში მარადიულად ჩხუბობდა და რედინგელი მეპაბეები აღარ უძვებდნენ დასალევად.

ნარკოტიკებსაც ნიჭიერად შოულობდა. გამსაღებელს ქუჩაში კედელთან აკრავდა, თავს პოლიციელად ასაღებდა და მსხვერპლის ჯიბეში ნაპოვნ კონფისკაციას უკეთებდა.

ეს კიდევ რაა იმასთან შედარებით, რაც გონებადაბინდულს უკეთებია. ქუჩაში შიშველსაც ურბენია და ერთხელ, იღლიაში გედამოჩრილი, რომელიც გზად წყლიდან ამოათრია, დედიშობილა მისულა ვარჯიშზე.

„რედინგის“ მწვრთნელმა ჰერლიმ ფრაიდის ვითომ უწამლა — მშვიდ უბანში გადაიყვანა, სადაც უმეტესად პენსიონერები ცხოვრობდნენ.

ფრაიდიმ პენსიონერებიც დააწიოკა. დღისით ქუჩაში აშინებდა, ღამე კი მაშინ მოდურ ჰევი მეტალს აწკრიალებდა და ხალხს ძილს უფრთხობდა.

1977 წელს „რედინგმა“ ამოისუნთქა — რობინ ფრაიდი „კარდიფმა“ იყიდა. ალბათ, არაფერი იცოდა ჩიტირეკია ფეხბურთელზე და თან გაუხარდა, რომ ნიჭიერი ბიჭი 30 ათას გირვანქაზე მეტი არ დაუჯდა.

„კარდიფის“ მწვრთნელს მალე მოუწია პოლიციაში მისვლა და თავდებით ფრაიდის გამოშვება. ფეხბურთელმა უელსის დედაქალაქში რედინგში ნაცადი „ფინტი“ ჩაატარა. ვაგზალზე ვიღაცა აკრა კედელთან, თავი პოლიციელად გაასაღა და ნარკოტიკების კონფისკაცია მოინდომა, მაგრამ ფოკუსი არ გამოუვიდა.

„კარდიფში“ სადებიუტო მატჩის წინა დღეს ქალაქის ლუდხანები საზეიმოდ შემოიარა და იქაურებს თავი გააცნო. სახლში დილის ხუთ საათზე მისულმა კიდევ თორმეტი კათხა ლუდი გამოწრუპა და მიიძინა.

გაიღვიძა, ითამაშა და „ფულემს“ ორი გოლი გაუტანა. „ფულემის“ დაცვაში მაშინ დიადი ბობი მური იდგა.

კათხასა და კათხას შუა რობინ ფრაიდიმ „კარდიფში“ 21 მატჩის თამაში და ექვსი გოლის გატანა მოასწრო. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ კლუბის ფანებს გამოკითხვაში ჯონ ტოშაკის წინ დაეყენებინათ.

„ბრაიტონთან“ მატჩში მის წინააღმდეგ ირლანდიელი მცველი მარკ ლაურენსონი თამაშობდა. ამჟამად ბი-ბი-სის ანალიტიკოსია.

ლაურენსონის ხისტმა თამაშმა თუ მწარე სიტყვამ, ფრაიდი გადარია და მორიგი „პადკატისას“ მეტოქეს სახეში ფეხი ჩააზილა.

რა თქმა უნდა, წითელი ბარათი და, ფრაიდი გასახდელისკენ წავიდა, ოღონდ მეტოქის გასახდელისკენ. იქ ჩაწიხლულის ჩანთა მოძებნა, გახსნა და შიგ მოშარდა.

ნამატჩევს გიჟმაჟმა თქვა, რომ მოსწყინდა ფეხბურთი, ჭკუის ბევრი დამრიგებელი და კარიერა დაასრულა.

ამბობენ, რომ კარდიფიდან ლონდონში დაბრუნებული, მეასფალტედ მუშაობდა, სვამდა, ორჯერ ცოლს გაეყარა და 1990-ის 22 დეკემბერს გულის შეტევით მიიცვალა.

38 წლისა იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გამოტანილი რეალი

**„რეალმა“** სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილი სარჩელი უკანვე გამოიტანა. კლუბს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განაცხადში ლასანა დიარას და კლაას-იან ჰუნტელაარის შეყვანა სურდა, მაგრამ უეფას წესები კრძალავს ისეთი ფეხბურთელების დამატებას, რომლებსაც მანამდე სხვა გუნდში ევროთასებზე უთამაშიათ. ჰუნტელაარიც და დიარაც ამ კატეგორიაში გადიან.

ერთი თვის წინ უეფასგან უარის მიღების შემდეგ, „რეალმა“ საარბიტრაჟოს მიაკითხა, მაგრამ საქმე არ განიხილეს. მიშელ პლატინი „რეალის“ დროებითი პრეზიდენტ ვისენტე ბოლუდას შეხვდა და სარჩელის გამოტანაზე მოურიგდა. სამაგიეროდ, პლატინი შეპირდა, რომ სამომავლოდ უეფა წესებს დახვეწს.

## ბეენმა იანვარში ივლისი დაინახა

**„ნაიმეგენის“** მწვრთნელი მარიო ბეენი ივლისიდან „ფეიენოორდს“ ჩაიბარებს. ის დაბრუნდება კლუბში, სადაც დაიწყო და დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, მერე კი (2000-2005) ასისტენტად მუშაობდა.

45 წლის ბეენი „ნაიმეგენამდე“ „ექსელსიორს“ თავკაცობდა, რომელიც 2006-ში მეორედან პირველ დივიზიონში გადაიყვანა, ხოლო „ნაიმეგენს“ შარშან უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

„ფეიენოორდის“ მწვრთნელი გერტ იან ვერბეეკი 14 იანვარს გაუშვეს და მისი თანაშემწე გუნდს სეზონის ბოლომდე უთავკაცებს. მარიო ბეენმა „ფეიენოორდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ფულს არიგებენ!

**პრიმერადივიზიონის** დასრულებამდე ოთხი თვეა დარჩენილი, მაგრამ საბუქმეიკერო კანტორა expect.com-ი უკვე გასცემს მოგებას იმ ხალხზე, რომლებმაც ფული აგვისტოში „ბარსელონას“ ჩემპიონობაზე დადეს.

„ჩვენი აზრით, ესპანეთში საჩემპიონო რბოლა დამთავრებულია, „ბარსელონას“ ვერავინ დაეწევა და გადავწყვიტეთ, რომ ფული გავცეთ და კლიენტების ანგარიშებზე მოგება ჩავრიცხოთ — განაცხადა კანტორის პრესმდივანმა დენ ვიკმანმა — მათ ისეთი გუნდი ჰყავთ, რომ შეუძლებელია, გაზაფხულზე უახლოეს მდევართან 12-ქულიანი სხვაობა გაანიავონ. თუ სასწაული მაინც მოხდა და ჩემპიონი ვერ გახდა, ამ შემთხვევაში სხვა კლიენტებიც მოიგებენ და ისინიც კმაყოფილები დარჩებიან“.

expect.com-ს სეზონის დაწყებამდე „რეალის“ ჩემპიონობაზე 1,7 ეწერა, „ბარსელონაზე“ კი —2,35.

ამჟამად „ბარსას“ გაჩემპიონებაზე კოეფიციენტი 1,04-ია მაგრამ ხალხი ფულს მაინც დებს.

დენ ვიკმანმა თქვა, რომ გასაცემი თანხა მილიონ ევროზე მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუნგამ ლიპის ამაური დაასწრო




**„იუვენტუსის“** ფორვარდი ამაური ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა დუნგამ იტალიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა.

თამაში 10 თებერვალს ლონდონში გაიმართება.

ამაური არჩევანის წინაშე იდგა — იტალია ან ბრაზილია — მაგრამ რაკი იტალიური პასპორტი ჯერაც არ აუღია და არც მარჩელო ლიპიმ უხმო, ალბათ მწვანე-ყვითელ მაისურას მოირგებს.

კარლოს დუნგას ლუიშ ფაბიანო ჰყავდა სიაში, თუმც სევილიელი დაშავდა და ამაურიმ უნდა შეცვალოს.

ფიფას წესით, „იუვენტუსს“ უფლება აქვს, ფეხბურთელი არ გაუშვას ამხანაგურ მატჩზე, რადგან ის თავიდანვე არ იყო ბრაზილიელთა ნუსხაში და სანაკრებოდ გვიან გამოიძახეს.

თუ „იუვენტუსი“ ამ წესს გამოიყენებს, ამაურის კვლავაც ექნება იტალიის ნაკრებში თამაშის შანსი.

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

(რუბრიკის სპონსორია მონღოლეთის ყაენლიგა)

— რატო აღარ დადიხარ ტოტალიზატორში, ძმაო?

— კაი, რა, ყოველდღე აქ არა ვგდივარ? პროგრამასავით კედელზე ვარ გამოკრული, კარს მე ვაღებ და მე ვკეტავ, ტო!

— მერე მოიგე რამე?

— 66 კაცს 45 წუთში 3 გოლი ვერ გავატანინე, ტო! ვინ რას მოგაგებინებს, თუ ჩემი ძმა ხარ! იფსვიჩი-პლიმუთი, პრესტონი-შეფილდი, ქპრ-რედინგის მეორე ტაიმის მეტი გოლები დავწერე, მარა... ნოლ-ნოლები დამიმთავრეს.

სატანებს ვეთამაშები, რა! ექვსმა გუნდმა სამი გოლი ვერ შეაგდო, აზრზე ხარ? რა იფსვიჩპრესტონქუინზპარკობაა, ტო, რა არი... მე ვიყო ორნახევარი და ნაკლები, 66 ზე რო დარგო სტადიონზე, იმათ თუ არ შეაგდონ ერთ ტაიმში სამი.

ამ სატანებსაც მამენტ, ნეტა ახალი ტრენერი ხო არ დაუნიშნეს, ადრე უგებდი ხოლმე და ეხლა ეტყობა, ტაქტიკა შემიცვალეს...

— ეგრეა, რა, ძმაო, ფუტბოლის თამაში ყველამ ისწავლა. ეს დინარა საფინაც 4-4-2-ს არ თამაშობდა ავსტრალიის ფინალამდე? მეთქი, სერენა უილიამსს ჩოგანს თავზე გადაახევს, მაგარი დინარა ვიყავი სერენასთან და პირველი სეტი ნოლ შესტ არ წამიგო ქალბატონმა? დავაკვირდი საფინას და 3-5-1-ით არ ჩოგნაობს თურმე?

— ეეე- კაი რა, ტო! ობამას პროწივ დადექი მედვედევზე?

— ვა! რატო არ უნდა დავმდგარიყავი, დინარა იგროკია, ძმაო, მარა პროსტაამც, მერე გაიასნდა რო მაგის ტრენერი მაგარ პახმელიაზე ყოფილა და ტაქტიკურად ჩაიჭრა.

— მე კიდე, ამ რანიერის ტაქტიკისა ვერაფერი გავიგე, ტო... ნეტა ბლოკნოტი ხო არ დაკარგა...

— რა გაგება უნდა, ძმაო, ხო გააგორა „კალიარისთან“ ტაიმბოლი. დაპუტა ხალხი მაგ ბებერმა...

— აბა, ჩემი... „უდინეზესთან“ წინა ტურში ხო იყომარა და წააგო, ეხლა კიდე მეორედ გატეხა, ტო. აი, ნახავ, თუ მესამეც არ მიაყოლონ. ჯერ მაყუთები უნდა მოჭრან ტოტალიზატორში და მერე დაიწყებენ მოგებას.

— კლინსმანის „ბაიერნიც“ რა საყვარლად ყომარობს! „ჰამბურგთან“ თამაში ნახე? მასტებს ოცი გოლის გატანა შეეძლოთ, მარა იმენა არ გაიტანეს. ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, რო ბურთი „ჰაბურგის“ კარში არ შესულიყო. პროსტაამც, ეგრე იავნად ნაჩალიჩარი თამაში კაი ხანია, არ მენახა.

— დღეს რას ფიქრობ, „მანტოვა“— „ლივორნო“ ორიანის ჭრილში არ იკვეთება? მაგრა მგონია, რო „ლივორნო“ უეჭველში მომგებია. თან ნახე, ძეხვიანი პიცასავით კუშიც რო დაუწერეს, ტო. არ წამოვა ორიანში?

— არა მგონია, ძმაო. ეგ თამაში მკვდარი ნიჩიაა. ლაბავოი იქსი და ტანკში ზიხარ.

**ძუში ძოვმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | | მასპინძელი გაიტანს? |
|---|---|---|---|
| 001 | კაისერი-სივა | კი | 0:0 |
| 002 | ქოჯაელი-გენჩლერი | კი | 0:2 |
| 003 | ანკარა-ტრაბზონი | კი | 0:2 |
| 004 | დენიზლი-გალათასარაი | კი | 0:2 |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ გადავიდნენ სატანები 4-4-2 დან 3-5-2-ზე

114140 *



ლეო მესი და დიეგო მარადონა

# გრონდონული სიცრუე და ორპირობა

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელი დიეგო მარადონა გადადგომით იმუქრებოდა, თანაშემწედ ოსკარ რუჯერის თუ არ დაუნიშნავდნენ, მაგრამ გადაიფიქრა.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას რუჯერის ასისტენტობა არ უნდოდა და თავისი გაიტანა.

„ისედაც ნერვები დამაწყდა, სანამ ნაკრებს ჩავიბარებდი და თუ ფედერაცია ოსკარ რუჯერის დანიშვნის წინააღმდეგია, ისღა დამრჩენია, მათ გადაწყვეტილებას შევეგუო. ამის გამო ნაკრებიდან წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა მარადონამ ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე.

არგენტინელი ვენესუელაში უგო ჩავესის გაპრეზიდენტების ათი წლის იუბილეზე ჩავიდა.

კითხვაზე, 21 წლის ლეო მესი უფრო მაგარია თუ 21 წლის მარადონა უფრო მაგარი იყო, არგენტინელთა მწვრთნელმა უპასუხა: „ვიმედოვნებ, რომ ის ჩემზე კარგად ითამაშებს, რითაც მთელი არგენტინა მოიგებს“.

ამას წინათ კი ხულიო გრონდონამ თქვა, 21 წლის მესის 21 წლის მარადონას თუ შევადარებთ, პირველი მეორეს აშკარად სჯობსო, რაზეც მარადონამ განაცხადა, გრონდონა მე მეუბნება, რომ მესიზე უკეთესი ვარ, მესის ეუბნება, რომ მარადონაზე უკეთესი ხარო და ნეტავ ვისთან ტყუისო.

# ზამთრის ტრანსფერები პრიმერადივიზიონში

**ალმერია** — წავიდა: ნატალიო პოკე (კორდობა);

**ბილბაო** — მივიდნენ: გაისკა ტოკერო (ნახევარმცველი, ეიბარი), ხავიერ ეჩებერია (მცველი, მეორე გუნდიდან);

წავიდნენ: ინიაკი ლაფუენტე (სპორტინგი), ხავიერ კასასი (კორდობა);

**ბეტისი** — მივიდნენ: რიკარდო ოლივეირა (ფორვარდი, სარგოსა);

წავიდნენ: მარკო ბაბიჩი (ჰერტა, გერმანია), ხოსე მარი (ხიმნასტიკი);

**დეპორტივო** —წავიდნენ: დუდუ ავატი (მალიორკა), როდრი (სალამანკა);

**ესპანიოლი** — მივიდნენ: მარკ პედრასა (ფორვარდი, ალავესი);

წავიდნენ: ედუარდო კოშტა (სან პაულუ, ბრაზილია), ხულიან ლოპესი (პანთრაკიკოსი, საბერძნეთი);

**ვალენსია** —მივიდნენ: ტიაგუ კარლეტო (მცველი, სანტოსი, ბრაზილია), სესარ სანჩესი (მეკარე, ტოტენჰემი), დაგ ალექსანდერ ოლსენი (ფორვარდი, ტოტენჰემი, ინგლისი);

წავიდნენ: ნიკოლა ჟიგიჩი (რასინგი), ტიმო ჰილდებრანდი (ჰოფენჰაიმი, გერმანია);

**მალაგა** — მივიდა: ადრიანო ფერეირა (ფორვარდი, ინტერნასიონალი, ბრაზილია);

წავიდა: კარლოს არანდა (ნუმანსია);

**ვილიარეალი** — წავიდნენ: ედმილსონი (პალმეირასი, ბრაზილია), ჟოზი ალტიდორე (ხერესი);

**მალიორკა** — მივიდა: დუდუ ავატი (მეკარე, დეპორტივო);

**ნუმანსია** — მივიდა: კარლოს არანდა (ფორვარდი, ნუმანსია);

წავიდნენ: ტონჩე ვერდუ (ალბასეტე), რობერტო პლატერო (პონფერადინა);

**ოსასუნა** —მივიდნენ: ხავიერ მარგაირასი (ნახევარმცველი, ციურიხი, შვეიცარია);

**რასინგი** — მივიდნენ: ტონი მორალი (ნახევარმცველი, ალავესი), ნიკოლა ჟიგიჩი (ფორვარდი, ვალენსია);

**რეალი** — მივიდნენ: კლაას-იან ჰუნტელაარი (ფორვარდი, აიაქსი, ჰოლანდია), ლასანა დიარა (ნახევარმცველი, პორტსმუთი, ინგლისი), დანიელ პარეხო (ნახევარმცველი, მეორე გუნდიდან), ჟულიენ ფობერი (ნახევარმცველი, ვესტ ჰემი, ინგლისი);

**სევილია** — წავიდა: ტომ დე მული (გენკი, ბელგია);

**ხიხონი** — მივიდა: ინიაკი ლაფუენტე (მეკარე, ბილბაო);

წავიდა: პაბლო დე ლუკასი (ალავესი);

**უელვა** — წავიდნენ: კრისტიან მაიდანა (სპარტაკი, რუსეთი), ალენ ნეფი (უდინეზე, იტალია);

**ხეტაფე** — მივიდა: ვლადიმირ სტოიკოვიჩი (მეკარე, სპორტინგი, პორტუგალია);

წავიდნენ: დავიდ სოუზა (რაიო ვალეკანო), რობერტო აბონდანსიერი (ბოკა ხუნიორსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XXI ტური

# რაულ დი სტეფანო

**ბილბაო 3:2 მალაგა**
0:1 ლუკე (3), 1:1 იესტე (37), 1:2 ლოლო (65), 2:2 ლორენტე (71), 3:2 სუსაეტა (87)
გაფრთხილება: ტოკერო, უსტარიცი (ბილბაო), აპონო, ველინგტონი (მალაგა)

**ნუმანსია 0:2 რეალი**
0:1 რაული (48), 0:2 რობენი (56)
გაფრთხილება: ნაგორე, გორიზა (ნუმანსია), რამოსი, გაგო, დიარა, გაგო (რეალი)
გაძევება: გაგო (80)

**ატლეტიკო 1:2 ვალიადოლიდი**
0:1 პრიეტო (50), 1:1 გარსია კალვო (54ს.კ.), 1:2 ვიქტორი (78)
გაფრთხილება: მაქსი როდრიგესი, ბანეგა (ატლეტიკო), პრიეტო, ნანო (ვალიადოლიდი)

**დეპორტივო 3:0 ვილიარეალი**
1:0, 2:0 ლაფიტა (2, 62), 3:0 რიკი (68)
გაფრთხილება: მანუელ პაბლო, ლოპო, ვერდუ (დეპორტივო), ეგურენი, ფენტა, იორენტე, იბაგასა (ვილიარეალი)

**ესპანიოლი 1:1 ხეტაფე**
1:0 პარეხა (62), 1:1 რუბენი (90პ)
გაფრთხილება: ნენე, ხარკე (ესპანიოლი), ბარბერო, არსუ (ხეტაფე)
გაძევება: კამენი (90, ესპანიოლი)

**ოსასუნა 1:0 მალიორკა**
1:0 პანდიანი (3)
გაფრთხილება: ნეკუნამი, პანდიანი, პუნიალი, ნეკუნამი (ოსასუნა), ადურიცი, ნუნიესი, სანტანა (მალიორკა)
გაძევება: დ. ნავარო (60, მალიორკა), ავატი (79, მალიორკა), ნეკუმანი (88, ოსასუნა)

**რასინგი 1:2 ბარსელონა**
1:0 ტიგინი (55პ), 1:1, 1:2 მესი (64, 80)
გაფრთხილება: მუნიტისი (რასინგი), პიკე, იაია ტურე, მარკესი, ალვეში, მარკესი, პიკე (ბარსელონა)
გაძევება: მარკესი (88), პიკე (90)

**ბეტისი 2:2 ხეტაფე**
1:0 ხუანმა (7), 2:0 მარკ გონსალესი (9), 2:1, 2:2 ურე (64, 71)
გაფრთხილება: ხუანდე, დამია, ხუანდე (ბეტისი), რაფა, კასკერო, გრანერო (ხეტაფე)
გაძევება: ხუანდე (33)

**ვალენსია — ალმერია**
**ხიხონი — სევილია**
*წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის. ანგარიში იხილეთ 31-ე გვერდზე*

**რაულ გონსალეს ბლანკო** ალფრედო დი სტეფანოს გაუთანაბრდა — 307-ე გოლი გაიტანა და დღეს-ხვალ კარიერას თუ არ დაასრულებს, დი სტეფანოს გადაასწრებს და „რეალის" ისტორიაში საუკეთესო მეგოლე გახდება.

რაულმა არიენ რობენის პასით გახსნა ანგარიში, მერე კი თვითონ რობენმა შეაგდო.

ეს იყო „რეალის" ზედიზედ მეექვსე მოგება და ხუანდე რამოსმა გაიხარა: „მორიგი სამი ქულა მივიმატეთ. ბიჭებს ცუდ მოედანზე გაუჭირდათ, მაგრამ გულიანად იშრომეს.

პირველი ტაიმი ცოტა უნიათოდ ვითამაშეთ, თუმც გოლის მერე საქმე კარგად წავიდა. მთავარია, ფეხბურთელებმა ირწმუნეს, რომ ერთი მეორის მიყოლებით მოგება შეუძლიათ.

ამჟამად გუნდით კმაყოფილი ვარ, ოღონდ კიდევ უნდა მოვუმატოთ".

რაულმა კი თავმდაბლურად თქვა: „ყველა ჩემი გოლი თანაგუნდელების დამსახურებაა. დი სტეფანოსთან გატოლება მეტად საამაყოა და მალე ალბათ გავუსწრებ კიდეც".

ბილბაოში კი „მალაგა" ორჯერ იგებდა, მაგრამ ბასკებმა მაინც გამოგლიჯეს სტუმრებს სამი ქულა.

ალბერტ ლუკემ ახლოდან გაიტანა და „მალაგა" დაწინაურა, მაგრამ იესტემ ცაციით კოხტა გოლი შეაგდო და გაათანაბრა. ლოლომ ისევ წინ გაიყვანა სტუმრები, თუმც ლორენტემ კვლავ გაქვითა, დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი სუსაეტამ თავურით მასპინძლებს მოაგებინა.

„ისეთ კარგ ფორმაში ვართ, რომ ყოველ მომდევნო მატჩს მოუთმენლად ველით" — თქვა ლორენტემ.

რასაკვირველია, მოიგო „ბარსელონამ" და ეს იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ აგერ, ერთმა ესპანურმა საბუქმეიკერო კანტორამ უკვე დაიწყო მოგების გაცემა — ვისაც „ბარსას" ჩემპიონობაზე ჰქონდა ფული დადებული

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 65:15 | 56 |
| რეალი | 21 | 14 | 2 | 5 | 43:27 | 44 |
| სევილია | 20 | 11 | 5 | 4 | 28:18 | 38 |
| ვალენსია | 20 | 10 | 4 | 6 | 39:30 | 34 |
| ვილიარეალი | 21 | 9 | 7 | 5 | 33:29 | 34 |
| დეპორტივო | 21 | 10 | 3 | 8 | 26:28 | 33 |
| ატლეტიკო | 21 | 9 | 5 | 7 | 44:33 | 32 |
| მალაგა | 21 | 9 | 5 | 7 | 34:31 | 32 |
| ბილბაო | 21 | 8 | 5 | 8 | 31:33 | 29 |
| რასინგი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:25 | 28 |
| ვალიადოლიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 30:32 | 27 |
| ხეტაფე | 21 | 6 | 7 | 8 | 31:33 | 25 |
| ალმერია | 20 | 6 | 6 | 8 | 22:29 | 24 |
| უელვა | 21 | 6 | 6 | 9 | 19:29 | 24 |
| ხიხონი | 20 | 8 | 0 | 12 | 27:44 | 24 |
| ბეტისი | 21 | 6 | 4 | 11 | 27:29 | 22 |
| ნუმანსია | 21 | 6 | 2 | 13 | 25:43 | 20 |
| ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 22:29 | 17 |
| ესპანიოლი | 21 | 3 | 8 | 10 | 19:34 | 17 |
| მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 21:39 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 12 |

**სეგუნდადივიზიონი**
**XVII ტური**

კასტელიონი — უესკა 1:1; ხირონა — სელტა 2:2; ერკულესი — კორდობა 1:0; ლას პალმასი — სოსიედადი 0:1; მურსია — რაიო ვალეკანო 0:1; სევილია B — ალბასეტე 1:1; ალავესი — სალამანკა 1:1; ეიბარი — ელჩე 1:2; ხიმნასტიკი — ტენერიფე 0:1; ხერესი — ალიკანტე 2:0; სარაგოსა — ლევანტე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 22 | 11 | 7 | 4 | 39:22 | 40 |
| ტენერიფე | 22 | 11 | 4 | 7 | 39:32 | 37 |
| ერკულესი | 22 | 9 | 9 | 4 | 32:19 | 36 |
| სარაგოსა | 22 | 10 | 6 | 6 | 37:25 | 36 |
| სოსიედადი | 22 | 8 | 11 | 3 | 22:15 | 35 |
| კასტელიონი | 22 | 8 | 10 | 4 | 31:23 | 34 |
| სალამანკა | 22 | 9 | 7 | 6 | 29:24 | 34 |
| რაიო ვალეკანო | 22 | 8 | 10 | 4 | 27:23 | 34 |
| სელტა | 22 | 8 | 8 | 6 | 25:23 | 32 |
| ხირონა | 22 | 8 | 8 | 6 | 23:23 | 32 |
| ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29:30 | 32 |
| უესკა | 22 | 7 | 9 | 6 | 29:26 | 30 |
| ელჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 26:24 | 29 |
| ალბასეტე | 22 | 7 | 7 | 8 | 24:29 | 28 |
| მურსია | 22 | 8 | 4 | 10 | 22:28 | 28 |
| ხიმნასტიკი | 21 | 6 | 9 | 6 | 31:26 | 27 |
| ლას პალმასი | 22 | 6 | 9 | 7 | 27:23 | 27 |
| ალავესი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:35 | 24 |
| კორდობა | 22 | 5 | 6 | 11 | 18:28 | 21 |
| ეიბარი | 21 | 5 | 6 | 10 | 15:28 | 21 |
| ალიკანტე | 22 | 3 | 6 | 13 | 17:37 | 15 |
| სევილია B | 22 | 1 | 7 | 14 | 14:36 | 10 |

**კოპა დელ რეი**

ბეტისი — მალიორკა 0:0; ხიხონი — ბილბაო 1:2; სევილია — ვალენსია 2:1; ბარსელონა — ესპანიოლი 3:2



ძალიან მალე რაული „რეალის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლე გახდება



# ღამის კლუბის ფეხბურთელი

## ექვმიტანილია: რობინიომ სამშობლო შეარცხვინა

**კვირაში** 160 ათას გირვანქიანი რობინიო 19 წლის გოგოზე ძალადობაშია ეჭვმიტანილი.

„მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი გასულ კვირაში დაკითხეს და თავდებით გაუშვეს. ბრაზილიელი, რაღა თქმა უნდა, დანაშაულს უარყოფს, საქმე კი ძიებაშია.

„ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებ — თქვა ეჭვმიტანილმა — 200 პროცენტით უბრალო ვარ. არ ვიცი, საიდან მოიგონა გოგომ ეს ამბავი და ვინ აპირებს ჩემი სახელის ლაფში ამოსვრას".

რობინიოს 14 იანვარს ლიდსში, ღამის კლუბ „სფეისში" მოულხინია. ამავე კლუბის სტუმარი გოგო — რომლის გვარ-სახელსაც არ ამხელენ — მეორე დღეს პოლიციაში მივიდა და საჩივარი დაწერა.

„სიტი" მერე ტენერიფეში შეკრებაზე გაემგზავრა, საიდანაც რობინიო მწვრთნელის დაუკითხავად ბრაზილიაში გაფრინდა. მარკ ჰიუზს იქიდან ბოდიში შემოუთვალა, ოჯახური მიზეზების გამო სასწრაფოდ წასვლა მომიწია და წინასწარ ვერ გაგაფრთხილეთო.

„სიტიმ" რობინიოს თვითმფრინავი გაუგზავნა და მანჩესტერში დააბრუნა. მეორე დღეს ვარჯიშზე მისულს მარკ ჰიუზი არ ეჩხუბა, რამაც სიტელი ფეხბურთელები გააოცა. ისინი სცენას ელოდნენ, მაგრამ მწვრთნელმა ბრაზილიელს არაფერი უთხრა. მოგვიანებით კი განაცხადა, რომ რობინიოს ორი კვირის ჯამაგირს დაუქვითავენ, თუმც ჯერ-ჯერობით არ დაუჯარიმებიათ.

მანჩესტერში დაბრუნებული რობინიო პოლიციამ მალევე მოძებნა და დაკითხა. ფეხბურთელმა ბრალეულობა უარყო და თქვა, რომ პოლიციასთან ითანამშრომლებს. ნაკრების მწვრთნელ დუნგასაც დაურეკა და უთხრა, სრულიად უდანაშაულო ვარო.

ღამის კლუბის ამბავმა პელეს ყურამდეც მიაღწია, რომელმაც რობინიო გაკიცხა: „მსგავსი ამბები ძალიან ცუდ გუნებზე მაყენებს. რას არ ვაკეთებთ, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს დიდი ფეხბურთისკენ გზა გავუკვალოთ, რობინიოსნაირები კი ფეხბურთსაც არცხვენენ და ქვეყანასაც.

მუდმივი სკანდალები იქამდე მიგვიყვანს, რომ ძლიერი ევროპული კლუბები ბრაზილიელების ყიდვას მოერიდებიან.

რობინიო უკვე ჩამოყალიბებული კაცია და მასზე ზემოქმედება ძნელია. მე მისი საქციელის გამო პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგან ჩემი წვლილიცაა რობინიოს გაზრდაში".

ამასობაში კი რობინიო დაშინდა და სახლის დაცვა გააძლიერა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეალი არ ხუმრობს



**ჟულიენ ფობერს** მადრიდის „რეალიდან" რომ დაუკავშირდნენ, ეგონა, ამასხარავებდნენ.

„ვესტ ჰემის" ფრანგი ნახევარმცველი მოულოდნელად „სამეფო კლუბში" აღმოჩნდა — სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს.

2007 წელს, როცა ფობერი „ბორდოდან" „ვესტ ჰემში" გადავიდა, მისგან ზიდანობას ელოდნენ, რადგან მაშინ ერთ-ერთ უნიჭიერეს ფრანგ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმამ გასაქანი არ მისცა.

გასულ პარასკევს მადრიდში სამედიცინო შემოწმება გაიარა და დღეს ოფიციალური წარდგენა ექნება.

„როცა „რეალის" წარმომადგენელმა დამირეკა და მითხრა თუ რომელი კლუბიდან იყო, ცალყბად ვუპასუხე, რადგან მართლა მეგონა, რომ მაშაყირებდნენ. „ნიუკასლის" და „ლიონის" ინტერესის შესახებ ვიცოდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, „რეალში" რომ აღმოვჩნდებოდი".

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის ქრონიკა

## უეფამ ფინალი გაანაწილა

**უეფას** აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩემპიონთა ლიგის (2011 და 2012) და უეფას ევროპის ლიგის (2011 და 2012) ფინალების მასპინძელი სტადიონები დაასახელა.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 2011-ში ლონდონში „უემბლიზე", მომდევნო წელს კი მიუნხენში „ალიანს არენაზე" შედგება.

ყოფილი უეფას თასის — მომავალი სეზონიდან კი უეფას ევროპის ლიგის — ფინალს 2011 წელს დუბლინის „ლენსდაუნ როუდი" უმასპინძლებს, ხოლო 2012-ში ბუქარესტის „ნაციონალი".

დუბლინში და ბუქარესტში ევროთასის ფინალები პირველად გაიმართება.

## წყვილები არ დამანახოთ!

**მსოფლიოს** 2018 და 2022 წლების ჩემპიონატების მასპინძლობის არაერთი მსურველი გამოჩნდა. ბოლო კანდიდატი მექსიკაა, მანამდე კი იაპონიამ, აშშ-მ, ბელგია-ჰოლანდიამ, ინგლისმა, ესპანეთ-პორტუგალიამ, ყატარმა, ავსტრალიამ და ინდონეზიამაც კი თქვეს თავისი სიტყვა. საბუთების მიღების ბოლო დღე 2 თებერვალია და ფიფა ამის მერე შეისწავლის კანდიდატების შანსებს.

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჩემპიონატების წყვილად მასპინძლობის წინააღმდეგია, ამიტომ ბელგია-ჰოლანდიას და ესპანეთ-პორტუგალიას ნაკლები შანსი ექნებათ, თუმც საკითხი მხოლოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტი არაა და აღმასკომმა უნდა განიხილოს.

აქვე ვთქვათ, რომ 2014 წლის ჩემპიონატი ბრაზილიის 12 ქალაქში გაიმართება. თავიდან ათზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ორი დაუმატეს.

გახსნის მატჩი სან პაულუში, ბრაზილიაში ან ბელუ ორიზონტეში გაიმართება, ხოლო ფინალი რიო დე ჟანეიროში.

## ქალი კაცთან არ შეიძლება

**ირანის** საფეხბურთო კლუბი „ესტელიალი" ქალებთან ნათამაშები ამხანაგური მატჩის გამო 5 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

„ესტელიალის" ქალთა გუნდი ამავე კლუბის კაცთა ახალგაზრდულს 20 იანვარს შეხვდა — მსგავსი რამ ირანში ბოლო 30 წლის განმავლობაში არ მომხდარა — და ჩადრიანებმა 0:7 წააგეს.

ფულადი ჯარიმის გარდა კლუბის სამი თანამშრომელი ერთი წლით მოკვეთეს ფეხბურთიდან — მათ შორის ქალების მწვრთნელი.

ისლამური რევოლუციის (1978) შემდეგ ირანში ქალ-ვაჟური ფეხბურთი და სტადიონზე ჩადროსნების დასწრება აკრძალულია.

## შეცდომით მილიარდერი

**ნიუკასლელმა** ჩარლზ ნზოგბიამ, სანამ მწვრთნელი ჯო კინეარი იქნება, ამ გუნდში არ ვითამაშებ და სულაც, აქედან ავიბარგებიო და „უიგანში" გადავიდა.

მიზეზი: ტელეინტერვიუს დროს კინეარმა ფეხბურთელის გვარი შეცდომით თქვა, რაც ბიჭმა იუკადრისა და შეურაცხყოფად მიიღო.

„პირველ რიგში ფანებს უნდა მოვუბოდიშო იმის გამო, რომ გუნდიდან მივდივარ — თქვა ფრანგმა ნახევარმცველმა — მაგრამ მწვრთნელმა საჯაროდ ისე გამლანძღა, რომ მე „ნიუკასლში" აღარ დავრჩები".

ჯო კინეარის პასუხი: „კარიერაში ბევრ ფეხბურთელთან მიმუშავია და ყველას გვარ-სახელი როგორ დავიმახსოვრო? იმდენი შეცდომა მომსვლია გვარების წარმოთქმისას, რომ თითო შეცდომაზე ერთი გირვანქა რომ მოეცათ, მილიარდერი ვიქნებოდი".

## დოპინგიანი ბიჭები

**„ნაპოლის"** ნახევარმცველი დანიელე მანინი სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ფეხბურთიდან ერთი წლით მოკვეთა.

მანინის, 2007 წლის დეკემბერში, „ბრეშაში" თამაშისას, დოპინგტესტზე გამოუცხადებლობის გამო იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა 15-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაგრამ მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ გადაწყვეტილება საარბიტრაჟოში გაასაჩივრა და ერთწლიანი გამოუწერეს.

ასევე ერთი წლით დაისვენებს მანინის ყოფილი ბრეშელი თანაგუნდელი დავიდე პოსანცინი, ვინაც ასევე თავი აარიდა დოპინგ-ტესტს.

მანინი „ნაპოლის" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა და ამ სეზონში 14 მატჩში ერთი გოლიც გაიტანა.

## დროებითი ლოდევეგესია

**პსვ**-ს მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი გადადგა და მის ადგილს დროებით ლუაიტ ლოდევეგესი დაიკავებს.

სტევენსი შარშან ზაფხულს „ჰამბურგიდან" წავიდა და პსვ ჩაიბარა, მაგრამ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდანაც გავარდა და ჩემპიონატშიც ლიდერ „ალკმაარს" გვარიანად ჩამორჩება.

პრესკონფერენციაზე სტევენსმა თქვა, რომ ფეხბურთელებთან საერთო ენა ვერ გამონახა და ამიტომ აიბარგა.

ლოდევეგესის თანაშემწეები იან ვოუტერსი და ფილიპ კოკუ იქნებიან. პსვ-ს შეფები მომავალზე ზრუნავენ და ახალ მწვრთნელს ეძებენ. კანდიდატთა სიაში არიან ფრანკ რაიკარდი, დიკ ადვოკაატი, ფრედ რუტენი და რონალდ კუმანი.

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XVIII ტური

# ისტორიული ბა ბუბაქარი გავედადდა

### ტურის მატჩი

**ჰამბურგი 1:0 ბაიერნი**

1:0 პეტრიჩი (44)

**ჰამბურგი:** როსტი, დემელი, რაინჰარდტი (ჟ. ბოატენგი 64), მატიისენი, იანსენი, ბენჯამინი, იაროლიმი, პიტროიპა, ტროხოვსკი, გერერო, პეტრიჩი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

**ბაიერნი:** რენსინგი, ლელი (მამით ალთინთოპი 65), დემიკელისი, ლაში, ლუსიო, ვან ბომელი, ზე რობერტო (ბოროვსკი 70), შვაინშტაიგერი (დონოვანი 77), რიბერი, კლოზე, ტონი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაფრთხილება: ბენჯამინი, ჟ. ბოატენგი, დემიკელისი, პიტროიპა, ვან ბომელი, დემელი

მსაჯი: კირხერი

57 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:1 ვოლფსბურგი**

1:0 რადუ (34), 1:1 გრაფიტე (74)

გაფრთხილება: იშიაკუ, მოჰამადი, იალჩინი, მ. ბოატენგი (კიოლნი), გრაფიტე, გენტნერი (ვოლფსბურგი)

**დორტმუნდი 1:1 ლევერკუზენი**

1:0 ფრეი (36), 1:1 ჰელმესი (63)

გაფრთხილება: ა. ბოატენგი (დორტმუნდი), ვიდალი (ლევერკუზენი)

**ჰანოვერი 1:0 შალკე**

1:0 პინტუ (8)

გაფრთხილება: პინტუ, შტაინერი (ჰანოვერი)

**ჰერტა 2:1 აინტრახტი**

1:0, 2:0 პანტელიჩი (17, 51), 2:1 ბ. კოლერი (53)

გაფრთხილება: ნიკუ, დრობნი (ჰერტა), პრიოლი (აინტრახტი)

**ჰოფენჰაიმი 2:0 კოტბუსი**

1:0 ბა (28), 2:0 სანოგო (63)

გაფრთხილება: ვაისი, გუსტავო ლუისი, ტებერი, სანოგო (ჰოფენჰაიმი), იულა, ტრემელი (კოტბუსი)

**შტუტგარტი 2:0 გლადბახი**

1:0 მარიკა (67), 2:0 გომესი (80)

გაფრთხილება: შიმაკი, ხედირა (შტუტგარტი)

**ბოხუმი 2:0 კარლსრუე**

1:0 ფუხსი (26), 2:0 კლიმოვიჩი (65)

გაფრთხილება: ბონიგი (ბოხუმი), გორლიცი, დრპიჩი, სტინდლი (კარლსრუე)

**ვერდერი 1:2 არმინია**

0:1 მარქსი (24), 1:1 ალმეიდა (44), 1:2 ვიხნიარეკი (49)

გაფრთხილება: ნაიმაიერი, ფრინგსი, (ვერდერი), ჰალფარი (არმინია)

**ამერიკელი** ლანდონ დონოვანი კი არა, ნატოს ჯარიც რომ შეეყვანა იურგენ კლინსმანს მოედანზე, „ჰამბურგის" კარში ბურთი ალბათ, არ შევიდოდა.

ან ბაიერნელებს გაუმრუდდათ ფეხები, ან კიდევ ფრანკ როსტმა გაუქეთა კარს ჯადო.

„შტუტგარტთან" სათასო მატჩში ხუთი გოლის გამტანმა „ბაიერნმა" „ჰამბურგთან" ერთიც ვერ შეაგდო და მეორე წრე მარცხით დაიწყო.

პირველი ტაიმის მიწურულს მიხაელ რენსინგის მოგერიებული ბურთი მლადენ პეტრიჩმა ბადეში შეაბრძანა.

„ბურთს კარში შესვლა არ უნდოდა — დაიჩივლა „ბაიერნის" მწვრთნელმა — პირველი ტაიმის დასაწყისში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მერე უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით და ვერც ერთი ვერ გამოვიყენეთ".

მეორე ტაიმში კლინსმანმა იანვარში ნაყიდი სწრაფი ამერიკელი დონოვანი შეუშვა მოედანზე, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა და „ბაიერნი" მეოთხე საფეხურზე ჩამოცურდა.

„ჰოფენჰაიმს" კი დონოვანები არ სჭირდება და ტრავმირებული მთავარმეგოლის, ვედად იბიშევიჩის შემცვლელიც იპოვა. სეზონის ბოლომდე იბიშევიჩობას ბუბაქარ სანოგო გასწევს, რომელიც „ვერდერისგან" ითხოვეს.

„ჰოფენჰაიმმა" ახალ სტადიონზე, „რეინ-ნეკარ-არენაზე" პირველი მატჩი ითამაშა და პირველი, ისტორიული გოლი დემბა ბამ გაიტანა, მეორე კი სანოგოს ანგარიშზეა, რომელიც ბამ ქუსლური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა.

ბერლინის „ჰერტას" ფორვარდმა მირკო პანტელიჩმა თითო-ტაიმში თითო გაუტანა „აინტრახტს", რაზეც სტუმრებმა ერთით უპასუხეს და ბერლინელები მეორე ადგილზე აბრძანდნენ.

ულამაზესი გოლი გაიტანა ჰანოვერელმა პინტუმ — „შალკეს" კარის ცხრიანში ზემოდან ჩაუშვა ბურთი და მიუხედავად იმისა, რომ ეს მერვე წუთზე მოხდა, შალკელებმა გათანაბრება ვერ შეძლეს.

ცხრილში მეზობლებმა „დორტმუნდმა" და „ლევერკუზენმა" ქულები გაიყვეს, „ბაიერნისგან" სათასო მატჩში განადგურებული „შტუტგარტი" კი გონს მალევე მოვიდა და მარიკას და გომესის გოლებით „გლადბახს" მოუგო.

**გაგა ხუციშვილი**



ბუბაქარ სანოგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოფენჰაიმი | 18 | 12 | 2 | 4 | 44:23 | 38 |
| ჰერტა | 18 | 11 | 3 | 4 | 29:21 | 36 |
| ჰამბურგი | 18 | 11 | 3 | 4 | 27:24 | 36 |
| ბაიერნი | 18 | 10 | 5 | 3 | 39:25 | 35 |
| ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 37:22 | 33 |
| დორტმუნდი | 18 | 7 | 9 | 2 | 28:20 | 30 |
| შტუტგარტი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:23 | 28 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 36:26 | 27 |
| შალკე | 18 | 7 | 6 | 5 | 24:17 | 27 |
| ვერდერი | 18 | 7 | 5 | 6 | 40:30 | 26 |
| კიოლნი | 18 | 7 | 2 | 9 | 20:26 | 23 |
| ჰანოვერი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:32 | 20 |
| აინტრახტი | 18 | 5 | 4 | 9 | 24:31 | 19 |
| არმინია | 18 | 3 | 8 | 7 | 17:28 | 17 |
